



საქართველოს
რეპუბლიკის

1.92

ქველას
ქუჩაზე



8-6 Октябрь

Ваше письмо с 21/10
получено 22/10 1995
Спасибо

Ваше письмо

11/10 - 995





Handwritten text, possibly a title or reference number.

Large block of handwritten text, likely bleed-through from the reverse side of the page.

მთავარი რედაქტორი

ზვარბ
 აცხილაძე

სარედაქციო კოლეგია

- ანდრია
- ახაძეძე
- ვახტანგ
- ხერიძე
- იაკობი
- გულუგუძე
- კაკაბაძე
- ზაქარია
- შარია
- ლორთქიფანიძე
- ოთარ
- ლორთქიფანიძე
- მეგრე
- მანუჩაძე
- შალვა
- მირიანაშვილი
- ჯუღიძე
- კახაძე
- ვახტანგ
- ციციანი
- იაკობი
- ციციანი

ზინაარსი

დ. თუმანიშვილი, დიდხანს რომ შევინარჩუნოთ. აუცილებელ ძალთა თანაფარდობა.	8
ბ. ძალდანი. დასავლობი დაიგმოს! ნუ გავიმეტებთ ბუნებისა და კულტურის ძეგლებს.	12
სტიქია და ძეგლები. 1991 წლის 29 აპრილის მიწისძვრის შედეგად დაზარალებული და დაზიანებული ძეგლები.	18
დ. წმირაშვილი. ბედაური მხედარს უხმობს. ცხენთან ამგერებულ გულს.	19
ლ. სიხარულიძე. ძველი ფოლიანტები, აღდგა უნიკალური.	22
იუზიფი. კეთილ საქმეთა მოთავე.	25
ს. ჯაფარიძე. მადლი ქართულისა. ბუნება — ტოპონიმთა არქაული საძიკველი.	27
ზ. რახილაძე. ძველი ძეგლთაგანი. როგორ ვამბობთ.	35
მ. ხმელთაშვილი. ნუმისმატიკა. განძი ქუთაისის ნაქალაქარიდან.	36
ც. მისხიშვილი. ძველი დასახლებები. მარდის ლოკალიზაციისათვის.	39
დ. მინდორაშვილი. ქართული ეკონომიკის სათავეები მასალები შუასაუკუნეების უფლისციხის ეკონომიკურ საკითხთა შესწავლისათვის.	42
ჯ. გვიტაძე. ანტიკური ხანის ქალაქები. კასპის გენეზისი.	48
ბ. ბაბრატოვი. არქიტექტურა და ირიგაცია, აკვედუკი ანუ ბელლარი „ქვახიდა“ — სოფელ ზოვლედან.	51
ს. ნუსუზიძე — ლეგენდა და სინამდვილე. ვაი, შევიღო სადამდე.	54
მ. მარაზაშვილი, ქვანი ღაღადებენ, იკორთა.	57

ბ. ჯალაბაძე. კულტურის ერთი დასტური. ქსოვილთა ფრაგმენტები დაღეთისა და ნახიდურის ქვაბულოდან 61



მ. წარბთელი. დეკორატიული ხელოვნება. კოლხური თავსაძკაულის შემადგენელი ახალი ელემენტი 65

ც. ჩახუნავაშვილი. ტაძართა ნაშთი. ვარდისუბნის მრგვალი ეკლესია 69

ა. შაილოძე. შველას ითხოვს. ნეტავ რამდენი წლისა ხარ? . 75

ანოტაციები რუსულ ენაზე 77

გადაცა წარმოებას 6. II. 1992 წ., ზედმოწერა დასაბუჯდად 15. VII. 1992 წ., ფაქტურ ფორმათა რაოდენობა 5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაბა 5, ტირაჟი 8.0000, შეკვ. 156.

საქართველოს ეთნოლ-გაზეთების გამომცემლობა
„სამშობლო“
თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. № 14.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის
ძეგლთა დაცვის საზოგადოება

GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION
OF HISTORICAL AND CULTURAL
MONUMENTS

ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ
ПАМЯТНИКОВ ИСТОРИИ И КУЛЬТУРЫ

თბილისი. 1991-92 წ.წ. დაქვემდებარ.


იანვრის მოვლენების შედეგად

დანგრეული შენობების აღდგენა

უკვე დაიწყო.

სამუშაოები ინტენსიურად

მიმდინარეობს.



სურათებში: მთავრობის
სახლისა და ქარვთელი
საშუალო სკოლის
დაღვანდელი ზედი:
აღდგენის სამუშაოზე —
არქიტექტორები ელდარ
და გიო ციციშვილები.

პარლამ გენგერარისა და
თამაზ ჭიჭავას ფოტოები



აუსიღებელ კალთა თანაფარდობა

ძველი ხუროთმოძღვრების დაცვა-აღდგენის მეთოდოლოგიის გამო

ჩვენს საზოგადოებას მართებულად აღელვებს ძველი ქართული ხელოვნების ნაწარმოებთა ბედ-იღბალი. ხშირად გაიგონებთ ზოგადად თუ სპეციალისტთა მიმართ გამოთქმულ საყვედურს — ესა თუ ის ეკლესია, ესა თუ ის ნაიხბარი თუ ნაშონასტრალი რესტავრატორებს ელისო, ასევე ხშირად გაისმის ჩივილი — აღადგინეს და სული მოუკლეს, გაათანამედროვესო და მისთანანი. ორივე შემთხვევაში უქმყოფილება გასაგებბიც არის და, სამწუხაროდ, ხშირად არც თუ უსაფუძვლოც. მრავლად არის საქართველოში ისტორიული ნაგებობანი, რომელთაც ვერა და ვერ მივხედეთ, არის უხარისხოდ შეკეთებულიცა და მეტიც, საკმაოდ „განახლებული“ შენობებიც. საქმეში ჩახედულთ კარგად მოეხსენებათ, რომ ყოველივე ამას, როგორც იტყვიან, „ობიექტური მიზეზები“ აქვს: არც ჭეროვნად მომზადებული რესტავრატორები გვყავს ხაჭაბიახად და არც ჭეროვნად დახელოვნებული ოსტატები. უმთავრესი სიძნელე კი თავად რესტავრაციაში ძვეს, მისი მეთოდოლოგიის უზომო სირთულეში.

რასაკვირველია, ზოგადად გარკვეულია, თუ რას ნიშნავს ხელოვნებისა ანდა ისტორიის „ძველი“; ისიც აღარ არის საკამათო, რა ძირითადი მოთხოვნებია რესტავრატორის წინაშე, აღარც ის, რომ იმთავითვე გამორიცხული უნდა იყოს ყოველგვარი დაუსაბუთებელი, ნებისმიერი ჩარევა, რისამე დამატება თუ მოკლება. ეს საზოგადო პრინციპები გამოყენებისას აუარებელ საკითხსა და კითხვას წარმოშობს. ის, რაც ერთს საესებით დასაბუთებულად ეჩვენება, მეორისთვის თვითნებობაა, რაც ვილაციასთვის მიუღებელია, სხვათათვის უცილობელი ჩანს.

რესტავრაცია არც შეიძლება ბოლომდე წესებსა და კანონებს დაუქვემდებარო. შეიძლება ასწავლოთ არქიტექტორს, ვთქვათ, სამშენებლო ფენების გარჩევა და ჩაუნერგოთ ძველის ხელყოფის დაუშვებლობა. მაგრამ ვერავინ ასწავლის მას, რა სისქისა უნდა იყოს დამცველი შრე, რათა კი არ ჩანთქას, არამედ პირიქით, გამოაჩინოს თავდაპირველი წყობა, როგორ მოაგვაროს ძველებური ტაძრისა თუ სახლის გარემო ისე... რომ იგი არც მიიჩქმალოს და არც ვიტრინაზე გამოდგმული სამშენისივით ეული გახდეს. ამას ხუროთმოძღვარ-აღმდგენელს მხოლოდ მისი შემოქმედებითი აზრობა თუ უკარნახებს. არადა, სადაც ინტელიციას ასე დიდი ადგილი მიეკუთვნება, ერთმნიშვნელოვანი მითითება ძალზე ჭირს და, გარკვეული თვალსაზრისით, ყოველი ძველი საკუთარი პრინციპების შემუშავებისადაც კი მოითხოვს. ვფიქრობთ, სწორედ ინტელიტურ-შემოქმედებითისა და მეცნიერული საწყისების სწორი შეფასებაა ძნელი რესტავრატორის საქმიანობაში, ხოლო მისი მოძებნა კი მაშინდა შეგვიძლია, როდესაც უფრო დაუხსტებით გვექნება გააზრებული, თუ რას მოველით მისგან.



უპველად მომოგებენ—აქ საკითხავი არაფერი არისო. ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ადვილია: რა თქმა უნდა, ძველი ნაშენის რაც შეიძლება დიდხანს შენარჩუნება. ხშირად, თუ გნებავთ, უმრავლესადაც, თავსატეხი მართლაც არააფერი. დგას, მაგალითად, სადმე გზის პირას ძველი ეკლესია და ჩაქცეული კამარისა და აქა-იქ ამოცვენილი საპირე ქვების გარდა არაფერი უჭირს. თუ ის-ტატებისა გვეიმედება, შეგვიძლია გულდამშვიდებით შევავსოთ რაც დაკარგულია და ჩვენი მოქმედების მართებულობაში დარწმუნებული ვიყოთ. ანდა, საწინააღმდეგო: არქეოლოგიური გათხრების მსვლელობაში აღმოჩნდა გეგმის დონემდე დანგრეული ნასახლარი (თუნდაც ქერემისა და ნეკრესის ახლახან მიკვლეული შესანიშნავი სასახლეები). არც აქა გვაქვს რაიმე საფიქრალი — იგი უნდა დაკონსერვდეს და მოსახილველად მოეწყოს. ხშირად გვაქვს საქმე ძლიერ დაშავებულ შენობებთან, რომელნიც, ამასთანავე, იმ ზომამდე კი შემონახულან, რომ მათი სრულად აღდგენა მოგვასურვონ. ამ დროს არის საჭირო მეცნიერული სიმტკიცე და მხატვრული ფანტაზია, რაც ძნელად ურიგდება ზოგჯერ ერთიმეორეს: პირველი დაკონსერვებასა და შეჩერებას ითხოვს, მეორე — პირვანდელი მთლიანობის აღორძინებას, ამ ვითარებას, ბოლოს და ბოლოს, აგრეთვე შეიძლება რაღაც ვუშველოთ. დაეწესოთ, დავეშვათ, დაზიანების რაღაც მიხალოებითი ოდენობა (ისევე და ისევე მიხალოებითი, ვინაიდან აქაც შესაძლოა სხვადასხვა გარემოება დაემატოს: ნგრევის ხასიათი, ნაგებობის მეტ-ნაკლები ორიგინალობა, მასზე არსებულ მასალათა სიუხვე თუ სიმწირე, აღსადგენი რაობა და სხვა), რომლის დროსაც სრული აღდგენა ალკვეთილი იქნება. ასე რომ, მოხდება ნაშთის გამაგრება და იგი დარჩება, როგორც არის. მაგრამ მაშინვე თავს იჩენს კიდევ ერთი სიძნელე, დაკავშირებული თვით „ძეგლის“ გაგებასთან.

საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ „ძეგლი“ არც თუ დიდი ხნის ცნებაა, სულ ბევრი XVIII საუკუნეში გაჩენილი. მას აქვთ იკვლევდა თანდათან ცნობიერებაში გზას იმის შეგნება, რომ ტაძრები, სასახლეები, მთელი ქალაქები, სათაყვანო ჭვარ-ხატები, თვით ყოფითი ნივთებიც კი ხელოვნების ქმნილებანი ანდა წარსულის მოწმეები, რომელთაც გაფრთხილება და ხელუხლებლად შენახვა უნდა. ამ თავისთავად უდავოდ სწორ დამოკიდებულებას თან ერთი საფრთხეც სდევს — „სიძველეთადმი“ ერთგვარად სამუზეუმო მიდგომა, მათი ცხოვრების გარეთ, რაღაც განყენებულ ესთეტიკურს ან შემეცნებით სიბრტყეზე მათი გადატანა, ასეთი გააზრება არც მხატვრობასა თუ ქანდაკებასთან მიმართებაშია უნაკლო, ხუროთმოძღვრის მიმართ ხომ ათასნაირ წინააღმდეგობას ჰქმნის.

გარდასული კულტურის „მთენთა“. მკვდარ ქალაქებს (ჩვენში — ვანი, უფლისციხე, ნოქალაქევი და სხვანი). მივიწყებული სარწმუნოების ტაძარს („დედოფლის მინდორი“) სხვანაირად ვერც მოგვიკიდებით. მაგრამ როგორღა იქნება სოფელსა თუ ქალაქში მდგარი სახლები, სასახლეები, მთელი უბნები, სალოცავები? განა წარმოსადგენია მთელი დასახლებების „ექსპონატებად“ გადაქცევა ან საერთოდ რამდენი შეიძლება იყოს სათუთად მოვლილი გამოკეტილი შენობა? ეს თეორიული, განყენებული მსჯელობა როდია. ქალაქების აღდგენა-რესტავრაციისას არსებული ფუნქციის შენარჩუნება თუ ახლის შეტანა მუდამ საჭიროა და ყოველთვის არც თუ ადვილი, რადგან აქტიურ ჩარევას იწვევს, ძნელი საბატრონოა უქმად მდგარი მრავალრიცხოვანი ეკლესიებიც — ის, რასაც მრევლი თვითონ იოლად მოახერხებდა, თუნდაც კრამიტის გასწორება ანდა გამოცვლა, ახლა სპეციალისტების გასაკეთებელია, ისინი კი მთელ ქვეყანას ნამ-



დვილად ვერ გასწვდებიან. ამავე დროს, ტაძრები ემოციურად არ გვემხროს. ხოლო პრაქტიკულად ვერ ვგუბავ რაღაც ახლებურ დანიშნულებას, რაზედაც რაფერი ვთქვამთ საწყობებსა, პურის საცხობებსა, ყველის ქარხნებსა და ა. შ. რაც ამჟამად, საბედნიეროდ, სახსენებელიც აღარ არის, ჩვეულებრივი ეკლესიები არ გამოდგება სათეატროდ, საგამოფენოდ, საბიბლიოთეკად და საკონცერტო დარბაზები ხომ უსასრულო რაოდენობით არ შეიძლება გაიმართოს. ბოლო დროს ეკლესიათა კვლავ გახსნა-ამოქმედებამ ისიც ცხადყო, რომ თვით დასაბამი ფუნქციის დაბრუნებაც არა ყოფილა უმტკივნეულო. ძეგლთა დამცველ-აღმდგენელნი სამართლიანად უფრთხიან ხუროთმოძღვრებისა თუ მხატვრობის შესაძლებელ დაზიანებას, სამღვდელთა კი ასევე სამართლიანად გამოთქვამს აღშფოთებას, ნაგებობათა და ნივთთათვის მათი ნამდვილი აზრის მინიჭებას გვიშლიანო.

როგორც ჩანს, თავი და თავი თვით „სამუზეუმო“ დამოკიდებულების ცალმხრივობაა. ჩვენ ვერ მივუბრუნდებით და არც იქნებოდა გამართლებული მივუბრუნებოდით ძველთა-ძველ წმინდა გამოყენებითს მიდგომას, როდესაც არაფრად უღირდათ თავად შენობისა იქნება, მოხატულობისა თუ ქანდაკების გამოცლა, გადასხვაფერება, სულაც მოსპობა.

ძველი ხელოვნების თავისთავადი ღირებულება შეცნობილია და ამ ცოდნის დათმობა მიუტყეველი შეცდომა იქნებოდა. მხოლოდ ის უნდა შეეთანხმოს მხატვრული შემოქმედების ოდინდელი, არც თუ დიდ ხნის მივიწყებულ მოვალეობას აღამიანთა ცხოვრების მონაწილე იყოს. ამიტომ, თუ საცხოვრებელი სახლია აღსადგენი, ისტორიკოსის ცოდნისა და ხუროთმოძღვრის გუმანის შეერთებული ძალისხმევით უნდა იქნეს გამოვლენილი ყოველივე, რასაც მხატვრული თუ სამეცნიერო მნიშვნელობა აქვს და ამასთან გამოიძენოს საშუალება მობინადრეთა თანამედროვეობის შესაფერისი პირობების შექმნისა.

თუ მთელი ძველი უბანია მოსაწყისრიგებელი, ისევე და ისევე ყველაფერი ფასეული და, რაც მთავარია, სივრცით-კომპოზიციურად განმსაზღვრელი და განუმეორებელი ნიშნები საგულდაგულოდ უნდა დავიცვათ. მაგრამ თუ ეს უკანასკნელი ისე გავითავისეთ, რომ მათი განვითარება შეგვეძლება, არც ეს არის მოსარიდებელი. თუ ტაძარში წირვა-ლოცვა განახლდა, სამღვდელთა, ხელოვნების მკვლევართა, რესტავრატორების, ახლანდელი არქიტექტორებისა და მხატვრების ერთობლივი შრომით ახალი საეკლესიო „მცირე ხუროთმოძღვრებისა“ თუ მხატვრობის ისეთი ფორმები იშვას, რომლებიც არ შელახვენ ძველი ნაგებობების თავისებურებასა და ამასთანავე ცოცხალნიც იქნებიან.

შემოთქმული არც უნიადაგო ოცნებაა და არც რამ ახალი — საქართველოსთვის მაინც, თავის დროზე გიორგი ჩუბინაშვილმა მიაქცია ყურადღება ერთ საგულისხმო გარემოებას: ჩვენში ძალზე იშვიათია ძველი ტაძრების გადაკეთება გემოვნების შეცვლის კვალობაზე. თითქმის ყოველთვის (გამონაკლისი იქნებ ვახტანგ გორგასალის მიერ მცხეთის სვეტიცხოვლის განვრცობა იყოს), განახლება რაიმე ნგრევას მოსდევს. თუ არა, იგი იფარგლება მეტად უმნიშვნელო, მხატვრულად ნაკლებად საგრძნობი ცვლილებებით — მაგალითად, გაიჭრება კარი საკურთხევის აღსიდიდან მის მიმდებარე ოთახში ან კანკელს გადაიტანენ წინ, დასავლეთისკენ. სხვაა თუ შენობა მიწისძვრამ, ხანძარმა ან ბეტრმა დააქცია. მაშინ ინახადნენ ხოლმე დარჩენილ ნაწილებს, ცალკეულ გაფანტულ ქვებსაც კი (მეტადრე ჩუქურთმიანსა და გამოსახულებიანს), აგროვებდნენ და კედლებში ატანდნენ, ახალი ნაწილებს კი აღდგენის დროს შესატყვისად აგებდნენ. გზა,


ამრიგად, ასეთი იყო: ინარჩუნებდნენ ძველს და მისიანად აგრძელებდნენ ცხოვრებას. ეს არის სწორედ, რაც დღეს გვაკლია. წინანდელის, ახლანდელისა და მომავლო კავშირის ორგანულობა.

ცხადია, იქ სადაც ადრე განმახლებელმა თავისი შეიძინა, ჩვენ ძველ სახეს დავიცავდით, რადგან XIX-XX საუკუნეების გამოცდილებით ეს უკეთ ხელბეჭევაა. ცხადია, აგრეთვე, რომ შემორჩენილის პრეპარირება-წარმოჩენაც დღეს დღეობით სხვანაირად, უფრო ფაქიზად და ზუსტად უნდა განხორციელდეს, ვიდრე წარსულში. მაგრამ უკეთეს პრინციპს ჩვენ ძნელად თუ მოვიპოვებთ.

ეხლა რაც ძლიერ დაშავებულ, მეცნიერული საბუთებით ვერ-აღსადგენ ძეგლებს შეეხება. ზემოთქმულიდან გამომდინარე, აქ სწორედ ამა თუ იმ ნაგებობის ადგილია გადამწყვეტი აწინდელ ცხოვრებაში. თუ ეს ციხე-სიმაგრეა, მაშინ იგი მხოლოდ დასაცონსერვებელია და აღსადგენი კი მარტოოდენ „სამუზეუმოდ“ ფასეული შენობები თუ მათი ნაწილებია (მაგ. ლარგვისის დიდი გოდოლი ანდა სხვილოს ციხე). ასევე კონსერვაციასა ითხოვს მოსახლეობას მოშორებული, მხატვრულ-ისტორიულად ძვირფასი ნასაყდრალეებიც. მაშინ კი, თუ რომელიმე დანგრეული ტაძარი ახლიდან მრევლს შემოიკრებს, იგი ისევ და ისევ უზუსტესად კონსერვირებული, არქიტექტურული ძიებების დინებაში უნდა მოექცეს. რესტავრატორი იქნება თუ „თანამედროვე“ პრაქტიკოსი-არქიტექტორი, განურჩეველია — ისტორიული ნაშთი ახლის ამოსავალი ან ბირთვი უნდა გახდეს. ეს ძნელზე-ძნელი რომ არის, სრულებით აშკარაა. პირველ ხანებში არც ის იქნებოდა მიზანშეწონილი, თუნდაც მხატვრულად მეორეხარისხოვანი ეკლესია და არა მხოლოდ ეკლესია, ვთქვათ, რომელიც სამოქალაქო ნაგებობის ლირებული ფრაგმენტი: გავიხსენოთ კიოლნის რატაჰაუზი — რომელიმე ერთი. გინდაც უნიჭიერესი, გინდაც უგამოცდილესი ზურთომოდღვრისათვის მიგვენდო, უსათუოდ უნდა გაიმართოს კონკურსი, რომელსაც შესაფასებლად ეიურიც ეყოლება და საზოგადოებაც (რეცენზირება, საჯარო განხილვები და ა. შ.). ხოლო თუ გაირკვევა, რომ ამა თუ იმ ნაგებობას ჩვენ ვენება-დაკინების მეტს ვერაფერს მოვუტანთ (ვის ვიპოვით, მავალითად, დღეს კუმურდოსა ან ქუთაისის ბაგრატიის ტაძრის დასასრულებლად?), კიდევ ერთი ხერხიც ზომ არის, ინგლისელებმა კ. კოვენტრიში რომ მოიშველიეს: ძველი ძველად დაშთეს, მის გვერდით კი ახალი აღიმართოს.

ერთი სიტყვით, ჩვენ უნდა მოვითხოვოთ უმკაცრესი მეცნიერულობა იქ, სადაც მეცნიერება ჭრის; ხოლო სადაც იგი უძლურია, სადაც მისი საშუალებებით ვერაფერს გახდები, ასპარეზი წმინდა შემოქმედებას უნდა დაეთმოს. მეტი მეცნიერულობა და მეტი შემოქმედებითობა — აი ჩვენთვის აწ სანატრელი და, ვფიქრობ, აუცილებელ ძალთა თანაფარდობა.






ანდრეას პალატი

ნუ გავიწყობთ გუნებისა და კულტურის ქვეყნებს

ათნობარაზიაში მიღებული ტერიტორიული დაყოფის თანახმად საქართველო ვერტიკალურ კრილში განლაგებულია სამ ძირითად ზონად (ბარი, მთისწინა და მთიანი ზონები) დანაწევრებული. ისინი სპეციფიკური ლანდშაფტების მრავალფეროვნებით გამოირჩევიან, ძველთაგანვე იყვნენ ათვისებული ადამიანის მიერ და საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა ტრადიციული კულტურულ-ისტორიული ღირებულებანი, რომელნიც თითოეული ამ ზონისათვის დამახასიათებელი ლოკალური განმასხვავებელი

ბელი ეთნოსპეციფიკური თავისებურებებით გამოირჩევიან. სამივე ზონის ეთნო და ეკოსისტემები იმთავითვე ფაქიზ, განსხვავებულ მიდგომას მოითხოვდნენ და თავიდანვე იქმნებოდა და ყალიბდებოდა კიდევ ურთიერთობათა საკმაოდ მდგრადი ტრადიციული ნორმები, რომლებშიც გათვალისწინებული იყო როგორც ცალკეულ ეთნოსთა, ისე ეთნოსსა და ბუნებას შორის ურთიერთდამოკიდებულების წესების მიერ სფეროს მარგულური მუქანიზმები. აქედან გამომდინარე ცხადია, თუ რა ფრთხილ მიდგომას მოითხოვს ადგილისა თუ ტრასის შერჩევა ისეთი დიდი საინჟინრო ნაგებობებისა და მაგისტრალებისათვის, როგორცაა წყალსაცავი და კაშხალი, რკინიგზა, ავტომაგისტრალი და სხვა. სამწუხაროდ, როგორც დამპროექტებლების, ისე მშენებლების მიერ თავიანთი მოვალეობისადმი უსულგულო დამოკიდებულების გამო არაერთმა ხეობამ დაკარგა თავისი განუმეორებელი სახე და გამოუსწორებელი ზიანი განიცადა მატერიალური კულტურის ძეგლებშიც.



ბაზე. ისე მატერიალური კულტურის განვითარების გზებსა და ხასიათს, სამწუხაროდ ენვალის წყალსაცავის მშენებლობამ სწრაფად შეცვალა ამ ტერიტორიის მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობა და დღეს უკვე ძალზე ძნელია ტრადიციული სტრუქტურების სახის აღდგენა. ასევე არქეოლოგიური და ზეოთმომოღვრულ-ეთნოგრაფიული ძეგლების დიდი ნაწილი წყლით დაიფარა და ერისა თუ მეცნიერებისათვის საბოლოოდ დაკარგული აღმოჩნდა.

ეთნო და ეკონომიკური სრული იგნორირების ნათელ მაგალითს წარმოადგენდა ე. წ. „საუკუნის მშენებლობა“ — კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის ტრასის პროექტი. ცნობილია, რომ ტრასის ზემოაღნიშნული სამივე ზოლი უნდა გაეგელო. ბარის ზოლი ძირითადად მუხრანის ველით იყო წარმოდგენილი, რომელიც რკინიგზის ვაკის შუაზე უნდა გადაეყვითა. ადგილის ზელსაყრელმა მდებარეობამ რამდენიმე საგზაო კომუნიკაციის ზედაყვითაზე ძველთაგანვე განსაზღვრა მოსახლეობის ეთნიკური სიტრულე. შედარებით მცირე ტერიტორიაზე განლაგებულ დასახლებულ პუნქტებში კომპაქტურ მასებად სახლობენ ერთმანეთის გვერდით ქართველები, სომხები, თათრები, აისორები და ოსები, რითაც ეს ზოლი ფაქტიურად ეთნიკური პროცესების დღეს მოქმედ ცოცხალ ლაბორატორიის წარმოადგენს. დამატებითი კომუნიკაციის გაყვანა ამ ზონაში რკინიგზის სახით კიდევ უფრო გააუარესებდა მოსახლეობის დემოგრაფიულ ვითარებას. ეს მით უმეტეს, რომ სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი მიმდინარე ეთნიკური პროცესები, არ არის გამოვლენილი ის ძალები და მექანიზმები, რომლებიც ხელს უწყობენ ეთნოკონფლიქტური სიტუაციების წარმოქმნასა და გაღრმავებას.

აღნიშნულთან ერთად, მუხრანის

ნათქვამის საილუსტრაციოდ თუნდაც ენვალის წყალსაცავი იქნებოდა საკმარისი. იგი მთისწინა, გარდამავალ ზოლშია მოქცეული. ენვალის ტერიტორიაზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ზღებოდა შედარებით წარმონაქმნთა ინტეგრაცია, რაც გარკვეულ გავლენას ახდენდა როგორც მოსახლეობის შემადგენლო-




ველი თბილისს ამარაგებს ბოსტნეულით, ხილითა და მარცვლეულით. ველის ცენტრალურ ნაწილში, მის მთელ სიგრძეზე რკინიგზის ვაკისის გატარება, რკინიგზის სადგურების, სამეურნეო ეზოებისა და ნაგებობების მშენებლობა ფაქტიურად დედაქალაქის მოსახლეობას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მომარაგების საქმეში აუნაზღაურებელ ზარალს მიაყენებდა.

კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის ტრასის პროექტირებისას ბუნებისა თუ კულტურის ძეგლების შენარჩუნების გზების ძიების მცდელობასაც კი არ ჰქონია ადგილი. იმავე მუხრანის ველზე, სოფელ ციხისძირთან, რკინიგზის ვაკისს IX—XI სს ჭებელი უნიკალური ეკლესიებიდან 7—8 მ დაცილებით უნდა ჩაეველო. ამასთან აქ ვაკისის მოსაწყობად ეკლესიების მხარეს გრუნტის ნაწილი უნდა ჩამოკრილიყო, რაც ძეგლებს დაზიანებით ემუქრებოდა, ბუნების მიერ შექმნილ ძეგლთაგან, რომელსაც ასევე განადგურება ელოდა, აღსანიშნავია სოფელ ჩინთის სამხრეთით, მისგან 2,5 კმ-ს დაშორებით, არაგვის მარცხენა სანაპიროზე ამართული ბუნებრივი სვეტი, რომელიც ნეოგენურ კონგლომერატებშია გამოქმუნებული. სვეტის სიმაღლე, მდინარის მხრიდან 22-მ. ხოლო მისი გამოკვეთილი სიმაღლე 6 მ-ს შეადგენს. ქვედა ნაწილში სვე-

ტის დიამეტრი 2,5 მ-ია, ხოლო ზეგნით 1 მ-მდე ვიწროვდება. ბუნებრივი რელიქტის ადგილობრივი სახელია — "წოლოცინა კლდე" და ერთერთ ბუნებრივ ლიპსესანიშნაობადაა მიჩნეული. სოფელ ჩინთშივე დაზიანების საფრთხე ემუქრებოდა რამდენიმე ბუნებრივსა და ხელოვნურ ძეგლს. მათგან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა სოფლის დასავლეთ განაპირას ბუნების მიერ შექმნილი კიდევ ერთი საოცარი ძეგლი — მაღალი კლდოვანი ბორცვი, რომლის აღმოსავლეთის მხარეს მიდგმული ორი კოშკით გამოგრებული ციხის ნაშთები დღემდე შემონახული ციხისაგან დაახლოებით 40 მ-ის დაცილებით კიდევ ერთი უნიკალური ძეგლი — ჩინთის ცნობილი კოშკია ამართული.

კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის პროექტის განხილვასთან დაკავშირებული დებატებისას აშკარად ჭამოჩნდა, რომ საზოგადოების ნაწილს, მათ შორის ვიწრო სპეციალისტებსაც (ეთნოგრაფი, ისტორიკოსი, არქიტექტორი, ინჟინერი), ჯერ კიდევ არა აქვთ გააზრებული ისტორიული თუ არქიტექტურული ძეგლის მცნება. საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ კოპალას ჭვარისადმი დამოკიდებულება, რომელიც ტრასას შუაზე უნდა გადაეკვეთა. სპეციალისტთა ნაწილის აზრით ყორით ნაგები კოპალას კოშკის სხვაგან გადატანით არაფერი არ დაშავდებოდა. ძეგლის სრულყოფილად შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ეს ასე არ არის. კოპალას ჭვარი სოფელ მიგრიულთან მახლობლად მდებარეობს — მდინარეების კოპალურასა და არაგვის შეერთების ადგილას, რომელიც შესანიშნავი ლანდშაფტებით გამოირჩევა. კოპალურას წყალს მარჯვნიდან ჩამოუყვება მაღალი კლდოვანი ქედი, რომელიც ტყითაა დიფარული. იგი ტრასებად ეშვება არაგვისსაყენ. პირველი ტრასა მიმდებარე სამხრეთის ფერდობით კართანის ნეკროპოლს





უკავია. მეორე ტერასზე, რომელსაც კლდოვანი კონცხის სახე აქვს, მოზრდილი დარბაზული ტიპის ეკლესიის ნანგრევია შემორჩენილი, ხოლო მის ზემოთ, ნახევარი კილომეტრის დაცილებით ციხის ნანგრევია. კოპალისწყლის გაღმა, ნეკროპოლის მოპირდაპირე მხარეს ხეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სალოცავი მდებარეობს, სადაც უოველწლიურად იკრიბება ფშავ-ხევსურეთისა და ბარის რაიონების მოსახლეობა. სალოცავთან დაკავშირებულია ძალზე საინტერესო ლეგენდა კოპალასა და დეგებს შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. მითოლოგიური სიუჟეტის მოქმედება იშლება უძილაურთის მთაზე, სადაც ხდება ფშავ-ხევსურთა ღვთაებისა თუ ეთნარქის კოპალას ბრძოლა დეგებთან. ძლიერი დეგები ეშვებიან მთის ფერდზე და მოქმედება გრძელდება სალოცავის მიმდინარე ტერიტორიაზე, სადაც მასთან დაკავშირებულია მგობარი № 1, 1992

ბულ ობიექტთა მთელი კომპლექსია წარმოდგენილი: წმინდა ქალა, გამამარი იფანი, გაქვევებულ ავთანდილ, კოპალას მიერ ნასროლი ლახტით გაპობილი კლდე და სხვა. აქვეა მატერიალური კულტურის ძეგლთა მეორე კომპლექსიც, რომელიც ასევე ნეკროპოლის, ეკლესიის, ციხისა და ნასახლარისაგან შედგება. აღიქვამ, სივრცის საკმაოდ მოზრდილ ნაწილზე განფენილია როგორც მითოლოგიური სიუჟეტის მატერიალიზირებული განსახება, ისე დროით, ერომანეთისაგან მნიშვნელოვნად დაცილებული მატერიალური კულტურის ობიექტები. მათი თუნდაც ერთი ელემენტის გადაადგილება მკვეთრ დისონანსს შეიტანდა სტრუქტურის მთლიანობაში. აქ ბუნებრივი და ხელოვნური ძეგლების შერწყმის ისეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რომელსაც არცთუ ისე ხშირად მოვხვდებით ანალოგები მსოფლიო მასშტაბით და თუ მსგავსი ხუ-



როთმოდღერულ-ეთნოგრაფიული ობიექტების საინჟინრო ნაგებობებთან ორგანული შერწყმის საშუალება არ არსებობს, რაიმე ახლმშენებლობაზე ლაპარაკი ზედმეტია. მსგავსი ძეგლები უცვლელად უნდა იქნან შენარჩუნებული და დაცული. თავიდანვე რომ სათანადოდ გაეაზრებინათ გარემოს სპეციფიკური პირობები, სრულად ამოეკითხათ მასში მოქცეული ინფორმაცია, ვეიქრობ რკინიგზის პროექტი არ გაეეთდებოდა.

საქართველოს მთიანეთის გეოგრაფიული გარემო, რთული რელიეფი, მწირი მიწები და სპეციფიკური ისტორია ეს ის ძირითადი ფაქტორებია, რომლებიც განაპირობებდნენ მთიელთა ცხოვრებისა და მათ შორის - დილოგის" ხასიათსაც. ამ მიმართებით ძალზე საინტერესო სურათი ჩანს სვანეთის მაგალითზე. ჩვენს საუკუნის 60-იანი წლების შემდგომ სვანეთში ნამყოფ ადამიანს სათიბების ქარბი ოდენობის გამო შესაძლოა მოეჩვენოს, რომ აქ მეურნეობის უპირატესი და ერთადერთი დარგი მესაქონლეობა იყო. სინამდვილეში ეს ასე არაა. სახანავი სავარგულებს შემცირება სვანეთში იწყება მას შემდეგ, რაც ბარიდან პურის ფქვილის ცენტრალიზებული შეზიდვა იწყება. 50-იან წლებამდე სვანები იძულებული იყვნენ ძირითადად საკუთარი მარცვლეულით გამოეკვებათ თავი და თითქმის ალბიურ ზონამდე, რაც შემთხვევებში კი ალპიური ზოლის ნაწილიც სახნავ-სათესად გამოიყენებოდა. ამდენად, გარემო, ზეობებიდან დაწყებული და მთებით დამთავრებული მოსახლეობის ინტენსიურ შემოქმედებას განიცდიდა და გარკვეული ტრადიციული იერიც გააჩნდა. ამ გააზრებით ისტორიული ძეგლის ცნება გულისხმობს არა მხოლოდ გარკვეულ კულტურასთან დაკავშირებულ დასახლებასა თუ ნაგებობას, არამედ აღნიშნული კომპონენტების გარემომცველ ლანდშაფტსაც,

პეიზაჟს. ეს უკანასკნელი განსაზღვრული საზოგადოების კულტურული პირობების დამახასიათებელი ობიექტია და თვით პეიზაჟის მცნებას აზრი მხოლოდ გარკვეულ ისტორიულ კულტურულ და ეკონომიკურ კონტექსტში გააჩნია.

ინდივიდის არსებობისათვის აუცილებელ ნედლეულს, ენერგეტიკულ რესურსებსა და სხვა, ინდივიდუმი გარემომცველ ბუნებრივ გარემოში მოიპოვებს. ამ პროცესში საზოგადოება გარდაქმნის ლანდშაფტს, რაც გამოხატავს ამ საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ნორმებს, ფასეულობათა სისტემებსა და ისტორიულ თავისებურებებს ცალკეულ პერიოდებში. ამდენად პეიზაჟი განიხილება როგორც გარემომცველ გარემოზე ადამიანის ღრთიერთმოქმედების პროდუქტი. აქედან გამომდინარეობს მატერიალური კულტურის ძეგლებთან ერთად მისი შესატყვისი ლანდშაფტის დაცვის აუცილებლობაც. ეს საკითხი შესანიშნავად იყო გადაწყვეტილი მთიელთა მიერ. ტრადიციული სოცონორმატივები ითვალისწინებდნენ გარემოს გარდაქმნისა თუ შენარჩუნების მოცულობისა და ამ ქმედებების შემსრულებელთა ხასიათს. ზემოქმედების სკამოდ ძლიერ საშუალებას წარმოადგენდა სასიცოცხლო გარემოს შესაძლო გარდაქმნის ხარისხისა და მოცულობის რეგლამენტაცია. ათასწლეულების მანძილზე ემპირიულმა გამოცდილებამ ყოფისა თუ საქმიანობის ნებისმიერ სფეროში თავისი კორექტივები შეიტანა და მოსალოდნელი ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის თავიდან აცილების მიზნით ზდებოდა მათი სანქციონირება ტრადიციული ნორმების მიხედვით, რის შედეგადაც ბუნებასა და მოსახლეობას შორის გარკვეულ პარმონიას ჰქონდა ადგილი.

ზღვდიდში ქალაღის კომბინატის აშენების შემდეგ იწყება სვანეთის ტყეების აგემაზომიერი" განადგურე-

ბა. გაშიშვლდა ფერდობები, მდინარე-
ებამდე მორების დაცურებამ ზეგ-
წარმმართველი ღარები შექმნა, გაჩე-
ბილ მონაკვეთებზე ტყის აღდგენაზე
აღარავის უფიქრია და ეკოლოგიური
წონასწორობის ხელოვნურ რღვევას
1976 და 1987 წ. უხვთოვლიანი ზამ-
თრის პირობებში მძიმე ტრაგედია მო-
ჰყვა, რამაც დღის წესრიგში დააყენა
მოსახლეობის ბარად ჩამოსახლების
საკითხი.

ტრადიციული ქართველი მშენებ-
ლის მიერ სამყაროს გააზრების კონ-
ცეფციით ისეთი განსხვავებული სე-
მანტიკური დატვირთვის მატარებელი
ბუნებრივი ობიექტები, როგორცაა
მთა, ბორცვი, კლდე, ფერდობი, ქვა,
ტყე, ხე, წყარო და სხვა, ბუნების მო-
მადლებული საჩუქარია, რომელსაც
მოვლა და გაფრთხილება სჭირდება.
ასე იქმნებოდა მითოლოგიური სიუ-
ჟეტები და გარემომცველი სივრცუ-
ლი სტრუქტურები, რომლებშიც თავი-
სი ადგილი ეკავა წმინდა ხეებს, წმინ-
და ქალებს, წყაროებს, ქვაკაცებს,
სალოცავებს, დასახლებებს და სხვა
ბუნებრივ თუ ხელოვნურ ობიექტებს.

თანამედროვე მშენებლის ნააზრების
რეალიზაცია ტექნიკური (ნიველირ-
თეოლოგიტი)... საშუალებებით
ტექნიკის (ბულდოზერი, სკრაპერი,
დახმარებით ხდება, რამაც სამწუხაროდ
არაერთი შესანიშნავი ძეგლი თუ ლან-
დშაფტი იმსხვრებლა. საქართველოში,
რომელიც ასე მდიდარია შესანიშნა-
ვი პეიზაჟებითა და გარდასულ დროთა
ძეგლებით, სადაც სინათლე და ფერი
ასე მრავალფეროვანია, ხოლო რელი-
ეფი გადაკვეთილი, ცხადია, არქიტექ-
ტორს შემართებასთან ერთად დანდო-
ბის უნარიც უნდა ახასიათებდეს. და-
გეგმარების პროცესში განსაკუთრებუ-
ლი ყურადღება უნდა მიექცეს უკვე
არსებული მატერიალური კულტურის
ძეგლებისა და ლანდშაფტის მახასი-
ათებლებს. მგეგმარებელმა უკიდურე-
ნად უნდა განავითაროს ისინი და
მოცულობითი-სივრცობრივი გადაწყ-
ვეტის აუცილებელ კომპონენტად აქ-
ციოს, რადგანაც არქიტექტურისა და
გარემომცველი გარემოს ორგანული
კავშირი ქარმონის, წესრიგისა და
მდგრადობის საწინდარია.

- სურათი № 1. სოფ.**
 1. ღებოჯახს ზედი. (ხვანეთი); 2.
 ხორაკულობა-საკურობედიანი
 ეკლესია სოფ. ციხისძირთან.
 3. პრიღები და გეგმა; 4. ნახევარ-
 წრიული მოხაზულობის
 ხაურობედიანი ეკლესია.
 ფახადი. ქრალი და გეგმა
 (ციხისძირი); 5. კოშკი. სოფ.
 ზინთა. გეგმები, ქრალი, ფახადი;
 6. სოფ. ებუღის ზედა (ხვანეთი);
 7. კიშლის ზეობა. ზვედურეთი.





1991 წლის 29 აპრილის პენსიკპრის შედეგად დანგრეული და დაზიანებული ძეგლები

ამბროლაურის რაიონი

1. ამბროლაურის კოშკი. გვიანი შუასაუკუნეები, დაიზარა კედლები.
2. ბუთლუვი. დარბაზული ეკლესია XV ს. დანგრეულია.
3. სოფ. ბუგეული. დარბაზული ეკლესია XIV-XV სს. დაინგრა, დაზიანდა მხატვრობა.
4. სოფ. გორისუბანი. დარბაზული ეკლესია X-XI სს. დაინგრა მთლიანად
5. სოფ. ველევი. დარბაზული ეკლესია XV ს. დანგრეულია.
6. სოფ. ზედა შავრა. დარბაზული ეკლესია. X ს. დანგრეულია მთლიანად.
7. სოფ. ზედა შავრა. კვეთრა. დარბაზული ეკლესია, XI ს. დანგრეულია მთლიანად.
8. ლეკნარი. დარბაზული ეკლესია ნაქერალას მთაზე X-XI სს. დანგრეულია მთლიანად.
9. სოფ. ზემო კრიხი. დარბაზული ეკლესია X-XI სს. დანგრეულია მთლიანად, დაზიანდა მხატვრობა.
10. სოფ. კლდისუბანი. დარბაზული ეკლესია IX-X სს. მინაშენი დაინგრა მთლიანად, ეკლესია დაზიანდა.
11. სოფ. კლდისუბანი. „იაშვილების კოშკები“, XVII ს. დაინგრა ნაწილობრივ.
12. სოფ. კორტი. „კვირიკეწმინდა“ ბაზილიკური ეკლესია. IX-X სს. დანგრეულია მთლიანად.
13. სოფ. მუხლი. დარბაზული ეკლესია. XI-X სს. დაინგრა მთლიანად.
14. სოფ. ქვედა ფოშხა. დარბაზული ეკლესია XIII ს.
15. სოფ. პატარა ონი. დარბაზული ეკლესია XI ს. „წმ. გიორგის“, დანგრეულია ნაწილობრივ.
16. სოფ. ნიკორწმინდა. გუმბათიანი ტაძარი 1014 წ. დაინგრა გუმბათი და დასაქლეთის კარიბჭის ფასადი, დაზიანდა მხატვრობა.
17. სოფ. სხეჯვა. გუმბათიანი ეკლესია. XIX ს. დაინგრა მთლიანად.
18. სოფ. სხეჯვა. „კვარას ციხე“ XI ს. დაინგრა მთლიანად
19. სოფ. ფუტიეთი. „ხული წმინდის მოყვინის“ დარბაზული ეკლესია XI ს. ხელახლა აღდგენილი XIX ს. დანგრეულია მთლიანად.
20. სოფ. გუნდუში. მალის ციხე-კოშკი. შუასაუკუნეები.
21. სოფ. ქედისუბანი. დარბაზული ეკლესია XI-XVI სს. დაინგრა მთლიანად.
22. სოფ. ქვემო ფოშხა. „ჯვარცმის“ დარბაზული ეკლესია XIV-XVIII სს. დაინგრა მთლიანად.
23. სოფ. ღვიარა. დარბაზული ეკლესია XIX ს. ჩამოინგრა კამარა.
24. სოფ. ღვიარა. „ჯვარცმის“ დარბაზული ეკლესია. VII-IX სს. ჩამოინგრეულია კამარა და ნაწილობრივ კედლები.

(გაგრძელება, იხ. 31 გვ.).

სხენთან აკბერბული გული...

ჩვენ ყურნალის სარედაქციო კოლეგიის ბოლო შეკრებაზე სიტყვა ჩამოვარდა საცხენოსნო ტურიზმზე. ითქვა, რომ საცხენოსნო ტურიზმი მთელს მსოფლიოში შემოსავლის ერთ-ერთი ახალი, მაგრამ საკმაოდ მძლავრი წყარო გახდა, რადგანაც მდიდარი უცხოელების მოთხოვნებისა და გემოვნების შედეგად წარმოიშვა. თუ ამ მოვლენას საქართველოსთვის სასარგებლო ასპექტში განვიხილავთ შესაძლოა იგი ჩვენითვის ორმაგად სასურველი აღმოჩნდეს საკითხის მერკანტილურ მხარეს თავი რომ დავანებოთ საცხენოსნო ტურიზმის მარშრუტი შეიძლება იმგვარად დააგეგმოს, რომ უცხოელისათვის საინტერესო აღმოჩნდეს. მაგალითად, მცხეთის მიდამოებში კულტურისა და ისტორიის ძეგლთა დათვალიერება, ჩვენი სულიერი თუ მატერიალური სიმდიდრის წარმოჩენა მსოფლიოს ცივილიზაციის საგანძურის თანაზიარად გვაქცევდა უცხოელთა თვალში და მომავალში ფრიად მნიშვნელოვან კიდევ ერთ საერთაშორისო დივიდენდს მოგვითმანდა.

ცხადია: საცხენოსნო ტურიზმის უმთავრეს ატრიბუტს ცხენი წარმოადგენს. ამიტომაც გადაწყვეტივით ორიოდე სიტყვა ჩვენს ყურნალში ცხენზე გვეთქვა. სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთი წევრის ბატონ ლევან მატარაძის რჩევით მივმართეთ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოში საცხენოსნო საქმის აღიარებულ მკოდნეს ბატონ დამიტრი წვერავას და ვთხოვეთ დაეწერა ჩვენთვის წერილი, რომლის მთავარი გმირი ცხენი იქნებოდა.

ბატონმა დამიტრიმ გულდასმით მოგვისმინა, თხოვნაზე თავაზიანი თანხმობა მოგვცა და ცოტა ხანში წერილიც მოგვაწოდა.

საპარტიზანო მეცხენეობა და საცხენოსნო ჯომარდობა უხსოვარი დროიდან არსებობს. ცხენი არაჩვეულებრივად მგრძობიარე ცხოველია. მას შეუძლია უჩვეულოდ თბილი ურთიერთობა დაამყაროს პიროვნებასთან. ეს დამოკიდებულება ფიზიოლოგიური გამოკვლევებითაც არის დადასტურებული. ვიკვლევდით რა სპეციალური ტელე-სისტემით დისტანციურად ცხენის და მხედრის გულის მუშაობას სხვადასხვა დატვირთვის დროს აღმოჩნდა, რომ, თუ ცხენი და მხედარი ბიომექანიკური თვალთახედვით შერწყმულად მოქმედებენ, მაშინ ცხენის და მხედრის გულის ცემის სიხშირეც სინქრონულია (რასაკვირველია სხვადასხვა დონეზე) და თუ ირ-

ღვევა ეს სინქრონიზმი, მაშინ ირღვევა მათი ბიომექანიკური არსიც და შედეგად — სპორტ-ტექნიკური შეცდომები.

მხედრის სპორტული ეფექტი მართო სპორტსმენის და ცხენის დაუღალავ, სისტემატურ წვრთნიდან არ გამომდინარეობს. არსებობს კიდევ სერიოზული პრობლემა ცხენის და მხედრის შეუთავსებლობა. ხშირია შემთხვევა, როდესაც მაღალკვალიფიციური სპორტსმენი ბრწყინვალე ცხენზე ვერ აჩვენებს მაღალ სპორტულ შედეგებს, ხოლო იგივე სპორტსმენი უფრო ნაკლებ ფიზიკურ და ფუნქციურ მონაცემების ცხენზე კი უკეთეს შედეგებს. ბიოლოგიური სისტემა „მხედარ-ცხენი“ ერთი მთლიანი ორგანიზაციაა წარმო-

დგენილი ადამიანისა და ცხოველის ფსიქოფიზიკური და ბიოფსიკიკური ურთიერთობის გამოვლინებების სახით. ასე რომ, რამდენი ცხენიც არის იმდენი ხასიათია.


ცხენი გამოირჩევა ყველა შინაური ცხოველისაგან თავისი ელეგანტობით, სილამაზით, შრომისუნარიანობით, ძალით და ერთგულებით. ცხენის მიმართ ინტერესი კაცობრიობის ისტორიის ყველა პერიოდში, დაწყებული უხსოვარი დროიდან, ყოველთვის დიდი იყო. ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში განსაკუთრებით აიღვალეზდნენ ცხენებს.

რომის იმპერატორ კალიგულას ისე უყვარდა თავისი ცხენი, რომ იგი გაზადა სენატის წევრად. ცხენს წამოხურული პქონდა სენატორის მანტია და რომაელ პატრიციებთან ერთად „იხილავდა“ ახალ კანონებს.

ესლა მსოფლიოს 160 ქვეყანაში სამასი სხვადასხვა ჯიშის 71 მილიონი ცხენი აღირიცხება. ევროპაში 1960 წელთან შედარებით ამჟამად 2-ჯერ მოიმატა

ცხენების რაოდენობამ, ხოლო ამერიკაში 2,4 ჯერ, რაც დაკავშირებულია იმით, რომ ცხენი სულ უფრო და უფრო გამოიყენება სოფლის მეურნეობაში. თანაც ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებია, რასაც ვერ ვიტყვით ჩვენს ქვეყანაზე, სადაც ადამიანმა სრულიად დაუშსაფრებლად შეაქცია ზურგი ცხენს.

ცხენს დიდი დამსახურება აქვს სოფლის მეურნეობაში, სამხედრო საქმეში, ტრანსპორტში, სპორტში. თეატრში. დიას თეატრში. ვენაში არის მსოფლიოში ერთადერთი ეგრეთ წოდებული „ცხენის თეატრი“, სადაც დღემდე რამდენიმე წარმოდგენა იდგმება. მისი ძირითადი მაცურებლები უცხოეთის ტურისტები არიან. თეატრში წარმოდგენილია ცხენზე ჯდომის უმაღლესი სკოლა, მაგრამ არა თანამედროვე, რომელიც მიღებულია მსოფლიო და ოლიმპიურ შეჯიბრებებზე, არამედ ძველად გაბატონებული ესპანური სკოლა. მიუხედავად ამისა გამოიყო მაცურებლის





ადექვატურმა რეაქციებმა ცხენის მიერ შესრულებულ თვითნებულ იღეთზე: პიაფე იქნებოდა, სერპანტინი, თუ კამბრა, რაც მოწმობს მყურებლის კარგად გათვითცნობიერებას სპორტის ამ სახეობაში.

ცირკის ისტორიაში ხომ უსაზღვროა ცხენის როლი. თვით ცხენის არენა, ხომ მანქანად იწოდება, რომელიც ცხენოსნობის ტერმინია და მისი ზომები ცხენის სარბენად არის განსაზღვრული. მინდა მოვიხსენიო ცირკის ისტორიიდან ერთი უნიკალური ნომერი, რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოში შეიქმნა და მის მერე მისი გამეორება ვერც ერთ არტისტს ვერ გაუბედავს. ეს იყო იტალიელი ფრანკო კორნადინის მიერ მომზადებული ნომერი, რომლითაც მან და მისმა ბედაურმა შემოიარა ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა და გააოცა მნახველი. ნომერის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ ფრანკო იჯდა ცხენზე, რომელიც გადიოდა ცირკის მიწებზე გაკიმულ ბაგირზე. ეს იყო, როგორც მნახველები აღწერენ მაშინდელ პრესაში, დაუფიქსარი სანახაობა და შესულია ცირკის ისტორიაში, როგორც განუმეორებელი რეკორდი.

ცხენს ადამიანები სხვადასხვაგვარად აღიქვამენ და სხვადასხვაგვარად გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას მის მიმართ. ნიკიტა ხრუშჩოვის აზრით ტექნიკური პროგრესის საუკუნეში ცხენმა დაკარგა თავისი ფუნქცია და გასცა ბრძანება ფიზიკურად გაენადგურებინათ იგი, ვინაიდან მათი შენახვა, თითქოს, ღიდ ტვირთად აწევს ქვეყანასო. დაიხურა ტრადიციული ცხენსაშენები, შეწყდა სელექციური სამუშაოები. წმინდა სისხლიანი ინგლისური, არაბული, თრაქენული, თეკური, ყაბარდოული და სხვა ხორცად ბარდებოდა ზოოპარკებს. მხეცების გამოსაკვებად ამ უმოწყალო გენოციდმა, სპეციალისტების აზრით, ნახევარი საუკუნით დასწია საბჭოთა კავშირი მეცხენეობის დარგში. განსაკუთრებით „იმარჯვეს“ ჩვენი რესპუბ-

ლიკის ხელმძღვანელებმა და ერთმანეთს ლის მოსმით მოსბეს მუხროვანის ცხენსაშენის ცხენები „ლაგოდები“ „იადონი“, „პირნათლი“, „ნორიო“, „ბალდადი“ რომლებიც ჩვენი ქვეყნის სიამაყეს წარმოადგენდა და ეხლაც მოიხსენებიან მეცხენეობის ისტორიაში. სხვა რესპუბლიკების ხელმძღვანელობა უფრო წინდახედულები გამოდგნენ და გადამალეს ჭიშინი ცხენები, უფრო მეტიც, ისარგებლეს რა მდგომარეობით, ხორცის ფასად შეიძინეს ელტარული ცხენები. მაგალითად უკრაინის ცხენსაშენმა „ვოსხოდმა“ მუხროვანის ყველაზე კარგი ცხენები ჩაიგდო ხელში. და როგორც კი შეწყდა ცხენების საწინააღმდეგო კომპანია „ვოსხოდის“ ცხენებმა მთლიანად დაიპყრეს საბჭოთა ქალაქების წამყვანი იპოდრომები და, ასე ვთქვათ, ევროპასაც გადასწყვდნენ.

დღესდღეობით ჩვენთან საქართველოში იგრძნობა ერთგვარი გამოცობლება ცხენოსნობის მიმართ. უფრო სწორედ ხალხში გაიღვიძა მრავალსაუკუნოვანმა ლტოლვამ ცხენოსნობისა და მეცხენეობისადმი. მაგრამ რადგან ყველაფერი ეს ხდება სტიქიურად ამიტომ ხშირად უცოდინრობისა გამო, საზიანოც არის. ჩემის აზრით საჭიროა შეიქმნას საკონსულტაციო პუნქტი იპოდრომთან, ან საცხენოსნო ფედერაციასთან, რომელიც დაეხმარება ცხენის მოყვარულებს არა მარტო ჭიშინ და ჭანსალ ცხენის შეძენაში, არამედ კვალიფიციურ კონსულტაციას გაუწევს მის მოვლა-პატრონობაში, კვების, ჰიგიენის, წვრთვნის საკითხებში და ამავე დროს ორგანიზებულ დახმარებას გაუწევდნენ მის ჩამოყვანასა და დაბინავებაში.



აღღმა უნიკალური

ინეაშის და ჰანის XII-XIII სს.

ოთხთავის ხელნაწერების უღების რესტავრაცია

საქართველოში მხატვრული გაფორმების დიდი ხნის ისტორია დასტურდება ჩვენამდე მოღწეული უნიკალური ხელნაწერებით, რომლებიც დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში, ხოლო ნაწილი გაფანტულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (მესტია, ქუთაისი, ზუგდიდი, გორი...)

ხელნაწერები ხშირად არაბელსაყრელ პირობებში ინახებოდა, რამაც გამოიწვია მათი დაზიანება, დეფორმაცია, დაშლა. დაზიანებული ხელნაწერები მოითხოვენ საფუძვლიან მოვლა-დაცვას და რესტავრაციას, რაც ხორციელდება კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ლაბორატორიებში*.

ჩვენს მიერ აღდგენილი ხელნაწერების ნუსხიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ინსტიტუტში დაცული „ეანის ოთხთავი“ ა-1335 და მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული „ინეაშის სახარება“.

ჩვენამდე მოღწეულ XII საუკუნის ხელნაწერებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აღგილი უკავია „ეანის სახარებას“.

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით ამ ხელნაწერს ჰქონია ჯვარცმის ჯოჯოხეთში ჩასვლისა და მახარებელთა ჭედური გამოსახულებებით შემკუ-

ლი ვერცხლის ბუდე, რომელიც, მეცნიერების აზრით, ხელნაწერის თანადროული უნდა ყოფილიყო. ხელნაწერს ჰქონდა მეორე ბუდეც, რომელიც წარწერის მიხედვით ჩიჯავაძეებს ოჯახის დაკვეთით გაუკეთებიათ პირველი ბუდის დასაცავად XVII საუკუნეში. ეს ორივე ბუდე შემდეგ დაიკარგა.

ხელნაწერი დაწერილია ნუსხურით, უმაღლესი ხარისხის ეტრატზე ორ სვეტად. შეიცავს 548 გვერდს. შემკულია უმდიდრესი კამარებით, მინიატურებით, თევსართებითა და სახუდაო ასოებით.

სარესტავრაციო ლაბორატორიაში მიღებულ ხელნაწერს გაუკეთდა პირვანდელი მდგომარეობის ფიზიკური აღწერილობა და ფოტოანბეჭდები.

ნახევრად დაშლილ „ეანის ოთხთავს“ ტყუეის ყდა არ გააჩნია, შემორჩენილი ჰქონდა მუხის მასალიხაგან დამზადებული ყდის ორივე ფრთა. ქვედა ხის ყდაზე გაკრული იყო შემორჩენილი გაცვეთილი ქსოვილის დიდი ნაწილი. მისი მოვარდისფრო ანაბეჭდი გადასულია ეტრატის ბოლო ფურცელზე. ზედა ყდის ნაწილი ქსოვილთან ერთად ანაჭამია. ჭიის კვალი ემჩნევა ყდის 1-13 ფურცელსაც.

ხელნაწერის ფურცლები დამზადებულია მაღალხარისხოვანი ეტრატისაგან. ეტრატის ფურცლების რესტავრაცია შეასრულა განყოფილების უფროსმა რესტავრატორმა ლ. ქუთათელაძემ.

რაც შეეხება ძველ ყდას, იგი გამოყენებული იყო. ხელნაწერი საჭიროება ახალი ყდის შემზადებას.

* სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების დროს ჩვენს მიერ გამოყენებული იყო ინსტიტუტში შემოწმებული და დანერგული ყველა სადენინფექციო, გასაწმენდი, დასარბილებელი და სხვა საშუალება.



ეტრატს შემორჩა მოქსოვილი ნაწნავის ფრაგმენტი, რის მიხედვითაც მოქსოვა ახალი, მუღინეს ფერადი ძაფისა გან. (შავი, შინდისფერი, მწვანე, ლურჯი)

ახალი ყდის მასალად გამოყენებულ იყო გამოხარშული, გამომშრალი, დამუშავებული წითელი ხე.

ხელნაწერის ეტრატის დაშლილი ფურცლები აიკინდა დახვეური წესით ოთხ ზონარზე, რვეულების აკინძვის შემდეგ დამუშავებული ყდის ფრთები დამაგრდა ამ ზონარებზე. ხის ყდებს გადაეკრა შინდისფერი „შვეროს“ ტყავი, ძველ ყდას შემორჩა ორი შესაკრავი თასმის კეალი, რის მიხედვითაც გაკეთდა ახალი. ტყავის თასმებს გაუკეთდა ლითონის ჩამოსაცმელები, რომლებიც დამზადდა ხელნაწერთა ინსტიტუტის დაკვეთით. რესტავირებულ ხელნაწერს დაუბრუნდა თავისი პირვანდელი სახე.

მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ხელოვნების ნიმუშებთან ერთად დაცულია რამდენიმე მდიდრულად მოხატული ქართული ხელნაწერი, მათ შორის გამოირჩევა XIII საუკუნის „იენაშის ოთხთავი“, რომელიც შუა საუკუნეების წიგნის მხატვრობის ისტორიისათვის მეტად საინტერესოა. მიხი მხატვრული შემკულობის საფუძველზე ქართველ ოსტატებს შეემატა წიგნის მომხატველთა კიდევ ორი ახალი — იონასა და თევდორეს სახელი.

„იენაშის ოთხთავი“ შეიცავს 252 ფურცელს. შესრულებულია ეტრატზე ნუსხური დამწერლობით ორ სვეტად. ხელნაწერი ჩასმულია ტყავგადაკრულ ხის ტვიფრულ ყდაში, რომელიც, თავის მხრივ, მოთავსებულია ორნამენტებით და გამოსახულებებით შემკულ ვერცხლის ჭედურ ბუდეში. ხის ყდაზე ტყავის გადაკრა ასრულებდა ვერცხლის ყდის სარჩულის მაგივრობას.

ხელნაწერი მდიდრულად არის მოხატული კამარებით, მახარებელთა მინიატურებით, თავსართებითა და სახედასოებით.

ხელნაწერს რესტავრაციამდე გაუკეთდალი მგობარი № 1, 1992

ეთდა ფიზიკური მდგომარეობის მსჯელობა და ფოტოანაბეჭდები. შინდისფერი

ეტრატის ფურცლებს რესტავრაცია არ ესაჭიროებოდა ხელნაწერი მოითხოვდა მხოლოდ აკინძვას და ყდის რესტავრაციას.



პირველ და ბოლო რვეულებს გაუკეთდა ახალი ფორზაცი, რომელიც ტონირებულ იქნა ჩაის ნაყენით, რის შედეგადაც მიიღო ეტრატის იერსახე და ტონალობით მიუახლოვდა ხელნაწერის ეტრატს.

ხელნაწერს მოჰყვა ნაწნავის პატარა ფრაგმენტი, რის მიხედვითაც მოიქსოვა ახალი „კაპტალი“ (თეთრი, ყვითელი, წითელი, შინდისფერი, ლურჯი, შავი მულინეს ძაფებისაგან).

რვეულად დაშლილი ხელნაწერი აიკინმა ხუთ ზონარზე დაზგური წესით.

ადრეულ საუკუნეებში ეტრატის ძვირფასი ხელნაწერებისათვის მზადდებოდა განსაკუთრებული ხის ყდები. «იენაშის სახარების» ყდაც დამზადებულია იყო სქელი მუხის მასალისაგან, გადაკრული ყავისფერი ტვიფრული ტყავით.

ძველ ყდას ეტყობოდა აღრინდელა რესტავრაციის კვალი. დაზიანებული ყდა ხელნაწერის დაუშლელად, ზედაბრულად გამაგრებული იყო ტყავის პატარა ნაჭრებით.

საუკუნეების განმავლობაში „იენაშის სახარების“ ყდის ტყავი გამოიფიტა და ძლიერ გამოხმა. საჭირო იყო მისი გაწმენდა, დარბილება, ამოღვეჯილი და გაკვეთილი ადგილების შევსება-რესტავრაცია.

რამოდენიმე ადგილას გადატეხილი ხის ყდები რესტავრაციის დროს გამაგრდა, ყდების ნაკლები კუთხეები შეივსო.


ხელნაწერის ყდას არ შემორჩა ტყავის ყუა, რის შედეგადაც გამოვიყენეთ ახალი, მაღალხარისხოვანი ტყავი.

ხელნაწერს გააჩნდა ტყავის სარქველიც, რომელიც აგრეთვე გამხმარი, გამოფიტული და დაპატარავებული იყო. სარქველის ტყავი დავამუშავეთ, დავარბინეთ და აღვადგინეთ.

ხელნაწერის შესაკრავებად ძველი ყდის ტყავის თასმაც აღვადგინეთ.

ყდის რესტავრაციის შემდეგ მას გადაესვა სპეციალური დასარბილებელი საცხი.

კულ მდგომარეობაში იყო გამოსახუ-




ლებებით და ორნამენტებით შემკული ვერცხლის ჭედური ბუდეც, რომელსაც დაკარგული ჰქონდა ბევრი ფრაგმენტი. მოხერხდა მხოლოდ ამ ბუდის შემორჩენილი ფრაგმენტების გამაგრება ვერცხლის ლურსმნებით ხელოვნებითმცოდნე რუსუდან ყენიას მიერ.

ამგვარად, ინსტიტუტის თანამშრომელთა გულმოდგინე მუშაობის შედეგად მოხერხდა უნიკალური ძეგლების აღდგენა-რესტავრაცია.

სწრაფი: იენაშის სახარება XIII ს.

ხელნაწერის ზედა ყდის ფრთა; იენაშის სახარების ქვედა ყდის ფრთა; „ენის ოთხთავი“ (XII ს.) რესტავრაციამდე; ენის ოთხთავი რესტავრაციის შემდეგ.



გეთილ საქმეთა მოთავე

ბატონ სიმონ ჯაფარიძეს, ძეგლთა დაცვის საქმის გულწრფელ მოჭირნახულეს ნახევარი საუკუნე შეუსრულდა - ვულოცავთ!

არიან ადამიანები, რომლებიც რწმენითა და თავდადებით მიჰყვებიან ერთხელ არჩეულ გზას და ცხოვრების აზრს სიკეთის სამსახურში ზედავენ.

ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს შექმნის პირველი წლიდანვე მუშაობს აქ ბატონი სიმონ ჯაფარიძე - არაერთი კეთილი საქმის მოთავე. სხვისი ჭირისა და ღვინის მოზიარეს ბატონ სიმონს გულწრფელად სჯერა, რომ ცხოვრება იმ სახეს მიიღებს, რა სახისა და მისწრაფების ადამიანებიც ტრიალებენ მასში.

ერთ-ერთმა პირველმა ამიტომაც მიაკითხა ახლად აღორძინებულ ჭერემს; წლების განმავლობაში შეფობდა სოფლის საშუალო სკოლას. თანამშრომელთა თანადგომით საფუძველი ჩაუყარა სკოლის ბიბლიოთეკას, სხვადასხვა საჭირო ინვენტარი თუ სპორტული კომპლექტი გადასცა სარეკლამების მეგობარი № 1, 1992

დონწავლებებს. ასეთივე ფონდი შეუქმნა უფლისციხის მუზეუმ - ნაკრძალს.

არაერთი ხანტერესო და დასაძახლოვრებელი შეხვედრა მოეწყო მისი ინიციატივით: სამმართველოს თანამშრომლებს კეთილ მოგონებად დარჩათ საღამოები ვახუშტი კოტეტიშვილის, შოთა ხოდაშენლის, ნანა ალექსანდრიას, ბავშვთა ფოლკლორულ ანსამბლ „ურ-ლულისა“ და ზელოვნების მუშაკთა სახლის შემოქმედებით კოლექტივთა მონაწილეობით. მისივე ინიციატივით მოეწყო ლიტერატურული საღამო ხანტერეში აკაკი წერეთლის 150 წლისთავის სიუბილედ.

ორჯერ მოაწყო სამმართველოში მომუშავე მხატვართა გამოფენა, სადაც საკუთარი ფერწერული ნამუშევრებიც წარმოადგინა;

10 წლის განმავლობაში ემსახურა იგი საქართველოს ბუნების ძეგლების დაცვის საქმეს; ფეხდაფეხ შემოიარა მთელი საქართველო. მრავალი წერილი თუ ნარკვევი უძღვნა ბუნების ძეგლთა დაცვის პრობლემებს: „ეინ უშველის უნიკალურ ბეობას?“ („საქართველოს ბუნება“ № 11, 1988 წ.), „ზელოტუქმნელი ძეგლები“ („საქართველოს ბუნება“ № 3, 1990), „ეკოლოგია და ძეგლები, ანუ ეინ ისქვლები ჯიბის ჩვენი ეროვნული სიმდიდრით...“ („საქართველოს ბუნება“ № 2, 1991), „ეისია საქართველოს კურორტები?“ („საქართველოს ბუნება“ № 1, 1990), „უნიკალური ბუნების ძეგლები“ („ძეგლის მეგობარი“ № 3, 1987), „ბოდორინის სვეტი და ქვაბები“ („ძეგლის მეგობარი“ № 2, 1988), „სვეტი ცხოველი“ (გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“ № 1/XII, 1988) „გარეჯის გადასახედიდან“ (გაზ. „სახალხო ვანთალება“, 27/V, 1988), „წინ... წარსულისაკენ“ (გაზ. „ეცხოვრებისა“ № 1, XII, 1990), „ჰე, შამულო!.. გრძნობა შენი მოვლიხა...“ („ლელო“, 7/VI, 1989), „სულის სავანური“ („ლელო“, 18/V, 1989), „ჩვენ ბუნებაში ვართ, ბუნება - ჩვენ-



შია..." („ღელა", 28/IX-91), „ცა - ფირუზ, ხმელეთ - ზურმუხტი..." („ღელა", 27/IX, 1989), „უფრო დამშვენდეს უფლისციხე" („სოფლის ცხოვრება", 27/XI 1988) და სხვ.

ამჟამად ბატონი სიმონი ძველთა და ცეის სამსახურშია, როგორც ძველთა და ცეის რესპუბლიკური ინსპექციის წარმომადგენელი.

მისი შემოქმედებითი უნარი და შესაძლებლობები არ შემოფარგლულა მხოლოდ სამსახურებრივი საქმიანობით: წლების განმავლობაში, იმერი ზრეველის ლიტერატურული ფსევდონიმით აქვეყნებდა მხატვრულ ნაწარმოებებს პერიოდულ გამოცემებში. ძველთა და ცეის ორგანიზაციების გაერთიანებული პროფკავშირის პრეზიდიუმმა გამოცემლობის წინაშე უშუალოდგომა ავტორს, რომ ეს ნაწარმოებები კრებულის სახით გამოეცა. ამ თანადგომის შედეგად 1991 წელს მკითხველმა მიიღო ლიტერატურული ფსევდონიმით გამოქვეყნებული სიმონ ჯაფარიძის სამი პოეტური კრებული: „ორდარა დრო", „ბოროტსა სძლია კეთილმა" და „რადგან შენ წაიდა", რომელთა მხატვრული გაფორმება ასევე, სამმართველოს წარმომადგენელს, მხატვარ ნუგზარ გიგაურს ეუფენის.

როგორც ჟანრობრივად, ისე ფორმითა და შინაარსით ეს სამი კრებული განსხვავდება ერთმანეთისაგან: „რადგან შენ მწამდი" - ლირიკულ ნაწარმოებთა კრებულს წარმოადგენს; წიგნში - „ბოროტსა სძლია კეთილმა" ორი საბავშვო პოემაა გაერთიანებული, ხოლო მათ შორის ანალოგი არ მოეპოვება პალინდრომების კრებულს - „ორდარა დრო". ეს წიგნი იმითაა საყურადღებო, რომ ყველა ნაწარმოების ტექსტი ორმხრივად იკითხება.

აი, რას წერს შესავალ წერილში წიგნის რედაქტორი ზურაბ ასკანელი: ეს წიგნი - „პალინდრომების ცალკე გამოცემული პირველი კრებულისა საქართველოში. სტრუქტურულად ურთულესი აღნაგობის ლექსები იშვიათი ოსტატობით

არის შესრულებული - ავტორმა ფილიგრანულად ფლობს ლექსის ფორმას. სრულიად გაუმორებელია მისი ოთხმხრივი პალინდრომები, რომლებიც არა მარტო თარაზულად არამედ ვერტიკალურადაც ორივე მხრიდან ერთნაირად იკითხება, კიდევ უფრო საოცარია თექვსმეტმარცლიანი შაირით გაწყობილი რითმიანი სტრაქონები...

ავტორის ხელში ქართული სიტყვა აქამდე გამოუმგლაგებელ იღუმალ შინაგან ბუნებას ავლენს და მის სიღრმეში ჩაბუდებულ იშვიათ ფარულ საგან-იორზეც მიგვანიშნებს.

სიმონ ჯაფარიძე მომავალი წლისათვის გამოსაცემად კიდევ ორ წიგნს ამზადებს: ერთში თავმოყრილი იქნება პრესაში მის მიერ გამოქვეყნებული მასალები ძველთა და ცეის პრობლემებზე, ხოლო მეორე - კვლავ მხატვრული კრებულისა, რომელშიც სხვა ნაწარმოებებთან ერთად შევა ბულგარულიდან თარგმნილი ფოლკლორული და სხვადასხვა ავტორთა სატირული ნაწარმოებები.

ამ წიგნების ავტორსა და ძველთა და ცეის საქმის გულწრფელ მოჭირნახულეს - სიმონ ჯაფარიძეს 50 წელი შეუსრულდა; იგი პირნათლად მოვიდა ცხოვრების ამ მიჯნასთან...

ჩვენს მილოცვასთან და კეთილ სურვილებთან ერთად გვინდა, ისე თვალსაჩინო და ხელშესახები ყოფილიყოს მომავალშიც მისი საქმიანობა, როგორც ეს ამ 50 წლისთაზე გამოძეურდა.

ძველთა და ცეის ორგანიზაციების პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის პრეზიდიუმი,
ძველის შეგობრის სარედაქციო კოლეგია.

სიმონ ჯაფარიძე

ბუნება — ტოპონიმთა არქაული საძიარკველი

...სალხური ლეხინი, ზაირანი, ზღაპარანი, თმშუღანანი, ლეხინდანი, იბავ-არაქანი და სხვა, რაც კი შეადგენს ზეპირსიტყვიერებას — სწორედ უკველი ერისათვის ძვირფასი განძია. ეს ზეპირსიტყვიერება თანდათან ჩაეწყვესა ეძლევა საქმე მოსწრებაზე და ორ დაიგვიანებს. ერის ამ წელაწილს აქვს მხედველად აღარ აქნება...

...შავი ქვის (მარგანეცის) საქმე რომ ჩემდაგუნებხად წახულიყო, მაშინ მე ვაპირებდი ამ დიდებულს და ფრად ხაირო საქმიანთის შემდეგინა ხელოფი თანხა...

აკაკი

შესრულდა დიდი ქართველი პოეტის, აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავი.

ქართველი ერი, რომელმაც სიცოცხლეშივე მიაგო პატივი და დიდება თავის საყვარელ მგოსანს, საუკუნეგამოვლილ მის პოეზიას დღესაც დაუმცხრალი წყურვილით ეწაფება; ხოლო აკაკის თავიანთი და მთის ბროლივით გამჭვირვალე შემოქმედება, ქართული კლასიკური მემკვიდრეობის უზარმაზარ დედა მდინარეს შეერთებია სამარადისოდ...

მგოსნის ცხოვრება და შემოქმედება ერთმანეთისაგან განუყოფელია... ცნობილია, რომ ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის საქმეს პირველად აკაკიმ დაუდო სათავე და თუმცა, ქართული მიწის ამ სიკეთემ მას უსიამოვნება და ვნება უფრო მოუტანა ვიდრე სარგებელი, დღეს ეს ქალაქი აკაკის სახელს უკავშირებს თავის სისხლსავე არსებობას, რადგან დიდბუნებოვანი მამულიშვილის ღვაწლი, როდესაც იგი მიმართულია ერის უანგარო სამსახურისაკენ, — უკვალოდ და უნაყოფოდ არ ქრება...

„არავინ იცის თუ რა იყო ჩემი მიზანი და რაზე ჩავები შავი ქვის საქმეში. პირადი ანგარიში მე არა მქონდა რა, ოღონდ კი იმედები, რომლითაც მაშინ მე ეხელმძღვანელობდი, განხორციელებულიყო და მზად ვიყავი მთელი ჩემი ჯვალის მეგობარი № 1. 1992

სიცოცხლე ხილარბეში გამეტარებინა, გინდ ზელა-წვდილი დლიური ღუკის მოსაპოვებლად...“

საუკუნეზე მეტი დრო გავიდა აკაკის მიერ ხელდასმულ ქალაქში, ჭიათურაში მარგანეცის მრეწველობის დაწყებიდან და მგოსნის სახელიც განუყოფელია ამ ქალაქის ასწლოვანი ბიოგრაფიისაგან.

აკაკის ღვაწლი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, თუ გაითვალისწინებთ, რომ ქალაქის ღირსეულ სამრეწველო ბიოგრაფიას წინ არანაკლებ საინტერესო ისტორიული წარსული უსწრებდა, რომლის კვლევა კარგა ხანია, ისტორიკოსთა და არქეოლოგთა ყურადღების საგანი გამხდარა...

მდინარე ყვირილას ხეობაში და უშუალოდ ჭიათურის შემოგარენში, მიუკავალი კლდეებიდან გამოშობილი მღვიმე-სახიზრები მეტყველი დადასტურებაა იმისა, რომ აქ უხსოვარი დროიდან იყო ადამიანი დამკვიდრებული.

მეთვარამეტე საუკუნის გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ეახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს:

„...ამ ყვირილას იქით და აქეთ კიდენი არს ფრად მაღალი კლდე, და არიან მას შინა ქვაბნი მრავალნი, გამოკვეთილნი სახიზრად და შეუალი მტრისაგან, და საკურველი, თუ ვითარ უქმნიათ. და დადა ეხენიცა ეამსა ყრუსასა“.

ქართველი მეცნიერის ამ ცნობაში



აღნიშნული ფაქტი გვაძლევს საფუძველს ვიგულისხმობთ, რომ ეს მღვიმე-გამოქვაბულები ფუნქციონირებდნენ ძირვე საუკუნის ოცდაათიან წლებამდე, ვიდრე არაგბმა უსასტიკესი, შეუსბეზელი და გულუკა მარბიელის, მურვან ყრუს წინამძღოლობით მთლიანად მოსრეს საქართველო და უწყალოდ გაასადღურეს ამ საბიზართა ბიზნებიც...

ამ მღვიმე-გამოქვაბულების მკვიდრთა ჩაქმანობას, ვახუშტის ცნობის მიხედვით სულ ცოტა ორრეტსაუკუნოვანი პერიოდი გვაშორებს, თორემ ყვირილბა და მისი შენაკადის - გრუჭულის ბეობების მღვიმეთა სანახებში გათხრული კულტურული ფენები ქვის ხანის არქეოლოგიურ ნაშთებსაც მრავლად ინახავენ, რომლებიც 100 წლის ქადაქისა და მისი შემოგარენის თითქმის ას საუკუნოვან ისტორიაზე გვიქმნიან წარმოდგენას (ამ ადგილებში პალეოლითური ხანის სადგომებს წარმატებით აკლავს არქეოლოგი დ. თუშაბრაძისშვილი).

ამოქმად, კოვლი ისტორიული ნაშთი, ადგილთა ისტორიული სახელწოდება, მკვლევართა და სპეციალისტთა ყურადღებისა და ინტერესის საგანს წარმოადგენს.

ნარკვევში იმ ადგილთა ტოპონიმიკაზე საუბარი, ჭიათურას გარს რომ აკრავს და რომლებიც აკაკის მშობლიურ ზემო იმერეთის სანახებთანაა დაკავშირებული.

მკვლევარი ვ. ჯაოშვილი თავის ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევების წიგნში - ჭიათურა („მეცნიერება“, 1979, გვ. 20), აკაკის წამოწყებას მარგანეცის მადნის მოპოვების საქმეში, ასე გადმოგვცემს:

„მაღალა რა დაინტერესებული პირუბის მატერიალურ მხარდაჭერას, გახარებული პოეტი დიდი ენთუზიაზმით შეუდგა ამ საქმის შესრულებას. მან იჯარით აიღო მღვიმევისა და ზედა რგანის შუა მდებარე მიწის ნაკვეთი „კეციხნარის“ სახელწოდებით და შეუდგა მადნის

მოპოვებას...“
 ტოპონიმი „კეციხნარი“ სხვაგვარად არცხალის (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით - ჯაგრცხალა) ჯიშის მცენარის - კენცხას სახელთანაა დაკავშირებული.

ადგილობრივ მკვიდრთა დახასიათებით - კენცხას განსაკუთრებული თვისებები - მკვრავი მერქანი და კარგი ნაკვერცხალი აქვს, რითაც ეს მცენარე პოპულარულია ხალხში („მწკადის შესაწვავად კენცხის ნაკვერცხალი უკეთესია“); ქართულ სალიტერატურო ენაში დამკვიდრებული „ნაკვერცხალის“ ეტიმოლოგიურ ვარიანტს სწორედ ეს „ნაკეინცხარი“ (ბევრათრანსკელვით - ნაკეირცხალი) ანუ „ნაკვერცხალი“ - სიტყვის იმერული, დიალექტური ფორმა წარმოადგენს.

სულხან საბა ორბელიანს „კეინცხას“ პარალელური ფორმა - „კეინწხი, (ხე)“ - აქვს აღნიშნული (ლექსიკონი ქართული, „საბჭოთა საქართველო“, 1966, გვ. 399); სწორედ აქედან ნაწარმოები სიტყვა - „ნაკვერცხალი“ უნდა დამკვიდრებულიყო სალიტერატურო ენაში...

ზემოთ მოხზობილ ვ. ჯაოშვილის ტექსტში, ტოპონიმ „კეციხნარი“-ს გვერდით გვხვდება მეორე გეოგრაფიული სახელიც - „მღვიმევი“.

როგორც სახელწოდება მიგვანიშნებს, „მღვიმევის“ ეტიმოლოგიურ საფუძველს - მღვიმე წარმოადგენს.

„ვეირილის ჩრდილოთ კერძ კიდებედ, - გადმოგვცემს ვახუშტი ბაგრატიონი, - არს მღვიმე, კლდე დიდი გამოკვეთილი, და მას შინა მონასტერი უგუნაოსო, ნათელის ბრწყინვალის ქვით შენი, კახაბერ რატვის ერისთავისაგან აღშენებული. ქვაბსა შინა დის წყარო დიდი და კეთილი...“

მრავლობითის აღმნიშვნელი - ვვ სუფიქსის დართვით სიტყვაზე - „მღვიმე“. მიუღია ამ ადგილს სახელწოდება - მღვიმევი, რაც აქ არსებულ მღვიმეთა სიმრავლეზე მიუთითებს, ხოლო შემდეგ ამ ადგილის სახელის მიხედვით შერ-



ქვეთა XIII საუკუნის მონასტრისა — მღვიმეის მონასტრი.

საინტერესოა სიტყვა „მღვიმესთან“ კონტექსტში „მონასტრის“ მისადაგება. ვახუშტის ნაწერებსა და ადრეულ ტექსტებში, მონასტრი იხსენიება როგორც „მღვიმის“ (და არა „მღვიმეის“) მონასტრი ან: „მონასტერი მღვიმისა“, — რაც მართებული ფორმაა, რადგან იწარმოება ტერმინით — „მღვიმე“.

ერთი სიტყვით, „მღვიმემ“ მისცა სახელი როგორც დასახლებულ ადგილს, ასევე მონასტრისა და ეტიმოლოგიურად იგი არქაული წარმოშობის სიტყვაა.

მღვიმესთან, როგორც ადამიანის ცხოვრების უადრეს პერიოდთან დაკავშირებულ ობიექტთან კონტექსტში ნაწარმოები ტოპონიმები საინტერესოა ისტორიული თვალსაზრისით, რადგან ეტიმოლოგიურად, ამგვარ სიტყვათა უმეტესობა ისევე ძველია, როგორც ადამიანის ცხოვრების ადრეულ საფეხურზე მის შემცენებაში გააზრებული ცნებები, დაკავშირებული მიწასთან, წყალთან, კლდესთან, მკვანარებთან, მნათობებთან თუ თვით ადამიანებთან, — საიდანაც დაედო საფუძველი ამა თუ იმ სახელის წარმოშობას...

ხუღხან ხაბა ორბელიანს თავის „ლექსიკონში“, მღვიმესთან დაკავშირებული არაერთი ტერმინი აქვს მოხმობილი, რომელთაც შინაარსობრივად აერთიანებს ერთ სიტყვაში — „მთხრებლი“;

„მთხრებლი“. ესეცა განიყოფებთან: რამეთუ მღვიმე არს მთხრებლი კლდისა კაცთათვის საპატიმრო, გინა თავით თუიხით შთაჯდეს სინანულითათვის.

ხნარცხი არს მთხრებლი მიწისა მსგავსად მღვიმისა.

მრამი არს მთხრებლი მიწისა ხვარბალთა და მისთანათა სამარხავად.

ხარლი არს მთხრებლი შინაგან ქუთხირით ამოგებული.

ჭა არს მთხრებლი კლდისა ანუ ხაგები წყალთათვის სადგომლად. ვიეთინ

ლაკვას უხმობენ;

„სურდმული“ არს რა ურწმუნოა ადგილთა თხარონ მთხრებლი, შინაგანითა მუნ წყალი აღმოაყენოს“ (ლექსიკონი ქართული, „საბჭოთა საქართველო“, 1966, გვ. 475).

იმის სათელსაყოფად, თუ რა მძლეურად მონაწილეობს გეოგრაფიული სახელის შექმნაში მღვიმე, კიდევ ერთი ფაქტის მოტანა შეიძლება, იმავე ჭიათურის რაიონის სოფელ ხრეთის სახელწოდების მაგალითზე.

პროფ. ზ. ჭუმბურიძის ნაშრომში — „რა კვება შენ?“ („ნაკადული“, 1971), სხვა სახელებთან ერთად, ხრეთის სახელწოდების წარმოშობა ასეა ახსნალი: „ხრამიში სოფლის სახელია ზემო იმერეთში. აქ გამოიყოფა სუფიქსით, ხოლო ფუძეა — ხრე, რომელიც ღრე -საგან უნდა იყოს მიღებული, ღრე -ამგვამდ ცალკე არ გვხვდება, მაგრამ შემონახულია რთულ სიტყვებში: კლდე — ღრე, ტყე — ღრე (ნიშნავს კლდიან, ღორდიან ადგილს). აღსანიშნავია, რომ ხრეთის მახლობლად მეორე სოფელს კლდეეთი ქვია“.

როგორც პროფ. ზ. ჭუმბურიძე აღნიშნავს — „სიტყვა ღრე — ამგვამდ ცალკე არ გვხვდება...“ მართლაც, ამგვამდ დამოუკიდებელ ფუნქცია დაკარგული კომპონენტ — ღრე ცალკე არ იხმარება, არ იხმარება იმიტომ, რომ დაკარგულია მისი აზრობრივი მნიშვნელობა, სიტყვის შინაარსი. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ღრე — ტყესთან და კლდესთან მიმართებაში იხმარება — იგი რელიეფის უსწორმასწორობას უნდა აღნიშნავდეს, ანუ სიღრმეს, სიღრმეებს გულისხმობს და წარმოადგენს უფრო არქაულს, მაგრამ დღემდე შეტყვევებაში დამკვიდრებული სიტყვის, ღრე -ს (სიღრმე) სახეცვლილ ფორმას.

აკად. ა. შანიძე განმარტავს: „ეთ სუფიქსი არის ჩვეულებრივი და გველახე გავრცელებული სახე გეოგრაფიულ სახელთა საკუთარი მანარმოებლისა, ის უშუალოდ დაერთვის საზოგადო სახელ-

თა ფუძეს: ტბ-ეთ-ი, ქორ-ეთ-ი, კლდე-ეთ-ი...

ით ვგუხვდება, როგორც კარიანტი ეთ-ა-სა რამდენიმე სოფლის სახელში: ღვინკ-ეთ-ი, როკ-ეთ-ი, ბოლ-ეთ-ი, ხრე-ეთ-ი, (ღრე-ეთ-ი? სადაურობის სახე-ლია; ხრე-ე-ელ-ი) და სხვა." (ა. შანიძე, იხ. ტ. II, გვ. 441).

როგორც ვხედავთ, ა. შანიძეს „ხრე-ით“-ის ეტიმოლოგია ბოლომდე არა აქვს განსაზღვრული და მას კითხვის ნიშნით ტოვებს, მაგრამ იქვე, ნარ-თანთან მრავლობითით ნაწარმოები ტოპონიმების ანალიზის დროს ეთ და ით სუფიქსზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ „სამოთ-ელილი სუფიქსებით არ ამოიწურება მრავლობითის ნიშნები ასეთ სახელებში, მათ უნდა მიემატოს კიდევ -ევ, რომელიც ვგუხვდება ტოპონიმიკაში, როგორც სურამის ქედის აღმოსავლეთით, ისე მის დასავლეთით, განსაკუთრებით ხშირად კი გვირილასა და ძირულას ხეობებში“.

ა. შანიძე ევ სუფიქსიან ტოპონიმთა ანალიზისა და მათი გავრცელების არეალის გათვალისწინებით, შემდეგ დასკვნებს აკეთებს:

„-ევ სუფიქსის გავრცელების ძირითად არეალს შეგვიძლია ჩავთვალოთ ტერიტორია არაკვიდან რიონის შუა წელამდე, ეს ის ტერიტორიაა, რომელიც ძველდროსში საბოლოო ენის გავლენის ფარგლებში იყო მოქცეული: ქართულისა, ზანურისა და სვანურისა. ამ ეთნის მოსახლეობის ენას, ევ სუფიქსის გარდა უეჭველია, სხვა ებერი რამ ჰქონდა თავისებური, რომელიც მას გამოჰყოფდა როგორც ქართულისაგან, ისე ზანურისა და სვანურისაგან. ისიც უეჭველია, რომ ეს თავისებურებანი რამდენადმე შემონახული იქნება ნაშთების საბით ქართლში, იმერეთში და რაჭაში, ეს გადმონაშთები უნდა ვეძიოთ როგორც ენის აგებულებაში, ისე ლექსიკაში, განსაკუთრებით მაინც უკანასკნელში“.

ჩვენს ორიენტირსაც ტერმინ „ხრე-ითის“ საწყისი ფორმის ძიების დროს, სწორედ ლექსიკური ფენომენი წარმოადგენს და მას იმ ლექსიკურ ფორმასთან

მივყავართ, რომელიც სიტყვის პირვანდელ სტრუქტურაშია შენახული და აქ არსებული მღვიმეების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულის შინაარსს გამოხატავს.

თუ უფრო ღრმად ჩავიხედავთ სიტყვის წიაღში, დავინახავთ, რომ „ღრუ-ეთ“ ფუძეში ეთ სუფიქსი მრავლობითის ფორმა და მიუთითებს ღრუ ადგილების არსებობას, ანუ მღვიმეთა სიმრავლეს (რაც დადასტურებულია სოფელსა და მის პერიფერიაში). ეთ სუფიქსი შედარებით მოკვიანო ფორმაა და მას წინ უნდა უსწრებდეს სუფიქსი ევ, რომელიც ასევე მრავლობითობის გამოხატველი ნიშანია. გარკვეულ პერიოდში, შესაძლებელია, ევ სუფიქსით ნაწარმოებ სიტყვაში ერთდროულად ფუნქციონირებდა სუფიქსი ეთ; ასეთ შემთხვევაში „ღრუ-ევ“-ის ნაცვლად მოსალოდნელია რომ ყოფილიყო „ღრუ-ევ-ეთ“ ფორმა.

„ღრუ“ და „ღრუ“ ფორმები თავისთავად საინტერესო ეტიმოლოგიური ნიშნების მატარებელი ფორმებია და თუნდაც ზემოთმოთხანილი სიტყვების ფუძეთი ძიებისას ღირდა მათზე ყურადღების გამახვილება, მაგრამ მღვიმესთან დაკავშირებულ სიტყვებს შორის არის სხვა საინტერესო ფუძეებიც, რომლებიც ასევე იმსახურებენ ყურადღებას სოფლის სახელწოდების წარმოშობის დასაზუსტებლად.

ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ბუჯაზედ (მდ. ბუჯა გამოედინება „კარიანი კლდის“ ერთ-ერთი კარსტული მღვიმიდან -ს. ჯ.) არს, ქვა-ციხეს მდინარის კიდურზედ, წყარო გამომდინარე, რომელსა გაზაფხულს მიუდგამენ ვოდორსა და აღივხების წერილის თევზითა, წყაროდან გამოძავლითა, ვითარ ვერ მოასწრებენ აღმოღებას სამ თვეოდენ ესრეთ, მერმე არლარა და უწოდებენ ამას ღრულოს“. (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბუ, 1941, გვ. 153).

ამასთან, სულხან საბა ორბელიანი განმარტავს: „ღრულოს უწოდებენ მდინარისა და კლდეთა წყაროსა, გამომდინარესა კლდის ხურელთაგან, ზამთარ თევზთა

საბუნაოსა". (ლექსიკონი ქართული, თხზ. ტ. IV, გვ. 735). საბას მიერ სიტყვა ღრუღოს განმარტებაში ნახსენები და ძველთაგანვე ქართულ მეტყველებაში დამკვიდრებული სიტყვა „ხურელი“ უნდა იყოს ეტიმოლოგიური კერხისიხის ის ძირითადი დასაყრდენი, რომელიც, განსხვავებით პროფ. ზ. ჭუმბურიძის განმარტებისა, იძლევა გასაღებს სახელწოდება* „ხრეთის“ წარმოშობის გარკვევისათვის: მრავლობითი ევ და ეთ (ანუ იგივე ით... ა. შანიძე) სუფიქსების დართვით, ელ მაწარმოებლის გარეშე (ხურელ) მოცემული ძირი „ხურ“ -გვაძლევს სიტყვას: ხურ-ევ-ით-ი.

როგორც ცნობილია, „ხურ-ელ“ ფუძეში არსებული უ -ძველ ქართულში გამოხატული იყო ორი გრაფიკული ნიშნით: ო -ნით და ჰ -თი, რომელიც შემდეგ გამარტივდა (როგორც ა. შანიძე თვლის, ეს პროცესი XII საუკუნიდან იწყება); ამ გამარტივების შემდეგ, სიტყვა ხურ-ევ-ით-ში დასუსტებული უ ბგერა საერთოდ დაიკარგა და სიტყვამ მიიღო ფორმა ხრ-ევ-ით-ი და დისიმილირებული ჰ ბგერის ანოვარდნით მივიღეთ დღევანდელი სახელწოდება - ხრეთი.

აქვე აღნიშნავ, რომ ამოვარდნილი ბგერა საბოლოოდ არ დაკარგულა: სოფლის მკვიდრს სადაურობას თხავთ იგი გაიპასუხებთ, რომ კარგაა „ხრეთელი“ ან „ხრელი“ (როგორც მოხალოდნელი იყო). არამედ - „ხრ-ველი“; როგორც ეხედავთ „ე“ ისევე დაუბრუნდა თავის „ძველ ადგილს“.

როგორც ა. შანიძე ვარაუდობდა, მრავლობითის ორი სუფიქსი ევ და ეთ(ით) ისტორიული წარსულის რომელიმე მონაკვეთზე ერთად მონაწილეობდნენ სიტყვის წარმოქმნაში, რისი კვალიც დღემდე შემოინახა სიტყვამ (ხრ-ევ-ელ-ი, ხრ-ე-ით-ი).

სოფლის სახელწოდება -ხრეთი, როგორც ვნახეთ „ხერელის“ ანუ „ღრუს“, „მღვიმის“ ლექსიკურ საძირკველზეა დაფუძნებული.

...და ბოლოს თვით ჭიათურის სახელწოდების შესახებ, რომელიც ასე განუყრელად დაუკავშირდა დიდი შოსნის სახელს და თავისი მნიშვნელოვანი სამრეწველო ბიოგრაფიით ვალშია აკაკი წერეთლის ხისენის წინაშე...

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, ვიათურის არქეო-

25. სოფ. წესი. ბარაკონი გუმბათიანი ეკლესია. 1753 წ. ნაწილობრივ დაინგრა გუმბათი
26. სოფ. წესი. „მინდა ციხე“. განვითარებული შუასაუკუნეები, დაინგრა მთლიანად.
27. სოფ. ხიმში. დარბაზული ეკლესია XI ს. დაინგრა მთლიანად.
28. სოფ. ხიმში. „ლანდიას ციხე-კოშკი“, დაინგრა ნაწილობრივ.
29. სოფ. ხონჭიორი. ჭელიშის მონასტერი „უდაბნო“ XVI ს. ღვთისმშობლის ეკლესია, დაინგრა მთლიანად. დაიღუპა კედლის მხატვრობა.
30. სოფ. ხონჭიორი. გუმბათიანი ეკლესია XIX ს. დაინგრა სამრეკლო.
31. სოფ. ზოტყეი. წულუკიძეების ციხე. XVII ს. დაინგრა ნაწილობრივ.
32. სოფ. ზოტყეი. გუმბათიანი ეკლესია, XIX ს. მთლიანად დაიბზარა.
33. სოფ. ჯვარისა. დარბაზული ეკლესია, განვითარებული შუა საუკუნეები, დაინგრულია მთლიანად.
34. სოფ. ჭყვიში. ლაბეჟინა. დარბაზული ეკლესია. XII ს. დაინგრა კამარა და ნაწილობრივ კედლებიც.
35. სოფ. ხვანჭყარა. ყიფიანების ციხე, განვითარებული შუა საუკუნეები, ადრევე იყო დაინგრული.
36. სოფ. ხვანჭყარა. „ეკლესია ღვთისმშობლისა“ დარბაზული, დაინგრულია მთლიანად.
37. სოფ. ღვიარას მთაზე. დარბაზული ეკლესია „სოხნის წმ. გიორგი“, დაინგრულია.

(გაგრძელება იხ. 32 გვ.).

ლოგურ ექსპედიციის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ჯურბა ნადირაძე ერთ თავის პუბლიკაციაში აღნიშნავს („მიწის გულს შემოუნახავს „გაზ. „კომუნისტი“, 1979, 18 XI):

„ზემო იმერეთში მთამდნეულის არსებობა, როგორც აკაკი წერეთელი წერდა, ჯერ კიდევ ბერძენმა მწერლებმა პეროდოტემ, თოფრასტემ და სტრაბონმაც იცოდნენ. არისტოტელესაც აქვს ერთი ცნობა, რომელიც შესაძლოა მეტალურგიაში მანგანუმის გამოყენებას ვულისხმობდეს.

ბერძენი მეცნიერი წერს: განსაკუთრებულია ხალიბური და ამისურა რკინის წარმოება... ეს რკინა ბევრად უკეთესია ვეღლა სხვაზე, მაგრამ იგი ერთ ღუმელში რომ არ დნებოდეს. არაფრით არ განსხვავდებოდა ვერცხლისაგან. მხოლოდ ეს — რკინა უფანგავი, მაგრამ ბევრი არ მოიპოვება“:

ჯ. ნადირაძე ვერდნობა რა ჭიათურაში და მის მიდამოებში მოკლევალ არქეოლოგიურ მონაცემებს. რომლებიც მეტალურგიული წარმოების უძველეს

კვალს ინახავენ, ასკნის, რომ ვეროლას ხეობა ფერადი და შავი, ტუფნაკის გიის უძლიერები კერაა ანტიკური მემკვიდრეობის, არამედ მახლობელი აღმოსავლეთის არქეოლოგიური მასალის გონზე, ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულიდან მოყოლებული...
იგი, ამ მსჯელობიდან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივად აკავშირებს სამრეწველო მეურნეობის შინაარსის გამოშატავებულ ტერმინთან, ჭიათურის ახლო მდებარე ადგილის სახელწოდებას — „ჭიქაური“, ხადაც, მიხი აზრით, შესაბამისი ნედლეულის — „მალახარისხოვანი სამინე სილის გამოსავლების ბაზაზე შორულ წარსულში ჩანს, ჭიქის წარმოება იყო დაფუძნებული. აქედან უნდა მომდინარეობდეს სახელწოდება ჭიქაური, იხე როგორც ფოლადის წარმოების ადგილიდან—ფოლადური“.

იგივე დასკვნას აკეთებს ტომონიძე „ჭიქაურის“ შესახებ მსჯელობისას მწერალი აკაკი ბელიაშვილიც, მაგრამ ჯ. ნადირაძისაგან განსხვავებით, იგი ამ ტომონიძის კომპოზიტად თვლის და

38. სოფ. წესი, ველიეთი. ძთის წვერზე დარბაზული ეკლესია, დანგრეულია.
39. სოფ. ხადიკარის კოშკები რიონის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე. დანგრეულია ნაწილობრივ.
40. კოშკი სოფ. ბუგეულის თავზე. ჩამონგრეულია ზედა სართული.
41. სოფ. ჭელიაღლე. დარბაზული ეკლესია XIX ს. გაუნდა ბზარები.
42. ლაბეჭინა. ეკლესია. (სოფ. ჭყვიში). დანგრეული იყო მიწისძვრის შედეგად ჯერ კიდევ XIII საუკუნეში და აღდგენილი. ამჟამად ძლიერ არის დაზიანებული.
43. სოფ. ხადმელი. ეკლესია 1903 წ. დაზიანებულია.
44. სოფ. ხადმელის მთაზე. „მცხეთის წმ. გიორგის“ დარბაზული ეკლესია XI ს. ჩამონგრეულია კამარა და ნაწილობრივ კედლები.
45. სოფ. ჩორჯო. დარბაზული ეკლესია XIX ს. შესაკეთებელია.
46. სოფ. ბარეული. „წმ. გიორგის“ დარბაზული ეკლესია, XI ს. მთლიანად დანგრეულია.
47. სოფ. ბაღეული. „დედაღვთისა“ დარბაზული ეკლესია. განვითარებული შუასაუკუნეების, დარჩენილია მხოლოდ აბსიდი.
48. სოფ. ლაღიში. „წმ. გიორგის“ დარბაზული ეკლესია. დანგრეულია მთლიანად.
49. სოფ. ქვემო კრიხი. „წმ. გიორგის“ დარბაზული ეკლესია XIX ს. დანგრეულია.
50. სოფ. გორისი, „წმ. გიორგის“ დარბაზული ეკლესია XI ს. დანგრეულია. (გაგრძელება, 34 გვ.)



მიანი, რომ ის ორი კომპონენტისა-
გან — „ჭიქა“ და „ქურა“ — შედგება.
ამასთანავე იგი შესაძლებლად თვლის,
რომ ეტიმოლოგიურად ამ კომპოზიტს
უნდა მიეცა საწყისი ქალაქის სახელწო-
დებისთვის: „ჭიათურა“ მას კომპოზიტ
„ჭიქა-ქურას“ გამარტივებულ ფორმად
მიაჩნდა.

თვით ჯ. ნადირაძე ტერმინ „ჭიათუ-
რის“ წარმოშობას უკავშირებს უძველეს
ნაქალაქარის — ჯიეთის სახელთან:
„საინტერესოდ გვეჩვენება არქეოლო-
გიური ძეგლის სახელი — ჯიეთი. ჩვენ-
ში ბევრი ტოპონიმის ახსნა მხოლოდ
ქართულის მონათესავე ენების მეოხე-
ბით არის შესაძლებელი და საეარაოდოდ
გვსურს გამოვთქვათ მოსაზრება, რომ
ჯიეთი — ჭიეთი შესაძლებელია შინაარ-
სობრივად დაკავშირებული იყოს ადი-
ღურ „ჭიე“-სთან, რაც ორ კლდეს შო-
რის მოქცეულ ადგილს ნიშნავს. ჯი-
ეთს სწორედ ასეთი მდებარეობა უჭი-
რავს. საგულისხმოა, რომ მომიჯნავე
სოფლების მკვიდრნი ხშირად ჭიათუ-
რას ჭეთურას უწოდებენ. შესაძლოა,
ტოპონიმის მონაცვლეობა მომხდარი-
ყო მაშინ, როდესაც ჯიეთის უძველესი
დასახლებიდან მოსახლეობა მიგრირებ-
და მთელ იმ ტერიტორიაზე, რომელსაც
დღეს ჭიათურა ჰქვია და ორ კლდეს
შორის მოქცეული ადგილია. ეს ვარაუ-
დია, ის კი დანამდვილებით შეიძლება
ითქვას, რომ ჭიათურის ტერიტორიაზე
ათასწლეულების მანძილზე შეინიშნე-
ბა კულტურის განვითარების უწყვეტი
ეკალი და ვფიქრობთ, არქეოლოგიური
ძეგლების მომავალი შესწავლა საშუა-
ლებას მოგვცემს ახი წლის წინათ დაარ-
სებულ ქალაქს ძველი ისტორიაც წაეუმ-
ძღვაროთ“.

პროფ. ზ. ჭუმბურიძე, ზემოთ დასახე-
ლებულ თავის ნაშრომში, ტერმინ „ჭი-
ათურის“ ახსნას არ იძლევა, რადგან,
როგორც ჩანს, მისი შინაარსის გასახ-
სნელად ეტიმოლოგიური საფრდენი ან
ამოსავალი წერტილი არა აქვს მოძებ-
ნილი. სამაგიეროდ იქვე აქვს ახსნილი
ისეთი სახელწოდება, რომელიც შეიძ-

ლება ჩვენთვის საინტერესო ტოპონი-
მის ეტიმოლოგიური ანალიზისთვის.
ნაწილობრივ მაინც გამოდგება, რომ
იგი ჭასთან, ბუნებრივ სიღრუეებთანაა
დაკავშირებული.

ზ. ჭუმბურიძე განმარტავს:

„...იმერეთისა და ოკრიბის საზღვარზე
უნაგირა მთის ძირი წყალს გამოურ-
ღვევია და მოზრდილი ქვაბული წარმო-
უქმნია. ანკარა და ცივი წყალი ჯერ ამ
ქვაბულის ფსკერზე ჭასავით ღრმა პა-
ტარა ტბას ქმნის, შემდეგ კი ვზახ
მთიკვლევს ჭალაში. ჩაუვლის სოფლებს
-ჭალასთავსა და ბროლიქედს და მარ-
ჯვენა მხრიდან ერთვის ვვირილას. ამ
პატარა მდინარის სახელია ჭიშურა...“

ჭიშურა ნაწარმოებია ურ- ა სუფიქსე-
ბით, რომლებიც ერთვის ჭა სიტყვის ნა-
თესაობითი ბრუნვის ფორმას (დასაშ-
ვებია გვექონდა როგორც ნათესაობითი
ბრუნვის კოლხური ფორმანტი ის, ისე
ქართული ის, რომელიც ჭ-სთან ასიმი-
ლაციით მაინც იშ-ად იქცეოდა) ამრი-
გად, ჭიშ-ურ-ა იგივეა რაც „ჭისა“...“

აქვე აღვნიშნავ, ზემოთ გადმოცემებში
შემონახულ ვერსიას ჭიათურის სახელ-
წოდების წარმოშობის შესახებ; თურმე,
იმერეთში გადმოსული რაჭველი მექა-
რავენი, ზეგანზე გამოვლისას, ხეობაში
ჩაკარგულ-ჩაკლაკნილ მდინარე ყვირი-
ლაზე ამბობდნენ — „ჭიაა თუ რაა“. ან
უკვირდათ ხეობის სიღრმე — ჭიაა თუ
რაა?“

როგორც მოხმობილ პარალელებში,
ისე ხალხურ სიტყვიერებაში ხეობის სი-
ღრმე ანუ სიღრუე, ჭა და მღვიმე ფი-
გურირებს... აი, ის ეტიმოლოგიური მა-
სალა, საიდანაც უნდა შექმნილიყო
ეს საინტერესო ტოპონიმი!

ვფიქრობ, ეს სახელწოდება მარტი-
ვად ამოიხსნება თუ მას, როგორც აღ-
ვნიშნე, ამ ადგილებში არსებულ მღვი-
მე-გამოქვაბულებთან კონტექსტში გან-
ვიხილავთ; მით უმეტეს, რომ ზემოთ მო-
ტანილ ეტიმოლოგიურ ძიებებში, თით-
ქმის ყველა ტერმინთან ფიგურირებს
კონტექსტში ან ჭა, ან კლდე, ან ხეობა
— ანუ ადგილი, რომელთანაც დაკავში-

რებული უნდა იყოს ეს სახელი...

ზემო იმერეთში და კერძოდ, თვით ჭიათურა-საჩხერეშიც დღესაც მყარადაა დამკვიდრებული მეტყველებაში სიტყვები „ჭა“ და „ჭაური“. ამ სიტყვებზე თვისებისა და ქონების აღმნიშვნელი მაწარმოებელი სუფიქსების დართვით მივიღებთ სიტყვებს: ჭა-ეთ-ურ-ა, ჭე-ეთ-ურ-ა, ჭი-ეთ-ურ-ა, ჭეთ-ურ-ა...

სიტყვიდან: „ჭეთი“, „ჭაეთი“ ან „ჭეეთი“ – დისიმილაციისა და ბგერათგადანაცვლების შედეგად, საბოლოოდ მივიღეთ ტერმინი „ჭიათურა“ – ადგილობრივ მკვიდრთა მეტყველებაში, როგორც სწორად შენიშნავს ჯ. ნადირაძე, ხან „ჭათურად“ და ხან „ჭეთურად“ რომ გაისმის, რაც, ალბათ, ისტორიულად მართებულად უნდა ჩავთვალოთ.

მაშასადამე, სახელწოდება ჭიათურა მიღებულია სიტყვიდან -ჭეთი, ჭაეთი ან ჭეეთი, რომელიც კარსტულ მღვიმეთა და კარსტულ ჭათა სიმრავლეს გულისხმობს (რაც, მართლაც, როგორც აღვნიშნეთ, ჭარბად გვხვდება ამ მიდამოებში და რომელთაც, რაღაც მნიშვნელოვანი ფუნქცია უნდა ჰქონოდათ შორეულ წარსულში). ბოლო თვით სიტყვის ფუძეს დართული აქვს მაწარმოე-

ბელი ურ და ა სუფიქსები, რაც საბოლოოდ აყალიბებს სახელწოდებებს უნდა არსს: ჭიათურა-ჭიხებური, ჭიათურა-ჭამრავალი ადგილი...

წინამდებარე ნარკვევში მხოლოდ ტოპონიმებზე, ტერმინთა ეტიმოლოგიურ საფუძვლებზე გავამახვილეთ ყურადღება; ეს ტერმინები, მკვიდრთა მეტყველებაში თავისი ბგერათა რხევის უმნიშვნელო ნიუანსებითა და პირველქმნილი კოლორიტულობითაა დაუნჯებული და ასევე უნდა შემოეუნახოთ შთამომავლობას.

ქართული ბუნება, გარემო, მკვიდრი მოსახლეობის ადათ-წესები, რწმენა და მოვლენებთან დამოკიდებულების ხასიათი ქმნიდა იმ მდიდარ ლექსიკას, რომლის სიმთა რხევა მუსიკად ხშიანობს აკაკის შემოქმედებაში.

დღეს უფრო მეტად ნიშანდობლივია ეპიგრაფად მოხმობილი აკაკის სიტყვიბიც, ხალხში გაფანტული მარგალიტების მოვლა-პატრონობის შესახებ და უფრო მთავარი, რაც ამ სიტყვებშია ნაგულისხმები – ქართველი ერის, ქართული სულის, ერთიანი საქართველოს მოვლა...

ონის რაიონი

1. სოფ. შრავალძალი. „წმ. გიორგის“ დარბაზული ეკლესია XI ს. დანგრეულია მთლიანად.
2. სოფ. ბოყვა. დარბაზული ეკლესია. X-ს. დანგრეულია მთლიანად.
3. სოფ. გლოლა. დარბაზული ეკლესია. გვიანი შუასაუკუნეები, დაინგრა მთლიანად.
4. სოფ. ზემო ბარი. „მთავარანგელოზის“ დარბაზული ეკლესია XI ს. დანგრეულია სახურავი და კედლების ზემო ნაწილები.
5. სოფ. ნაკიეთი. დარბაზული ეკლესია X-XI სს. ჩაინგრა კამარა.
6. სოფ. სორი. წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია XIV ს. დაიბზარა კედლები, კამარა და თაღები, დაზიანდა მხატვრობა.
7. სოფ. სხიერი. დარბაზული ეკლესია განვითარებული შუასაუკუნეების. დაინგრა მთლიანად, დაიღუპა ფრესკული მხატვრობა.
8. სოფ. ფარაზეთი. დარბაზული ეკლესია განვითარებული შუასაუკუნეების დაიღუპა ფრესკული მხატვრობა.
9. სოფ. დები. ეკლესია – კომპი „დედა ღვთისა“, შუასაუკუნეები, დაიბზარა კედლები.
10. სოფ. ჯიხუბანი. დარბაზული ეკლესია XI ს. დანგრეულია მთლიანად. (გაგრძელება. 46 გვ.)

როგორ ვამბობთ

ამ ბოლო დროს სხვათა ენიდან სიტუვასიტყვით გადმოღებულმა წინადადებებმა ქართულში ფეხი ისე მოიკიდეს, რომ ხანდახან კიდევ დაეპყდები ეს ჩვენი ენაა თუ არა... როცა ჩვენებური, მამაბაბური გამოთქმა გვაქვს, თანაც მაღლიანი, სხარტი და გასაგები — რად გვინდა სხვისი?!

● „მე შორსა ვარ იმ აზრისაგან“, ამბობს მაღალფარდოვნად ორატორი და არც უყვირდება, რომ ეს მექანიკურად გადმოთრეული „ია დალიოკ ოტ ტაკოი მისლი“ გაზღვთ და ქართულად იგი უბრალოდ გამოითქმის: „მგონი“, „იარა მგონია“, ან „ჩემი აზრით“...

● ამას წინათ გაზეთში ამოვიკითხე: „ჩვენი ტრესტის ძველი შემადგენლობის უმრავლესობა, სამწუხაროდ, ვერ მივიდა იმ შეგნებამდე, რომ“... ერთი, მიბრძანეთ „იმ შეგნებამდე მისვლა“ „ვერ შეიგნო“, ან „იარ შეიგნო“ არ არის?

● პრესაში და განსაკუთრებით ტელევიზიით დღეს ერთი არაქართული გამოთქმა გავრცელდა „იარაღი ამოიღო“... რაც საქართველო არსებობს „იარაღის ამოღებას“ ხმალი იშიშვლას მნიშვნელობა აქვს. პისტოლეტის ბუდიდან ამოღებასაც ასეთივე, ჩვენ კი იარაღის ჩამორთმევის მაგივრად დავამყვიდრეთ. ღმერთო გვიშველე.

ზურაბ რცხილაძე.



კირაზაშვილი თეთრი დასავლურ-ქართული ფულია. მისი გაჩენა და მოჭკევაება შესწავლა საქართველოს დაყოფასა და დასავლეთ საქართველოში დავით ნარინის მეფობის პერიოდს უკავშირდება ტიპის შექმნის ორიგინალად ტრაპიზონის კეისრის მანუელ I-ის (1235—1158) ასპერია აღებული.¹

ნი და მისი მემკვიდრეები უკანაყვედნენ (1259—1329).² შინაპოლიტიკა

მანია ჩემურიანი

ბანკი ქუთაისის ნაქალაქარიდან

ტრაპიზონის იმპერია, როგორც ცნობილია შეიქმნა 1204 წელს თამარის აქტიური საგარეო პოლიტიკის შედეგად. ტრაპიზონის იმპერია საქართველოს ყმადნაფიცო და ქვეშევრდომი გახდა და ატი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში. თამარის შექმნილმა იმპერიამ ორხაზეგარი საუკუნე იარსება და საქართველოს ძლიერების ხანაში კომენდოროსა, ზენასტიის წარმომადგენლები ქართველებს არ ლაღატობდნენ, მაგრამ მონღოლთა შემოსევებისაგან დასუსტების შემდეგ გუშინდელ პროტექტორს უკვე ნაკლებ ანგარიშს უწყებდნენ.³

ქუთაისში მყოფი დავით VI ალბათ ერთხანს ქართული ფულით სარგებლობდა, ჩანს, რომ იგი საკმარისი არ იყო. ამიტომ დასავლეთ საქართველოში უცხოეთის ფულიც თავისუფლად ტრიალებდა. მით უფრო იმ ქვეყნისა, რომელთანაც საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა.

ამ ურთიერთობის უტყუარი ფაქტი უნდა იყოს დასავლეთ საქართველოში ტრაპიზონის ასპერების სიმრავლე, რომელც დიდი რაოდენობით შემოდის და ვრცელდება აქ მე-13 საუკუნის 40-იანი წლებიდან.⁴

მე-13 საუკუნის მეორე ნახევარში ფულის მოჭრა იმერეთში უნდა გაგრძელებულიყო, სავარაუდოა ზარაფხანის არსებობა ქუთაისში,⁵ ვინაიდან იგი ამ პერიოდისათვის (თბილისის უცხოელთა ბატონობისაგან განთავისუფლებამდე) საქართველოს სამეფოს დედაქალაქია და ცხადია ფულის მოჭრაც ქუთაისში მიმდინარე საშინაო და საგარეო პოლიტიკით იყო ნაკარნახევი.

მკვლევართა უმრავლესობა (ლანგლუა, როგოსოვსკი, როსი, პოხომოვი, კამანძე და სხვ.) ერთხმად აღიარებენ, რომ კირმანუელი დასავლეთ საქართველოში მოიჭრა, მას შემდეგ, რაც საქართველო ორად გაიყო.

ამრიგად, ტრაპიზონისა და დასავლეთ საქართველოს სამეფოებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობანი კიდევ ეროვნულ დადასტურება ქუთაისში აღმოჩენილმა ნუმიზმატიკურმა მასალამ, რომელიც ჩვენთან წარმოდგენილია განძის სახით ნაპოვნი კირმანუელის ტიპის 84 ცალი მონეტით. განძი აღმოჩნდა 1985 წელს არქეოლოგიური გათხრების დროს მე-13-14 საუკუნეებით დათარიღებულ ე. წ. „დიდი დარბაზის“



მოანე I



მანუელ I



მოანე II

ი. ავსტრიის მონეტები

ინტერიერში, 3 მ. სიმაღლეზე, აქ არსებული ქვიციკირის ბურჯის ძირში, კირდულაბის შემცველ შერეული ფერის მიწის ფენაში.

განძის დამუშავებისას გაირკვა,

რომ 84 ცალი მონეტისა და 38 ეკუთვნის იოანე I-ის (1235—1238), 442 მანუელ I-ის (1238—1263) სახელზეა მოჭრილი, 4 ეკუთვნის იოანე II (1280—1297)

სანიშნო ცალკები

ომანი I (1285—1288)

შუბლი — იმპერატორის გამოსახულება მთელი ტანით, თავზე გვირგვინი ადვას, რომლის ორივე მხარეს დაშვებული ტოტები თვლებით ბოლოვდება. სამოსი თვლებით არის შემკობილი. მარჯვენა ხელში მოკლე ბუნიანი ლაბარუმი უჭირავს, მარცხენა ხელში ჭვარი. მარჯვნივ, ზემოთ გაურკვევლი ნიშნებია. ზედწერილი იკითხება: წერტილოვანი რკალი შეიმჩნევა.

ზურგი — წმ. ეგგენის გამოსახულება მთელი ტანით, თავზე შარავანდედით, ტანზე აცვია ფაშფაშა სამოსი, რომლის ერთი კალთა მარცხენა ხელით უჭირავს. მარჯვენა ხელში გრძელბუნიაანი ჭვარი უპყრია. ზედწერილი იკითხება: წერტილოვანი რკალის ფრაგმენტია დარჩენილი.

მანუალ I (1288—1288)

შუბლი — იმპერატორი ფეხზე მდგარი, თავზე გვირგვინით, რომლის ორივე მხარეს დაშვებული ტოტები თვლებით ბოლოვდება. თვლები ამშვენებს სამეფო სამოსსაც. მარცხენა ხელში გრავნილი უჭირავს, რომლისგანაც დაშვებული ქსოვილი თვლებით არის შემკული. მარჯვენა ხელში ჭვარი უჭირავს, მარცხნივ და მარჯვნივ ბერძნული ზედწერილებია. წერტილოვანი რკალი ნაწილობრივ არის შემორჩენილი.

ზურგი — წმ. ეგგენის გამოსახულება, თავზე შარავანდედით, ტანზე ფაშფაშა სამოსით, რომლის ერთი კალთა მარცხენა ხელით უჭირავს, მარჯვენა ხელში გრძელბუნიანი ჭვარი უპყრია. მარჯვნივ და მარცხნივ ბერძნული

ზედწერილებია. წერტილოვანი რკალი ნაწილობრივ შეიმჩნევა. (მონეტა დაზანებულია)

ომანი II (1280—1297)

შუბლი — იმპერატორი ფეხზე მდგარი, სამეფო სამოსი თვლებით არის შემკობილი. თავზე გვირგვინით, რომლის ორივე მხარეს დაშვებული თითო ტოტი თვლებით ბოლოვდება. მარჯვენა ხელში მოკლე ბუნიანი ლაბარუმი უჭირავს. მარცხენაში — ჭვარი, რომლიდანაც დაშვებული ქსოვილი — ლორონი თვლებით არის შემკული. მარჯვნივ და მარცხნივ იკითხება ბერძნული ზედწერილები.

ზურგი — წმ. ეგგენის გამოსახულება. თავზე შარავანდედით. აცვია ფაშფაშა კაბა, რომლის ერთი კალთა ხელით უჭირავს. მარჯვენა ხელში უპყრია გრძელბუნიანი ლაბარუმი. წერტილოვანი რკალის ფრაგმენტია დარჩენილი.

ლიტერატურა:

1. დ. კახანიძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1961, გვ. 63.
2. ბ. ლომიძე, დას. საქართველო მე-13 საუკუნის მეორე ნახევარში, საქ. ისტორიის ნარკვევები, 1979, ტ. III, გვ. 602.
3. ავ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი III, 1983, გვ. 204.
4. თ. აბრამიშვილი, საქ. სახელმწიფო მუზეუმის ტრამპონული ასურებისა და დასავლეთ ქართული ფულის (კირმანელის) კატალოგი.
5. შ. მესხია, საისტორიო მოამბე, ტ. II, 1983, გვ. 112, 113.

ცირა მესხივილი,

მარდის ლოკალიზაციის

მარდა ამჟამად ახალციხის სამხრეთ ნაწილში მდებარე უბანია. ჩვენს ხელთ არსებული ისტორიული წყაროები, სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში დაცული ხელნაწერები, ხალხური გადმოცემები მარდას წარმოგვიდგენენ როგორც ერთ-ერთ უძველეს დასახლებას. ნათლად აშუქებენ ამ ფაქტს, რომ ამ მიდამოებში მარდას სახელითვე არსებობდა უძველესი სოფლები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში დაკლილან და აღგვილან ჰირისაგან მიწისა. ისევე როგორც ახალციხის გარშემო არსებული სხვა ნასოფლარები: **მოღნიხი, ნავანები, მლაშხივი** და სხვ.

XVI საუკუნის ბოლოს ერთ-ერთ უძველეს მნიშვნელოვან ისტორიულ დოკუმენტში — „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ ორი მარდაა აღნიშნული — ზემო და ქვემო, ეს სოფლები დავთარის მიხედვით ჩილდირის რაიონში შედიოდნენ, მათი მიდამოები კი უკვე აღწერის დროს, ეკრძოდ: „ვენახი, ბაღი, მიწები და წყარო ჭაყელისა და გიორგი აზნაურისა ამჟამად სამეფო ჭაყუნის ყაის მფლობელობაშია“. ეტყობა ეს სოფლები თავისი სახანავ-სათესებით ოსმალების მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობამდე ამ მხარის მშართველთა — ჭაყულთა კუთვნილებას წარმოადგენდა. სოფელ ქვემო მარდაზე დავთარის მიხედვით შეწერილი გადასახადის რაოდენობა იყო 11.000 აზჩა, ზემო მარდაზე კი 9.000 აზჩა. სოფელ ქვემო მარდის მცხოვრებნი დავთარის მიხედვით არიან: გიორგი ჭაყელის ძე, აღდგომელ ქანიას ძე, ელია ძე მისი, ვარძელ ალექსანდრეს ძე, ლვინია ძმა მისი, მახარა ქანიას ძე, აღდგომელ ძმა მისი, ელია მახარებლის ძე, ვარძელ აღდგომელას ძე, ზაზუტა ძმა მისი, ზარია ძმა მისი.

ვახუშტის რუკაზე სამი მარდაა აღნიშნული. ხოლო აღწერაში იგი მარდის შესახებ წერს: „ახალციხის წყალს მიერთვის ოლდამის ხევი მარდაებთან“, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ვახუშტი, ჩვეულებისამებრ, ერთი და იგივე სახელის რამდენიმე ობიექტს ასახელებს: იგულისხმება ზემო, ქვემო და სხვა.

მარდის შესახებ საკმაოდ საინტერესო მასალას გვაწვდის „ვიწინე მესხი“ (ივანე გვარამაძე) თავის ერთ-ერთ ნაშრომში „ქართლის ცხოვრება“: „ამავე (სკვითებმა) დაარქვეს სამეხსეს (სამცხეს) მარდა. მათი მშართველი მარდას სახელითა, იქავე ჰქონდათ სამოსამართლო, რომელსაც უწოდებდნენ ხანა მარდად (ხვანა მარდა). წყალგაღმა ციხე და ქვაბები რომ ვერ აიღეს, მარდის იოანე ნათლისმცემლის ნაეკლესიართაგან მოყოლებული ოქრომდიანა წყარომდის ციხე-კოშკები ააგეს“. ივ. გვარამაძის აზრით „ახალციხე არსებობდა უძველესი დროიდან და იწოდებოდა მარდა, მერმე ლომსია და შემდგომ ახალციხეო.“ იგი როგორც ჩანს, მარდას თვით ახალციხეზე ადრე არსებულ დასახლებად მიიჩნევს. „ქართლის ცხოვრებაში“ აღნიშნული ეს ფაქტები საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს, რადგან ისტორიული წყაროები, თვით მარდის მიდამოების ტოპონიმია, ბევრ ფაქტს ნათელს ჰფენს, როგორც ზემოთ აღნიშნა. „ვიწინე მესხს“ „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენებული აქვს სკვითების მიერ სამეხსეს-სამცხეს დაპყრობა. მისი მტკიცებითვე, სამცხე-ჯავახეთში არსებული ზოგიერთი

სოფლის და ნასოფლარების სახელები: აბი, ხაკი, პამაჯი, ორალი, კარალი, სეველი, თურია „მათ ყოველ ნადგომთ ადგილთ, აღნიშნავს იგი თავიანთ საქმიანებას გეოგრაფიული სახელები სოფელ-დაბებისა უწოდეს“. სკეითურ სახელად მოიხსენიებს იგი მარდასაც, თუმცა ამ მოსაზრების უტყუარ წყაროდ მიჩნევა არ შეიძლება. ხალხურ ზეპირსიტყვიერებაშიც ასახულია ამ მომთაბარე ტომების შემოსევების შესახებ — ჩვენი წინაპრები მძარცველობა-ყაჩაღობისათვის სკეითებს კანმგლებს უწოდებდნენ. ერთ-ერთი ხალხური ლექსი მოგვითხრობს:

**„მე ოჯორჯღელი ხუცესი ქალას ვიყავ მიმავალი
ჭორატს კანმგლებს გადავყარე, დამიბნელდა ორივე თვალი
ზადენს ყელი გარდაუგდე, იცით რომ სრულ არ მაქვს ბრალი
ხელი ვყარ ქვას აქ გავქვავდის, მოვყვდი, გარდვიხადე ვალი,
ვინც ჩემი სისხლი იკითხოს ჭორატის ქვას აჩნია კვალი“.**

(ჩაწერილია ილ. მაისურაძის მიერ).

ჭორატის ქვა ახლაც არის სოფელ ვალესთან და ეტყობა კიდევ სისხლიანი ხელის ანაბეჭდი.

გავყევით ისევ „ვიწმე მესხის“ თხრობას. მის „ქართლის ცხოვრებაში“ ვხვდებით სანტერესო ცნობებს მარდის ტერიტორიაზე იოანე ნათლისმცემლის სახელობის უძველესი ქართული ეკლესიის არსებობაზე. მაგრამ, სამწუხაროდ იგი ტექსტში უკვე ამ ადგილს ნაეკლესიარად მოიხსენიებს. მარდის ტერიტორიაზე დღეს ძველი სოფლების არსებობის კვალი თითქმის წაშლილია, თუ არ ჩავთვლით მარდის ხევში, დღევანდელი აბის დასახლების მოპირდაპირე მხარეს არსებულ ეკლესიის ნანგრევებს. მისი თარიღის დადგენა სპეციალისტების საქმეა. ერთი კი ჩანს, რომ როდესაც 1829 წელს არზრუმიდან ახალციხეში ჩამოუსახლებიათ სომხური მოსახლეობა, მათ ეს პატარა ეკლესია გადაუხურავთ და დღესაც სალოცავად ხმარობენ. მოსულმა მოსახლეობამ არ იცის ვისი სახელობის არის სალოცავი და ამიტომ უწოდებენ მხოლოდ „სურფს“ (სომხურად ნიშნავს წმინდას).

ცხადია მარდის ტერიტორიაზე იქნებოდა სხვა ეკლესიებიც, მაგრამ ეს პატარა ეკლესია „ვიწმე მესხს“ არ გამოუყენებია თავის თხრობაში იმ ადგილის მისანიშნებლად, რომელიც თითქოს ერთ დროს მომთაბარე ტომებმა დაიპყრეს. ადგილობრივ მთხრობელთა გადმოცემით, სხვა ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით დასტურდება, რომ ეს იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია „ქართლის ცხოვრებაში“ „მითითებული ივ. გვარამაძის მიერ იყო სწორედ იმ შემადლებულ ადგილას — გორაკზე, სადაც ახლა XIX საუკუნის 60-იან წლებში აშენებული, სომხურ — გრიგორიანული ეკლესია დგას. ამ ფაქტს ადასტურებს 1894 წელს ეურნალ „ივერიაში“ გამოქვეყნებული მასალა: „სომეხთ ეკლესიები ვართანისა და მაცხოვრისა გაშენებულია ქალაქის ახალ ნაწილში. წმ. ვართანის ეკლესიას ქართველები უწოდებენ იოანე ნათლისმცემლის ეკლესიას, რადგან მათი თქმით აქ ქართული ეკლესია ყოფილა, სადაც მერე მის ადგილზე სომეხებს ვართანის ეკლესია აუშენებიათ“ (ე. შილდელი). თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ეკლესიის მშენებლობის დროს ეკლესიის ძირი არ შეცვლილა და ახალი კედლებია ზედ დაშენებული, ეს საკითხი სპეციალისტებმა უნდა დაადგინონ, არქეოლოგიური და არქიტექტურული კვლევის შემდეგ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, XIX საუკუნის 30-იან წლებში პირველად სწორედ მარდის ტერიტორია იქნა დასახლებული არზრუმიდან გადმოსახლებული



სომეხი მოსახლეობით, ალ. ფრონელი ამის შესახებ გვამცნობს: „ქარგა დიდი ნაწილი არზრუმელებისა დაბანაკდა ახალციხის წყლის მარჯვენა ნაპირზე, მარ-
დაპირ ძველი ქალაქის ახალციხისა, სწორედ იქ, სადაც იყო უწინ ქართული
სოფელი: მარდა, ურია მარდა, ჭანიანი მარდა და მლაშის ხევი“. ამგვარად
დაახლოებით 1830 წელს ძველ ქართულ ნასოფლარებზე ე. ი. მარდას სახელით
ცნობილ სოფლებში, გაშენდა ახალი ქალაქი, დასახლებული არზრუმელ სომეხ-
ბით.

ქართულ ნასოფლარებზე კოლონისტთა ჩასახლების ფაქტს ადასტურებს
რუსი მოხელე დ. ზაგურსკი 1872 წლის მოგზაურობის ჩანაწერებში: „XIX
საუკუნის 30-იან წლებიდან, როდესაც დაიწყო არზრუმიდან სომეხი მოსახლე-
ობის მიგრაცია, ქალაქის ახალ ნაწილს დაედო საფუძველი სწორედ იმ ადგი-
ლას, სადაც ადრე ძველი ქართული სასოფლაოები იყო აღკაზმული ქვისგან გა-
მოთლილი ცხენებით, ცხვრებით, აკვნებით და სხვა“. როგორც ჩანს, ჩამოსახ-
ლებულთ ძველ ნაეკლესიარზე აუშენებიათ ახალი, თავისი სალოცავი და ეს არც
არის გასაკვირვი, რადგან ძველ სალოცავებზე ახლის მშენებლობის ტრადიციები
ოდითგანვე არსებობდა, საქართველოს მტრულად თუ მოყვრულად მოსული
არ მოპკლებია, ყველა თავის სალოცავს იშენებდა, სტუმარიც და დამხედურიც
— მამამლიანიც, იუდეველიც, გრიგორიანიც, კათოლიკეც. ამის კვალს ჩვენ
თვით ახალციხის ძველი ნაწილის — რაბათის ტერიტორიაზეც ბევრგან ვხვდებ-
ით.

საყურადღებოა ერთი დეტალიც: როცა ივ. გვარამაძე „ქართლის ცხოვრე-
ბის“ ჩანაწერებს აკეთებდა, როგორც ჩანს, ახალი ეკლესია ჯერ არ ყოფილა და-
შენებული, წინააღმდეგ შემთხვევაში თავის თბრობაში ზემოთ აღნიშნული ად-
გილის მისანიშნებლად არ გამოიყენებდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ნა-
ეკლესიარს, არამედ მიუთითებდა ახლად დაშენებულ ეკლესიას.

მარდის ტერიტორია, გადმოსახლებულ კოლონისტთა დასახლების შემ-
დეგ სწრაფად იქნა ათვისებული და სახელიც ამ დასახლებას დღე-
მდე შემორჩა, მაგრამ თვით სოფლების ზემო და ქვემო მარდის შერწყმა მო-
ხდა თანდათან ერთმანეთთან და მათი კიდევ ქალაქთან, ისე რომ 1847 წლის მა-
სალებში მოხსენიებულია, რომ ახალციხის მაზრის უფროსის თანაშემწე უკვე
ეძიებდა ადგილობრივ ახალციხელ კაცს, ბეგს ან გლეხს, რომელსაც ეცოდინე-
ბოდა, თუ რა მიჯნები იყო ზედა და ქვედა მარდას შორის. ასევე შემონახულია
დღემდე მარდის ტერიტორიაზე არსებულ, ოქრომიდინას წყაროს სახელწოდე-
ბაც, რომლის შესახებ საინტერესო ლეგენდებია შემონახული დღესაც მესხეთში.

მარდის ეტიმოლოგიას ივ. გვარამაძე თავისებურად ხსნის, თითქოს „მარდი“
ქალაქის მცხოვრებთა სიმარდიდან უნდა იყოს წარმომდგარი. არის სავარაუდო
ისეთი აზრიც „მარდის“, როგორც ზანურ ელემენტად მიჩნევა. სიტყვა მარდი-
მადლიან, ნაყოფიერ ადგილსაც ნიშნავს. ამ დასახლების ეტიმოლოგიის დაზუს-
ტება მომავლის საქმეა, ვფიქრობთ, საინტერესოა მარდის დაკავშირება სხვა
ისეთ სახელებთან, რომელთა „დაბოლოებად“ შეიძლება მივიჩნიოთ დასახლე-
ებები: დასვანდა, ჭოლდა, ანდა, ქილდა.

როგორც ვხედავთ „მარდას“ ახალციხის ამ პატარა გარეუბანს საკმაოდ
საინტერესო წარსული აქვს. ზემოთ აღნიშნული მასალების საფუძველზე დგინ-
დება, რომ ეს დასახლება საკმაოდ მდიდარი, ხალხმრავალი უნდა ყოფილიყო,
ისტორიის ბედუქუდმართობამ კი მხოლოდ მისი სახელწოდება შემოგვინახა.

დავით მინდორაშვილი

მასალევი შუასაუკუნეების უფლისციხის ეკონომიკურ საკითხთა შესწავლინათვის

მრავალწლიანი არქეოლოგიური გათხრების შედეგად საკმაო მასალები დაგროვდა შუასაუკუნეების უფლისციხის (ტაბ. I, სურ. I) ეკონომიკური სახის წარმოსადგენად. მისი იმჟამინდელი მეურნეობა, როგორც ირკვევა, მრავალდარგობრივი ყოფილა.

სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ დარგს ადრე და განვითარებულ შუასაუკუნეებში წარმოადგენდა სოფლის მეურნეობა, კერძოდ მემინდვრობა, წერილობითი წყაროებიდან ცნობილია, რომ ადრე შუასაუკუნეების შიდა ქართლში დიდი რაოდენობით მოჰყავდათ და სხვა ქვეყნებშიც გაჰქონდათ ხორბლეული. (I, გვ. 83). უფლისციხის ადრე შუასაუკუნეების კულტურულ ფენებში აღმოჩენილი თონეები, კეპრის კოხები და ხელწისქვილის ქვები იმაზე მიუთითებენ რომ „ზენა სოფლის“ სხვა პუნქტებთან ერთად უფლისციხელთა სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთი დარგი მარცვლეულის მოყვანა ყოფილა.

უფრო მრავალრიცხოვანი მასალები დაკავშირებული მარცვლეულის წარმოება-მოხმ რეზანთან მოგვეპოვება XI-XIII საუკუნეებში. ამ პერიოდის საცხოვრებელ ნაგებობებში, მრავლად არის აღმოჩენილი თონეები, რომელთა რაოდენობა ზოგიერთ შენო-







ბაში ხუთამდე აღწევს. თონეების ამგვარი სიმრავლე თავისთავად მიგვანიშნებს მარცვლეულის წარმოება-მოხმარების მაღალ დონეზე. გარდა ცალკეულ ნაგებობებში მიკვლეული თონეებისა, უფლისციხეში გაითხარა XII-XIII საუკუნეების სახაბაზოები (ტაბ. II, სურ. I) (2, გვ. 24—25). განვითარებული შუასაუკუნეების კულტურულ ფენებში აღმოჩენილი ხელწისქვილის ქვები, კლდეში ამოკვეთილი სამეურნეო დანიშნულების ოვალურ-კედლიანი მოზრდილი ორმოები, რომლებიც ჭირნახულის შესანახად უნდა ყოფილიყო გამოყენებული (3) (ტაბ. II, სურ. 2), კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ XI-XIII საუკუნეებში იქ მარცვლეული კულტურების წარმო-

ება სოფლის მეურნეობის წამყვანი და-
ჩგი იყო.

შუასაუკუნეების უფლისციხეში
სოფლის მეურნეობის მეორე მნიშვნე-
ლოვანი დარგია მევენახეობა-მელვინე-
ობა. იმ პერიოდის ნაგებობებში ჩნდება
მოზრდილი ქვევრები და ქოცოები. ცე-
ნტრალური უბნის აღმოსავლეთ ნაწილ-
ში გაითხარა IX-XI საუკუნეე-
ბის მარანი (ტაბ. III, სურ. 1). მეო-
რე მარანი, რომელიც XII-XIII საუ-
კუნეებით თარიღდება, აღმოჩნდა ორ-
სვეტიანი დარბაზის ჩრდილო სათავსო
(4, გვ. II) (ტაბ. III, სურ. 2), ამავე ხა-
ნებს განეკუთვნება კლდში ნაკვეთი
საწნახლები, რომლებიც დადასტურდა
ე. წ. „სალიზვარის“ — კლდის ვენახის
მიდამოებში (2, გვ. 31). მარნებიდან
მოშორებული და ზვრებთან ახლოს მდებ-
არე „ეული“ საწნახლების არსებობა
უცხო მოვლენა არ არის შუასაუკუნეებ-
ის აღმოსავლეთ საქართველოს განათხარ
ძეგლებზე (5, გვ. 146, 6, გვ. 101—102).
როგორც აღნიშნავენ ზვრებთან ახლოს
მდებარე საწნახლების გაჩენას თავის
მიზეზი ჰქონია, ამგვარ საწნახლებში
წარმოებდა ახალდაკრეფილი ყურძნის
დაწურვა და მარნებში ყურძნის წვეწის
გადაზიდვა. ერთი მხრივ, მევენახე რად-
ვილებდა მოსავლის ტრანსპორტირე-
ბასა და შესაბამისად შრომას, მეორე
მხრივ, აღნიშნულ წესს პრაქტიკულ
მნიშვნელობაც ჰქონდა. დაკრეფილი
ყურძენი ჰაერზე გაჩერებით სწრაფად
კარგავს თვისებებს, რაც იწვევს ლეი-
ნის ზარისხის გაუარესებას. ამასთან,
ტრანსპორტირებისას ვერ აცილებდ-
ნენ ყურძნის დაზიანებასა და დანაკარ-
გებს. ამიტომ, ზვრებთან გამართული
საწნახლები მოხერხებული იყო და
პრაქტიკული (5, გვ. 147).

ყურძნის დაწურვა-დამუშავების ამ
რაციონალურ წესს, როგორც ჩანს, უფ-
ლისციხეშიც ფართოდ იყენებდნენ.
„სალიზვარის“ მიდამოებში გამოვლენ-
ილია სამი საწნახელი (ტაბ. IV, სურ.
I; ტაბ. V, სურ. 1, 2). ერთ მათგანთან,
რომელსაც ბერკეტთან—ოწინარიანი ტი-
პელის მეგობარი № 1, 1992





პის საქაჯავიც გააჩნდა, თამარ მეფის მონეტა აღმოჩნდა (2, გვ. 21).

მევენახეობა-მეღვინეობის მაღალ დონეზე მიუთითებს განათხარ კერამიკაში მრავლად წარმოდგენილი დოქები, ხელადები, ფიალები, რომლებიც ძირითადად ღვინის მოხმარებასთან იყო დაკავშირებული.

უფლისციხელების სამეურნეო ცხოვრებაში არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მესაქონლეობას. ოსტეოლოგიური მასალების მიხედვით ჩანს, რომ უფლისციხეში მისდევდნენ, როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა პირუტყვის მოშენებას. მესაქონლეობის განვითარებაზე მეტყველებენ კერამიკულ ნაწარმში წარმოდგენილი სარძევე ჯამები და საღვებლები.

უფლისციხელთა სამეურნეო საქმიანობაში გარკვეული ადგილი ეკავა ხელოსნობის დარგებს; ფეკრობას, ძვლის ნივთების წარმოებას, ქვითხურობას, მეთუნეობას.

კლდეში ნაკვეთი კომპლექსის გათხრებისას აღმოჩენილია ტყავის დასამუშავებელი რქისა და ძვლის იარაღები და თიხისაგან დამზადებული საქსოვი დაზვის საქაჩი. აგრეთვე ქვის კვირისტაქის ნაშაღი. თუმცა, ტყავის დასამუშავებელი და საფეიქრო საქმესთან დაკავშირებული ნივთების სიმცირე იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ხელოსნობის ეს დარგები უფრო თვითმობოთხონილებების დაქმავიფილებას ემსახურებოდა და მის პროდუქციას სასაქონლო ხასიათი არა ჰქონია.

XI-XIII სს კულტურულ ფენებში ძვლის ნაწილობრივ გახეხილ-გაპრიანებული ნივთების — ნახევრადნაშადების აღმოჩენა დასტურია იმისა, რომ შუასაუკუნეების უფლისციხეში ჰქონიათ ძვლის ნივთების წარმოება.


შუასაუკუნეების უფლისციხეში უმეტესად ქვის ხურთაა არსებობაც. ხელოსნობის აღნიშნული დარგი უფლისციხეში ტრადიციულია; ანტიკური ხანის კლდეში ნაკვეთი დარბა-

ზების გარდა, იქ გვხვდება პარჩეტუქსის ტურული თვალსაზრისით სპეციალური ხეწილი შუასაუკუნეების არაერთი ნაგებობა, რომელთა გამოკვეთა თავისთავად მაღალბროფესიონალ ხელოსანთა არსებობას გულისხმობს.

შუასაუკუნეების უფლისციხეში ხელოსნური წარმოების წამყვანი დარგია მეთუნეობა. IV—XIII საუკუნეების უფლისციხეში კერამიკული წარმოების ადგილობრიობაზე არაერთი ფაქტი მიუთითებს; სხვადასხვა დანიშნულების ქურჭლების კეცის ერთგვაროვნება, კერამიკული ნაწარმის ფორმებისა და ზომების სტაბილურობა, ზოგიერთი სახის ქურჭლების ლოკალური თავისებურებანი და სხვ.

გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ აღრე შუასაუკუნეების უფლისციხეში სამშენებლო კერამიკაც ადგილობრივ მზადდებოდა. VIII-X სს. დასაწყისით დათარიღებული უფლისციხის ზღუდის კედლის ერთი ფენა ნაგებია აგურით (ტაბ. I, სურ. 2). აგურები მკაცრად სტანდარტირებულია. მათი ზომებია 23X23X5 სმ. სამშენებლო კერამიკის ერთი და იგივე ზომები მიგვანიშნებს, რომ ისინი ერთი სახელოსნოს ნაწარმია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კლდეში ნაკვეთი კომპლექსის სასიმაგრო კედლისათვის ასეული ათასობით აგური იყო საჭირო, მაშინ სრულიად გამორიცხულია ამ სახის სამშენებლო კერამიკის გარედან შემოტანის შესაძლებლობა. სამშენებლო კერამიკის ადგილობრივი წარმოების დამადასტურებელია ჩრდილოეთი უბნის IX-X სს. ჭულტურულ ფენაში დეფორმირებული, წუნდებული კრამიტის აღმოჩენის ფაქტი.

არქეოლოგიური მასალების ანალიზის საფუძველზე ნაწილობრივ მიიწევი ირკვევა, თუ რა საქონელი შემოჰქონდათ უფლისციხეში. შუასაუკუნეების უფლისციხეში მინის ადგილობრივი წარმოება არ დასტურდება, აქ აღმოჩენილი მინის ნივთები მთლიანად შემოტანილი




უნდა იყოს. სხვა საწარმოო ცენტრების პროდუქციით კმაყოფილდებოდა მოსახლეობის მოთხოვნილება მოქიქულ კერამიკაზე XI-XIII საუკუნეებში.

შუასაუკუნეების უფლისციხის საავტო-ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით საყურადღებო ცნობაა შემონახული „ქართლის ცხოვრებაში“. მამის წინააღმდეგ აჯანყებული კონსტანტინე უფლისწული შეეცადა ალყაშემორტყმული უფლისციხიდან გაპარვას, მაგრამ „ვერღარა დაიმორჩილნეს ტივნი და ჩაქდეს ადგილსა სადა ტივნი დადგებოდნენ“ (I, გვ. 267). (ხაზგასმა ჩემია დ. მ.) ირკვევა, რომ X საუკუნეში, ალბათ უფრო ადრეც და მოგვიანო ხანებშიც, დაახლოებით საღიზვარის მიდამოებში სამდინარო ნავსადგური ყოფილა გამართული. სამდინარო ტრანსპორტის საშუალებით უფლისციხესთან სავაჭრო ურთიერთობაში ჩაბმულ უნდა ყოფილიყო მტკვრის ზემო წელის მოსახლეობა. თავის მხრივ უფლისციხელებს საშუალება ჰქონდათ წყლის ტრანსპორტით დაკავშირებოდნენ მტკვრის ქვემო წელზე მდებარე

დასახლებებს. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ უფლისციხისა და მტკვრის ზემო წელის მოსახლეობის ეკონომიკურ ურთიერთობაში გარკვეული ადგილი ეკირა ხე-ტყით ვაჭრობას.

სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გარკვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მონეტებს. მასალების უქონლობის გამო, ჭერჭერობით სრულიად ბუნდოვანია სამონეტო მი-



მოქცევის სურათი ადრე შუასაუკუნეების უფლისციხეში, რაც შეეხება შემდგომ პერიოდს, უფლისციხესა და მის შემოგარენში განვითარებული შუასაუკუნეების სულ 16 მონეტაა აღმოჩენილი. უფლისციხის მახლობლად, სოფელ ქვახვრელში აღმოჩნდა განძი, რომლიდანაც 10 ვერცხლის მონეტა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოხვდა (7, გვ. 122). ისინი მოჭრილია 1027 წ. თბილისის ამირა ალი იბნ ჯაფარის სახელით. მ. ანთაძის აზრით, ეს მონეტები იმ ხარკისათვის გადაებული თანხის ნაწილი უნდა იყოს, რომელსაც XI საუკუნეში თბილისის ამირა უხდიდა გაერთიანებული საქართველოს მეფეს. შემდეგში კი, რაღაც მიზეზის გამო ეს ფული განძად იქცა (7, გვ. 124), ქვახვრელის განძის მიხედვით ჩანს, რომ XI საუკუნისათვის უფლისციხის სამონეტო მიმოქცევას თბილისის ამირა ალი იბნ ჯაფარის სახელით მოჭრილი ფულიც ავსებდა.

რაც შეეხება საკუთრივ ელდემი ნაკვეთი კომპლექსის გათხრების დროს აღმოჩენილ 6 მონეტას, სამი მათგანი არ ისაზღვრება, დანარჩენებიდან ერთი ეკუთვნის გიორგი III-ს, ორი კი თამარ მეფეს. მონეტების ამგვარი სიმცირე იმაზე მიუთითებს, რომ ფულის მიმოქცევის მასშტაბებით XI-XIII სს.

უფლისციხე მნიშვნელოვნად გამოჩნება თბილისს, რუსთავს, სსხვ. სხვა ქალაქებს. ეს გასაგებია XI-XIII სს. უფლისციხე თანდათან კარგავს იმ პოლიტიკურ-ეკონომიკურ პოზიციებს, რომელიც მას ადრე ჰქონდა.

ლიტერატურა:

1. ს. ვახტაიშვილი, გეოგრაფია II, თბ., 1934.
2. დ. ხახუტაიშვილი, ელდემი ნაკვეთი ქალაქი, თბ., 1965.
3. უფლისციხეში ამ ფორმის 7 ობოლა გამოვლენილი. ზოგიერთ მეკლეგარს მაჩინია, რომ ისინი საეკლტო დანიშნულებისაა (თ. სანიკიძე, 1976-83 წ.წ. უფლისციხის ელდემის ზოგიერთი შედეგი, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის VI სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1984). ასეთი მტკიცებისათვის საჭიროებს მასალები ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. ის ფაქტიც, რომ ერთ-ერთი ამგვარი ობოლი სწორედ სახანაზოში გაითხარა, პირველ რიგში მათ სამეურნეო დანიშნულებაზე მეტყველებს. (იხ. 2, გვ. 26).
4. დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხეში 1958 წ. წარმოებულ არქეოლოგიური გათხრების შედეგები (ხელნაწერი).
5. რ. ჩამიშვილი, იალსაისის ნამოსახლარი და მლაშეების გორის მარანი, ფსაძ, ტ. II, თბ., 1974.
6. გ. ჩხელიშვილი, არაგვის ხეობის საწინახელები, არქეოლოგიური ძეგანი, თბ., 1977.
7. მ. ანთაძე, ქვახვრელის განძი, სსმ, ტ. XXXVII:1—B, თბ., 1986.

11. სოფ. ჭიორა. ბაზილიკური ეკლესია XIX ს. ჩამოინგრა კამარა.
12. სოფ. ხომიწო. წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია. განვითარებული შუასაუკუნეები, დანგრეულია.
13. სოფ. წედისი. გორის წმ. გიორგი. დარბაზული ეკლესია XI ს. ჩამოინგრა, კამარა და კედლების ზედა ნაწილი.
14. სოფ. ზედა სორი. მთავარანგელოზის დარბაზული ეკლესია X ს. დაზიანებულია მთლიანად.
15. სოფ. ხევა. წმ. სამების დარბაზული ეკლესია — განვითარებული შუასაუკუნეები. ძლიერაა დანგრეულია.
16. სოფ. გონა. „მთავარანგელოზის“ დარბაზული ეკლესია. შუასაუკუნეები, აქვს მცირე დაზიანებები.
17. კურორტ შოვის ზევით ბუბას მთისკენ. დარბაზული ეკლესია „ბუბის ჯვარი“. დანგრეულია.

(დასასრული, 47 გვ.)

ცაბერის რაიონი



1. ორბელის ციხე. შუასაუკუნეები. დაინგრა შიდაციხის კოშკი, სასახლის კუთხის კოშკი, გალაუნის ზედა ნაწილი.
2. მცხეთის წმ. გიორგის გუმბათიანი ეკლესია XVIII ს. განდა ბზარები.
3. ს. ნაკურალეში. დარბაზული ეკლესია „წმ. გიორგის“ XVII ს. განდა დიდი ბზარები, დაზიანდა მხატვრობა.
4. ს. გონი. დარბაზული ეკლესია „წმ. გიორგის“ X-XI სს. დაზარეულია ნაწილობრივ.
5. სოფ. ჭაშლეთი. „მაცხოვრის“ დარბაზული ეკლესია XIV ს. დაზარეულია კამარა.

სანახარის რაიონი

1. სოფ. ხაფანე, წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია 1046 წ. ნაწილობრივ დაინგრა კამარა, კედლები. განდა ბზარები.
2. სოფ. ხაფანე. „წმ. ნიკოლოზის“ „გიორგისეული“ გუმბათიანი ეკლესია XI-X XII სს. დაინგრა გუმბათი, დაზიანდა მხატვრობა.
3. სოფ. ხაჩხერე. „მოდინახეს“ ციხე. განვითარებული შუასაუკუნეების, დაზარეულია მთლიანად.
4. ს. სპეთი. დარბაზული ეკლესია „ღვთაება“ XI ს. ნაწილობრივ დაინგრა და დაიბზარა.
5. ს. ჭალა. „წმ. გიორგი“. აბაშიძეების დარბაზული ეკლესია XVI ს. დაინგრა კამარა და ჩამოიშალა მოპირკეთება.
6. ს. ჯრუჭი. მონასტერი განვითარებული შუასაუკუნეები, დაზარეულია მთლიანად.
7. სოფ. სხვიტორი. აკაკი წერეთლის სახლი XIX ს. ძლიერ არის დაზიანებული.
8. სოფ. არგვეთი. ოქონოს დარბაზული ეკლესია. განვითარებული შუასაუკუნეები, ჩამოინგრა კამარა, ჩამოიშალა საპირე ქვები.
9. სოფ. უდერძი. წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია, შუა საუკუნეების დაზიანებულია.
10. სოფ. ღუნთა. მთავარანგელოზის დარბაზული ეკლესია XIX ს. დაზარეულია მთლიანად.
11. სოფ. ჩიხა. დარბაზული ეკლესია. XI ს. დაზარეულია მთლიანად.
12. სოფ. ჩიხა. დარბაზული ეკლესია XIX ს. დაზარეულია გადახაურვა და კედლების ზედა ნაწილები.
13. სოფ. ჩიხა. ციხე. განვითარებული შუასაუკუნეების, დაინგრა ციხის აღმოსავლეთის კედელი.
14. ხაჩხერე. წმ. ნინოს ეკლესია. 1905 წ. დაზარეულია მთლიანად.

სამაჩაბლოში (ცხინვალის რაიონი).

იკორთის ტაძარი XII ს. დაინგრა გუმბათი.

(გაგრძელება იხ. 56 გვ.)



ჯემალ გვიტაძე

ძალაქ კასპის გენეზისი

შიდა ქართლის ანტიკური ხანის ძალაქების კვლევა-ძიება სამამულო ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი საყურადღებო და მრავალმხრივ საინტერესო საკითხია. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მოცემული პერიოდის ძალაქების გენეზისი. აღნიშნულ საკითხზე მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული:

შიდა ქართლის ანტიკური ხანის ძალაქები მანამდე ძლიერი სამოსახლოები იყვნენ. ძველი პუნქტების გაძლიერებისა და გაძალაქების ერთ-ერთ ფაქტორად მძლავრი მიწათმოქმედება მიჩნეული, რომელიც სარწყავ-საირიგაციო სისტემებით იყო დაქსელილი.

შიდა ქართლში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მრავალი გორანამოსახლარია ფიქსირებული. მათ შორის გამოირჩევა თავისი სიდიადითა და მასშტაბურობით ნოსტეს, მეტეხის, ქალიქედის, ძლევის ქედის, ცხიბაგორას, გორაკას, ოკამისა და სხვა გორანამოსახლარები. თითოეულ მათგანს ვაძს აკრავს ინტენსიური მიწათმოქმედებისათვის ნაყოფიერი გეოგრაფიულ-ეკონომიკური რაიონი, განპირობებული სარწყავ-საირიგაციო სისტემებით. ასეთივე პირობები გაჩნია დღეს უკვე არქეოლოგიურად შესწავლილ მოცემული ეპოქის ზემძლავრ დასახლებას თრელიგორებს. ძვ. წ. VIII—VI საუკუნეებისათვის, გორანამოსახლარების ირგვლივ წარმოქმნილია დაბური ტიპის დასახლებანი. მაგრამ ეს პუნქტები ძალაქებად ვერ განვითარდნენ.

კასპის ტერიტორიაზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ორი მძლავრი გორანამოსახლარია მიკვლეული, კასპის გორა (მდინარე ლეხურას შარჯენა მხარე); აბტალას გორა (მდინარე

ლეხურას მარცხენა მხარე). მათაც მოცემულ ხანაში გააჩნდათ შესაბამისად კასპის № 1 და № 2 სარწყავი სისტემებისა — ინტენსიური მიწათმოქმედებისათვის ვარგისი ვრცელი ფართობები. მაგრამ მივაკუთვნოთ კი ამ გორანამოსახლარებს კასპის ძალაქად განვითარებისა და ჩამოყალიბების ფაქტორი? ვფიქრობთ ასეთი დაცენის გაკეთება ნაჩქარევი იქნებოდა. რადგან მიგვაჩნია რომ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის გორანამოსახლარები (თავისთავად) და ინტენსიური მიწათმოქმედება ძალაქების, კერძოდ კასპის ქალაქისა და საქალაქო ცხოვრების წარმოქმნის პირობა, საიმედო არგუმენტად არ გამოდგება.

გორა თავის ეკონომიკურ რაიონში აერთიანებს სათეს ფართობებს და საქოვრებს, ტყეს მდინარეს და სხვა. სათესი ფართობები დასამუშავებლად ეძლეოდათ ოჯახებს ან ოჯახთა ჯგუფებს (კოოპერაციის გზით) ხოლო საქოვრები გორის საერთო საკუთრებას წარმოადგენდა და იგი ოჯახზე ან ოჯახთა ჯგუფზე არ გაიყვმოდა.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის გორანამოსახლარის ეკონომიკა შერეულ მეურნეობას (მიწათმოქმედება და მესაქონლეობა) ემყარებოდა. აქედან გამომდინარე შრომის დანაწილება მიწათმოქმედება და მესაქონლეობა ვერ აღმოცენდებოდა, რადგან მეურნეობის ორივე დარგი ერთ ეკონომიკურ ფაქტორში ერთიანდებოდა.

ხელოსნობის დარგები. სავაჭრო ურთიერთობანი ჭერ კიდევ გორისა და ხევის მმართველობის დროს ჩაისახა, მაგრამ გორაზე წარმოებული ხელოსნური ნაწარმი, ძირითადად ადგილობრივ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა. მართალია ვაჭრობა ხელს უწყობდა

საქონლის გაცვლას თემებს შორის, მაგრამ მას, როგორც ჩანს დატარებითი ხასიათი ჰქონდა. ვაჭრობა გორებისა და ხევის ეკონომიკური რაიონის მოსახლეობის ურთიერთშეხებისას წარმოქმნიდა საბაზრო ადგილებს. მაგრამ მოკლებული ეპოქის საწარმოო ძალების სუსტი განვითარება, ვერ უქმნიდა „ბაზრობას“ ინტენსიურ ხასიათს და იგი ეპიზოდური და სეზონური უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე გორისა და ხევის მმართველობის პირობებში ხელისნობა და ვაჭრობა თავისთავად ვერ ქმნიან ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების წარმოქმნის პირობებს. არ არის გამორიცხული, რომ „საბაზრო“, „სავაჭრო“ პუნქტებმა სხვა ხელშემწყობ, ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად, შექმნან საქალაქო ცხოვრების საფუძვლები.

შენიშნულია, რომ შიდა ქართლის ანტიკური ხანის ქალაქები წარმოიშვა, აქ საერთაშორისო, სავაჭრო-სატრანზიტო გზის (დიდი გზა: ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ) გავლის შედეგად. გზის ამ მონაკვეთის გავლამ შიდა ქართლში (მისაქციელი—დასავლეთ საქართველოსაკენ) ხელი შეუწყო ამ რეგიონის ეკონომიკურ დაწინაურებას და ამ ბაზზე ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების წარმოქმნას.

გზები თავისი მნიშვნელობით ორ კატეგორიად იყოფა: ძირითადი და ადგილობრივი.

ა) ძირითადი მაგისტრალი მიემართებოდა მისაქციელი — დასავლეთ საქართველოსაკენ, „მოქცევაჲ ქართლისაჲ, ცნობით ქალაქები: სარკინე, კასპი, უფლისციხე, ყვერნაქების დაბალი მთიანეთის მწყარვისა და მდინარე მტკვარს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე დაფიქსირებული. აქედან გამომდინარე ზემოაღნიშნული ქალაქების წარმოქმნა გზის ამ მონაკვეთის (მისაქციელი — დასავლეთ საქართველოსაკენ) ფუნქციონირებით ვერ აიხსნება.

გზის ამ მონაკვეთის ფუნქციონირე-

ბას, წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიურ კვლევის მონაცემების როგორც ჩანს, ინტენსიური ვაჭრობა ქ. წ. I საუკუნიდან უნდა მისცემოდა (1. გვ. 502—505). გზის დაცვა, ბუნებრივია სამეფო ხელისუფლების პრეზერვაციაში მოქცეა. (2. გვ. 99—100). ყოველივემ, ვფიქრობთ, გამოიწვია კასპის პოლიტიკურ-ეკონომიკური დაცემა. თუმც ვერ მოსპო (3. გვ. 41-46). შესაძლოა ეს მოვლენა აისახა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ცნობაში „მეფობდა არსუკ რომელმან კასპი შეიპყრო და უფლისციხე განაგო“ (4. 1. გვ. 82).

იბადება კითხვა, რა ფაქტორმა შეუწყო ხელი ქალაქის წარმოქმნას ძალისში და არა მისაქციელში? მისაქციელი, როგორც ცნობილია, ოდითგანვე საერთაშორისო გზაზე მდებარეობდა: წინააზია — ჩრდილოეთ კავკასია. ამ პუნქტზე გაიარა მეორე საერთაშორისო გზაშაყ.

ქალაქ ძალისას წარმოქმნის ეკონომიკური ფაქტორის შესწავლის ჩვენ არ შევუდგებით, მხოლოდ შეგნიშნავთ, „ძალისა“ — იქნებ მოუთითებდეს საერთაშორისო გზის გავლამდე „მუხრანის ქვეყნის“ პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრის ფუნქციონირებას.

სავარაუდოა, რომ საერთაშორისო გზის ერთი მონაკვეთი ფუნქციონირებდა მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს, ამ შემთხვევაშიც კასპი ამ გზის მძლავრ რეზერვუარს. ბ) ადგილობრივი გზის ფუნქციონირებას შიდა ქართლი — კასპი — გაღმა მხარი — თრიალეთი, განსაზღვრავს ეკონომიკური ფაქტორი — თრიალეთის საზღვებულ სამოკვრები.

ბუნებრივია ისმის კითხვა — რა ძირითადი ეკონომიკური ფაქტორი დაედო საფუძვლად ყვერნაქების დაბალი მთიანეთის მწყარვისა და მდინარე მტკვარს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე შიდა ქართლის ანტიკური ხანის ქალაქების, ევროპულ კასპის პოლიტიკურ ერთეულისა და კასპის ცენტრისა და ქალაქის წარმოქმნას?

კასპის ტერიტორიაზე, ისევე როგორც შიდა ქართლის ზემოთ მითითებულ



რეგიონებში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში გორანამოსახლარების ეკონომიკური ბაზისი შერეულ (მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას) მეურნეობას ემყარებოდა და იგი მოცემულ ხანაში ერთ ეკონომიკურ ფაქტორში იყო მოქცეული. წარმოებული პროდუქცია მიიღებოდა იმ რაოდენობით რამდენსაც თემის, მოცემულ შემთხვევაში კასპის, საარსებო საშუალებადანი ითვალისწინებდა, ვიდრე იგი გარე სამყაროსთან თემებს შორის შექმნიდა განსხვავებას (5. გვ. 176).

კასპის დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულისა და კასპის ცენტრისა და ქალაქის წარმოქმნისათვის ჩვენ ძირითად ფაქტორად მესაქონლეობა მიგვაჩნია, რომელსაც განაპირობებდა კერნაქების ღაბღალი შითანეთის მწკრივისა და მდინარე მტკვარს შორის მოქცეული ტერიტორიისათვის დამახასიათებელი ეკოლოგიური მომენტი „ზამთარ ბალახიანი და იზრდება, ცხვართა, რემათა და პროწულთა სიმრავლე და თბილი ზამთარი“ (6. გვ. 72). ზამთრის საძოვრებისათვის ვარგისი, მზვარე ადგილი ოდიტანგვე ჩანს კარგად. იყო შენიშნული მეზობელი ხეების, კავთისხევის, თემისხევის, ლეხურას ხეობის მოსახლეობის მიერ.

მეზობელი ხეების — მესაქონლეთა კონცენტრაციამ საჭირო გახადა თემებს შორის საძოვრების განაწილების რეგულირება და აქედან გამომდინარე კასპი — კავთისხევი, კასპი — თემისხევის. როგორც ორ იურიდიულ მხარეს შორის აუცილებელი სამართლებრივი ნორმის წარმოქმნა.

მესაქონლეთა კონცენტრაციამ ხელი შეუწყო თავდაპირველ სასაქონლო პროდუქციის (საქონლის გაცვლას) წარმოქმნას და შექმნა აუცილებლობა სასაქონლო პროდუქტის დაჯგოფებისა. ყოველივე ეს განსაზღვრა კასპში ბაზრის ინსტიტუტის ჩასახვა.

ხევისა და გორის მმართველობის სისტემაში არსებულმა მეურნეობრივმა მახასიათებლებმა, რომელთა შესახებაც ჩვენ ზემოთ ვეჭონდა საუბარი, ასევე საერთო ლაშქარი, საერთო ხატსალოცაების, მეთემეთა თავისუფლებისა და თანასწორობის ტრადიციებმა (7. 1. გვ. 181—192) ადათობრივი სამართლის ნორმატიული აქტების ფუნქციონირებამ ხელი შეუწყო არა მესაქონლეობა (მესაქონლე), მიწათმოქმედება (მიწათმოქმედი და) ხელოსნობა (ხელოსნი), როგორც კლასიკური შრომის დანაწილებას, არამედ წარმოქმნა სოციალური კატეგორია „მეურნე“ და „მეურნეობა“, რომელიც თავისთავში აერთიანებდა მესაქონლესა და მიწათმოქმედს. ხშირ შემთხვევაში ხელოსანსაც ითავსებდა.

ამდენად კასპელები (კასპის თემი), როგორც მფლობელი და ძირითადი იურიდიული მხარე ზემოაღნიშნულ მეზობელ ხეებთან, არეგულირებდნენ საძოვრების განაწილებას, ხელოსნობა — ვაჭრობასა და ბაზრის ინსტიტუტის წარმართვას. ყოველივე ამან ხელი შეუწყო კასპის პოლიტიკური ერთეულისა (კასპის ქვეყნის) და მისი ეკონომიკური და ადმინისტრაციული ცენტრის „კასპისა“ და „კასპი“ ქალაქის წარმოქმნას.

1. ვ. ზელიქიშვილი, საქართველო 1-III საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის ნაჭკვევები, 2. ტკბილაძე, ანტიკური ხანის შორაპნის საერისთაოს საკითხებისათვის, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, თბ., 1964
3. ვ. ზელიქიშვილი, საქართველოს ანტიკური ხანის ქალაქების წარმოქმნის წინამძღვრები (კალაქი კასპი). „ძველის მეგობარი“ № 70, 1965
4. „მოქცევაჲ ქართლიაჲი“, ძველი ქართული ავტოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები.
5. ფ. ენკელისი, ანტიკური ისტორია, თბ., 1952
6. ვახუშტი, სსკონიაშვილი, მწერისა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941
7. ვ. ზელიქიშვილი, ერთი იურიდიული-გეოგრაფიული დღიურიდან, საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული კრებული, თბ., 1960.

გიორგი ბაბრატიონი

აკვედუკი ანუ გელარი „ქახიდა“ – სოფელ სოფლისთან

1954–1961 წლებში, ხოვლევიორას არქეოლოგიური ძეგლის გათხრისას, რომელსაც ნიკო ბერძენიშვილი ხელმძღვანელობდა, ექსპედიციის ხშირი სტუმარი აყო ბატონი ლეო რჩულიშვილი. სწორედ მის საველე უბის წიგნაკში აღმოჩნდა შესხვეის ხეში აკვედუკის აკვედუკის ჩანახატი. სხვა ცნობა ამ ძეგლის შესახებ არც მანამდე და არც შემდგომ არ ყოფილა, რაც ერთგვარად ეჭვსაც კი იწვევდა მისი ამჟამად არსებობის კარგეში. საბედნიეროდ ჩვენი ეჭვი არ გამართლდა – ძეგლი თითქმის ისეთივე სასრულით შემონახულა როგორც ჩანახატშია წარმოდგენილი.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენში, სადაც საქაოვ მალალ დონეზე იდგა წყალგაყვანილობისა და ხიდების მშენებლობა, ეს ერთადერთი შემორჩენილი აკვედუკია (ახალციხის რაბათის აკვედუკი, მართალია საქართველოს ტერიტორიაზე მდებარეობს, მაგრამ, ოსმალური არქიტექტურის ნიმუშია), თუმცა მათი არსებობა ძველ საქართველოში ეჭვს არ იწვევს. მაგალითად, არმაზის ხეში არსებული წყალხადენი, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში უნდა ყოფილიყო გაყვანილი, ჯერ ხეობის მარცხენა კალთაზე შეიმჩნევა, შემდეგ კი უცებ წყდება და ხეობის მარჯვენა კალთაზე გრძელდება. ამ შემთხვევაში ამკარაა, რომ ამ ადგილას აკვედუკი უნდა ყოფილიყო, მაგრამ სამწუხაროდ მისგან კვალისც კი არ დარჩენილა. საქართველოში აკვედუკების არსებობის ფაქტზე ისიც მიუთითებს, რომ სულხან-საბა ორბელიანის „ხიტყვის კონაში“, „აკვედუკის“ – ჩვენთვის უცხო ხიტყვის მაგაერად „ბელა-

რია“ მოხსენიებული. დიდი წინაპრის განმარტებით – რუსეთის ღარის ხიდი. ის, რომ ჩვენში შესხვეის აკვედუკის გარდა სხვა ჯერაც არ არის აღმოჩენილი იმაზე მოგვანიშნებს, რომ სახმელი წყლით მდიდარ საქართველოში აკვედუკების აგების საჭიროებაც ნაკლები იყო, ვიდრე იტალიაში, რომელიც ამ ხაინჯინრო ნაკებობების სამშობლოდ ითვლება.


აკვედუკი ლათინური ტერმინია და წყალხადენს ნიშნავს; „აგუა“ – წყალი და „დუკა“ – მიმყავს. პირველი აკვედუკები რომის რესპუბლიკაში ძვ. წ. II საუკუნის დასაწყისიდან ჩნდება. 144 წელს პრეტორმა კვირტ მარციუს რეკსმა აკვედუკის მშენებლობა წამოიწყო. სამუშაოები 4 წელიწადში დამთავრდა და აკვედუკს აკვა მარციუსი ეწოდა. ამ ხაინჯინრო ნაკებობის სიგრძე 91 კმ-მდე იყო და მისი უმეტესი ნაწილი გადიოდა თალოვან სუბსტრუქციებზე, რომლებიც თლილი ქვის კვადრებით იყო ნაკები. აკვედუკის სიმაღლე ზოგან 15 მეტრს აღწევდა; მის მშენებლობისას გულდასმით ხდებოდა ქვების შერჩევა და დუღაბიც თავად არჩის გარშემო სპეციალური, წყალგაუმტარი მზადდებოდა. იმპერატორების დროს აკვედუკების რიცხვმა რომში ცხრას მიაღწია; მაგრამ მართლად მარციუსის აკვედუკის ტიპი განმზახლვრელი იყო მათი პროპორციებისა და სტრუქტურის. გარდა ცნობილი რომაული აკვედუკისა: კლაუდიუსის, ნერონის, იულიუსის და სხვა, აღსანიშნავია აკვედუკები რომის იმპერიის პროვინციებშიც; სეგოვიის ცნობილი აკვედუკი, რომელიც ახლაც კი მწყობრშია კონ-

სტრუქციული გადაწყვეტის სითამამით გვაოცებს და მხატვრულადც სრულქმნილ არქიტექტურულ ძეგლად წარმოგვიდგება. აქვე უნდა მოვიხსენიოთ რომაული აკვედუკი ქ. ნიძის მახლობლად, საფრანგეთში, ე. წ. „გარდის ხიდი“. II საუკუნის ნაგებობის სიმაღლე 49 მეტრს აღწევს, სამ იარუსად არის განლაგებული და პრინციპულად განსხვავდება სხვა აკვედუკების აგებულებისაგან.

რომის იმპერიის დაცემის შემდეგ ასეთი გრანდიოზული აკვედუკების მშენებლობა იშვიათობა გახდა, თუმცა მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში იტალიაში, საფრანგეთსა და ესპანეთში ახალი აკვედუკები შენდებოდა; ცნობილია VI საუკუნის ბურგასის აკვედუკი, რომელიც კონსტანტინეპოლს ამარაგებდა წყლით, ათონის ივერთა მონასტერსაც აკვედუკის მეშვეობით აწვდიდნენ სასმელ წყალს; რუსეთში პირველი აკვედუკი XVIII საუკუნეში ჩნდება ე. წ. როსტოკინის აკვედუკი მოსკოვის მახლობლად.

ზესხევის წყალი, რომელიც მდ. ხეხმელას მარჯვენა შენაკადს წარმოადგენს, სოფელ ხოელედან სამხრეთ-აღმოსავლეთით I კმ-ში მოედინება. ხევის შუაწყლის კლდოვან ფერდობზე ბელლარია აგ-

ებული. ადგილობრივი მოსახლეობა მას „ქეახიდას“ უწოდებს და გადმოცემის მიხედვით, სამართლიანად მიიჩნევენ თავად ჯავახიშვილების სასახლის წყალმომარაგების სისტემის ერთ-ერთ საინტერესო ნაგებობად. ამ საინჟინრო ნაგებობის სიგრძე 30 მეტრს აღწევს, სიმაღლე 9 მეტრს, ხოლო სიგანე 1,1 მეტრს. შუი ძალი, რომლის ქვეშ ხევის წყალი მოედინება, სიგანეში 4,3 მეტრისაა და ბურჯებზე დაყრდნობილ შეისრულ თაღს წარმოადგენს. თაღის კონსტრუქციული ნაწილი თანაბრად შერჩეული მოვრძო და თხელი ნატეხი ქვებით არის ამოვყვანილი. ბურჯიდან თაღში გადასვლის ადგილას მცირე ნაშვერებია, ხოლო მათ ქვემოთ კედელში ხის კოჭების გასაღები ბუდეებია დატოვებული. მისგან ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ძალი მრუდთალოვანია (სიგანე 3,5 მ.); ეს თაღიც ანალოგიური წყობით ამოუყვანიათ. ამ ორ ძალს შორის, თაღებს შუა კედლის მასის კონსტრუქციულად შემსუბუქების მიზნით კედელში მცირე მრუდთალოვანი ღიობი დაუტანებიათ. იმავე მოსაზრებით შუა ძალისაგან სამხრეთ-აღმოსავლეთით ორი მრუდთალოვანი ღიობია, რომელთაგან პირველი სიმაღლეში 4 მეტრს აღწევს, ხოლო მეორე 1,5 მეტრს. მათი თაღებიც





ახელი ნატეხი ქვით არის ამოყვანილი. აკვედუკის კედლის ძირითადი მასის ზედა რეგისტრი ორივე მხრიდან ერთი საფეხურით არის შემცირებული, რომელზეც წინათ ვერამიკული წყალსადენი მილები ეწყო. ამ მილის ნარჩენი ზედაპირის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილშია შემორჩენილი და 7 სმ-ის დიამეტრისაა. „ქვახიდას“ კედლის წყობა ძირითადად მოყვითალო-მონაცრისფრო ნატეხი ქვით არის ამოყვანილი, ალაგ-ალაგ იგივე შერჩეული ქვებით წოლანა წყობაა ჩართული. დღესათვის იმდენად გამძლე ნაერთია გამოყენებული, რომ ეხლაც კი, როდესაც აკვედუკს თავისი ფუნქცია დაკარგული აქვს და ფეხით გადასასვლელად გამოიყენება, მისი ზედაპირი თითქმის უცვლელად შემორჩა და საუკუნეების განმავლობაში არც კი დაშლილა. რადგან წყალი სათავე ნაგებობიდან, თავდაპირველად ხეობის მარცხენა ფერდზე მოედინებოდა, აკვედუკის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი 1,8 მეტრით მაღლა მდებარეობს თარაზული ხაზიდან ვიდრე მისი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი. „ქვახიდას“ თავსა და ბოლოში, მიწაში, წყლის საღებავი ქვევრებია ჩაფლული.

ნიშანდობლივია, რომ ზესხევის „ქვახიდა“, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ქვის ხიდების მშენებლობის დიდი ტრადიცია არსებობდა, სრულებითაც არ იმეორებს ქართული ხიდების აგების წესს. მისი სუბსტრუქციის ვერტიკალურად დანაწევრების მცდელობა უფრო ანტიკური ტიპების ანალოგს იწვევს და ნაქლებად ჰგავს ქართულ ხიდსა გაშლილმალიან, ერთი ნაპირიდან მეორეზე თამამად გადატყორცნილ: ქვიტიკორის მკვიდრ მასას.

საქართველოში ხიდმშენებლობა ძირითადად ორ პერიოდში მიმდინარეობდა. IX-XII საუკუნეების ხიდები მეტწილად ერთმალიანია. შვილდისტარივით ღამაზად ამოზნექილი თაღები ნატეხი ქვის წყობით არის დაბეტონებული. ამ ხანას მიეკუთვნება ბესლეთის, თეძამის, დანდალოს, მახუნცეთის და სხვა ხიდები. II პერიოდი ქართული ხიდების ინ-

ტენიურად აგებისა XVII-XVIII საუკუნეებს განეკუთვნება. ამ დროში იყო იათ „გატეხილი ზიდი“, ამჟამად „წითელ ხიდად“ ცნობილი, თბილისის ხიდები მდ. ვერეზე და „ოქუანთი“, ჩოლაბაურის სამმალიანი ხიდი, გორულუს ქვის ხიდი მდ. მამავერაზე და სხვ. ამ პერიოდის ხიდებისათვის დამახასიათებელი შეისრულობა ზესხევის ბელარზეც ნათლად შეიმჩნევა. ამ სტილისტური ნიშნით ზესხევის „ქვახიდაც“ XVII-XVIII საუკუნეების ნაგებობად უნდა ბივიჩნით.

ამრიგად, ზესხევის აკვედუკის წარმოჩინებით, ქართული არქიტექტურის ისტორიაში და კერძოდ ცოდნაში საინჟინრო ნაგებობების შესახებ ახალი ფურცელი გადაიშალა.


სწარმოშუ: აკვედუკი სოფელ ხოლბეგთან.
ზეთი-აკვედუკის აგმა-ზედგმა: ქვეთი — აკვედუკის ჩრდილო-აღმოსავლეთის ფასადი.

სულიერ ნუსხიკი

პაი, შვილო, სადამდე

„სურამის ციხე“ დიდი ლევინდა,
ულანაშაულ სიხხლზე ამართული
ციხე და ცრემლიანი კედელი.

მასთან კომპიუტერში



– შვილო, შურაბ, სადამდე?

– ვაიმე, დედა, გაეთავდი...

ალბათ არ მოიძებნება საქართველოში კაცი – ამ სტრუქტურების საშინელება
არ ვგრძნობ.

გავიხსენოთ: სურამის ციხეს აშენებდნენ და ინგროდა, აშენებდნენ – ინგ-
როდა, ვერაფერი მოუხერხეს.

შეუ ითქვა: ციხის კედელში ვმანვილი ჩაატანეთ და აშენდებოდ. ჩაატანეს –
აშენდა.

ასეთია სურამის ციხის ლევინდა. მაგრამ აკი ამბობენ თითქოს ვველა ლე-
ვინდა სათავეს სინამდვილიდან იღებსო.

ვითომ ასეა?

ნუთუ ჩვენი წინაპარი ისეთი გულქვა და კელური იყო, რომ ვმანვილი, კე-
დელში ცოცხლად ჩამარხა?

ძნელი დასაჯერებელია.

ასეთი ვჭკვი დაგვებადა ჟურნალ „ქველის მეგობრის“ რედაქციაში და ამიტომ
მივმართეთ ცნობილ ბიბლიოფილს, ბატონ სულიკო ნუცუბიძეს თხოვ-
ნით, რათა სხვათა ენაზეც მიეკვლია მსგავსი რამ, რაც ხაჭკვოს გახდიდა სურა-
მის ციხის ლევინდის რეალურ, მიწიერ წარმოშობას, მივანიშნებდა რომ ამგვა-
რი ლევინდა-თქმულებანი სხვა ხალხებშიც მრავლად მოიძებნება, რომ იგი ფოლ-
კლორულ-პოეტური აზროვნების სფეროს უფრო მიეკუთვნება და ჩვენი ერის წარ-
სულის სინამდვილეს შესაძლოა სულაც არ წარმოადგენდეს.

ბატონი სულიკო ნუცუბიძე თავაზიანად მოეკიდა ჩვენს თხოვნას და ცოტა
ხანში წერილი გამოგვიგზავნა, რისთვისაც ავტორს დიდ მადლობას მოვახსენებთ.

ყველა ჩვენთაგანისათვის ცნობი-
ლია ქართველი მწერლის დანიელ ჭონ-
ქაძის მოთხრობა, „სურამის ციხე“. მხო-
ლოდ ამ ერთადერთი ნაწარმოებით დაი-
მკვიდრა მან ადგილი ქართული ლიტერ-
ატურის კლასიკოსთა შორის.

ჩვენ არ ვაპირებთ მის განხილვას და
გვსურს მხოლოდ ორიოდ სიტყვით შე-
ვხვით სურამის ციხესთან დაკავშირე-
ბულ ლევინდას.

რასთან არის დაკავშირებული სურა-
მის ციხის (იგი შუა საუკუნეების ციხე-
სიმაგრეა, აგების თარიღი არ არის ცნო-
ბილი) არსებული ლევინდა? ის შემზა-
რავი აქტი: ადამიანის ციხე-სიმაგრეში
ცოცხლად დატანება, მკითხავ ვარდუას
რჩევით რომ ხდება?

მკითხავი ვარდუა მხატვრული პერ-
სონაჟია. მაგრამ ლევინდას შორს აქვს
გაღებული ფესვები.



იგი პირველყოფილი რელიგიის დრო-
ინდელი კრურწმენაა. ამაში ნათლად და-
ვრწმუნდებით თუ გადავხედავთ კულტუ-
რის ისტორიას.

ადამიანთა კრურწმენით სამშენებ-
ლო სამუშაოების დროს საჭირო იყო მი-
წისქვეშა ღვთაების გულის მოგება, მო-
ღობა, ამისათვის აუცილებელი იყო
მსხვერპლის გაღება, რისთვისაც ცოცხ-
ლად სწირავდნენ ადამიანებს, რათა მი-
წის სულები არ განრისხებულყვნენ. ის-
ინი ღამით ანგრევდნენ იმას, რასაც ღლი-
სით აშენებდნენ ადამიანები. მიზანშე-
წინააღმდეგადად ადამიანის ცოცხლად
დატანება, მისი ამოქოლვა კედლებში ან
საძირკვლებს დასველება ადამიანის სი-
სხლით, რათა შერობა მყარი ყოფილიყო
და არ დანგრეულიყო.

ასეთი მაგალითები დასტურდება
ქრონიკებისა და გადმოცემების სახით.
შოტლანდიაში შემორჩენილი ლეგენდებ-
ის თანახმად ისტორიული ხიმქველებ-
ის ნაგებობათა საძირკვლებს რწყავდ-
ნენ ადამიანის სისხლით.

ლეგენდის თანახმად კოპენჰაგენის
ქალაქის კედლები ანგრეოდა მანამ სანამ
შიგ არ ჩაატანეს უდანაშაულო გო-
გონა. ის გართეს სათამაშოებით და
ტკბილეულით, სანამ გოგონა თამაშობდა,
მუსიკის გრილში თორმეტმა კალატოზ-
მა ცოცხლად ამოქოლეს იგი კედლებში.
ამის შემდეგ ნაგებობა მყარად იდგა.

იტალიური ლეგენდით მდინარე არ-
ტუზე ხიდის მშენებლობის დროს, რო-
მელიც გამუდმებით ანგრეოდა, ცოცხ-
ლად ჩამარხეს მშენებლის ცოლი და ხი-
დის აგებაც „წარმატებით დამთავრდა“.

როდესაც 1463 წელს ნოვატაში საჭი-
რო შეიქნა დანგრეული საგუბარის შეკე-
თება, ვილაც მანანწალა დაათვრეს და
შიგ ცოცხლად ჩაატანეს.

სლავებში გავრცელებული რწმენით,
მშენებლობის დროს კედელში უნდა ჩა-
ეტანებინათ პირველი შემხუედრი ყმაწ-
ვილი. ინგლისური ლეგენდით ვინმე ვარ-
ტინგენემ ვერ შესძლო თავისი ციხე-
სიმაგრის დამთავრება მანამ, სანამ საძი-

რკელის ქვები არ დააღობა ბავშვიმწამსწამნი
ხლით.

სერბიული ლეგენდა მოგვითხრობს:
სამი ძმა აშენებდა ციხე-სიმაგრეს, მაგ-
რამ წლების მანძილზე დღისით აშენებ-
ული, ღამით ანგრეოდა. საჭირო შეიქ-
ნა მტრის გულის მოგება ძმებმა გადა-
წყვიტეს, რომ თავიანთი ცოლებიდან
მსხვერპლად შეეწირათ ის. ვინც პირვე-
ლი მიუტანდა ხაჭმელს მუშებს დასდეს
ფიცი რათა ეს საიდუმლოება არ გაეშვი-
ლათ მეუღლეებისთვის. ორმა უფროსმა
ძმამ დაარღვია ფიცი და გააფრთხილეს
ცოლები. ციხის მშენებლობას შეეწირა
უმცროსი ძმის ცოლი, იგი ცოცხლად და-
ატანეს კედელში.

გალაშში (აფრიკა), ქალაქის შთავარ
ჭიშკართან ჩვეულებრივ ცოცხლად მარ-
ხავდნენ გოგონასა და ბიჭს, რათა ქალაქი
აუღებელი ყოფილიყო. ასეთი ჩვევა იყო
ზასამსა და იარიბშიაც.

ელისის დამოწმებით ქოლინგზიაში
მავეის ტაძრის ცენტრალური კოლონა
იდგა ადამიანის სხეულზე. კენჭულ ბო-
რნეოზე, დაიკებში სასახლის მშენებლო-
ბისას პირველი ბოძისათვის ამოთხარეს
დიდი ორმო, შიგ ჩაავდეს ტყვე ქალიშ-
ვილი და ვეებერთელა ძელმა გასრისა
იგი. ეს იყო სულეებისადმი გაღებული
მსხვერპლი.

ზემოთ აღნიშნული ჩვეულება დადა-
სტურებულია იაპონიაში, ინდოეთში,
ბირმამში...

სურამის ციხის ლეგენდა მსგავსია
ტიურინგიული ლეგენდისა: რათა ლიბე-
ნმტიინის ციხე ყოფილიყო მყარი, ღუფ-
ისაკან დიდ თანხად იყიდეს მიხი შეი-
ლი და ჩაატანეს კედელში, როდესაც კა-
ლატოზებმა დაიწყეს მუშაობა. ბავშვი
ლუზელს ჭამდა დედას ესმოდა ბავშვის
ყვირილი: „დედა მე შენ ჯერ გხედავ“.
ცოტა ხნის შემდეგაც – „დედა, კიდე
გხედავ ცოტათი“. ხოლო როდესაც მის
თავზე დასდეს უკანასკნელი ქვა, გაისმა
ბავშვის ხმა: „დედა მე ვეღარ გხედავ“.

ეს გულშემბარავი წეს-ჩვეულება ევ-
როპაში შემორჩა ლეგენდების სახით.

ხოლო შეინარჩუნა თავისი ძველი მნიშვნელობა და სრულდება აფრიკაში, პოლინეზიაში და აზიაში—ასეთ დასკვნამდე მივიდა გასული საუკუნის დიდი ინგლისელი მეცნიერი, პირველყოფილი კულტურის გამოჩენილი მკვლევარი, ოქსფორდის უნივერსიტეტის ლექტორი ედუარდ ტეილორი.

საკმაოდ გაერცელებული აზრი, რომ ლეგენდის შორეული ფესვი სინამდვილეა, დღევანდელი გადასახედიდან მიუღებლად გვეჩვენება. მეტადრე „სურამის


ციხის“ ტრაგედიის ფონზე, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა დროს ადამიანთა გონებას ძალუმად იპყრობდა ცრურწმენათა სიმრავლე. იყო თუ არა კედლისა და საძირკელის გასამაგრებლად მსხვერპლის შესაწირი აქტი საქართველო-სთვის დამახასიათებელი სინამდვილე, თუ იგი ლიტერატურული ხერხია სიტყვის ოსტატთა მიერ გამოყენებული ნაწარმოების აღნაგობის გასამაგრებლად? შექსპირი იტყვოდა: საკითხავეი აი ეს არის!

ქიათურის რაიონი

1. სოფ. კაცხი. გუმბათიანი ეკლესია XI ს. დაიბზარა გუმბათი და დაინგრა გარშემოსავალი.
2. სოფ. ზოდი. დარბაზული ეკლესია გვიანი შუასაუკუნეების. დანგრეულია მთლიანად.
3. სოფ. ზოდი. ციხე. შუასაუკუნეების. დანგრეულია მთლიანად.
4. სოფ. შერევი. დარბაზული ეკლესია განვითარებული შუა საუკუნეების დანგრეულია ძლიერ.
5. სოფ. შერევისა. დარბაზული ეკლესია XIII ს. დანგრეულია ძლიერ.
6. სოფ. ბენევი. დიდელის ციხე. განვითარებული შუასაუკუნეები. დანგრეულია მთლიანად.
7. სოფ. ზედა საქარა. დარბაზული ეკლესია. გვიანი შუასაუკუნეები. დანგრეულია.
8. სოფ. ითხვისი. სამნავიანი ბაზილიკა. 1847 წ. დანგრეულია მთლიანად. ნებულია.
9. სოფ. უსახელო. დარბაზული ეკლესია „ქარლია გორიჯეარის“ XIII-XIV სს. ძლიერ არის დანგრეული.

მიხეილ პარაზუშვილი

იკორთა



1988 წლის 27 მარტს გაზეთ კომუნისტში გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატის, პარტიის ყოფილი სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ფ. სანაკოვეის სტატია სათაურით „კრიტიკას ვიღებთ, გასაკეთებელი ბევრი გვაქვს“. წერილი შემდეგი სიტყვებით იწყება:

„ამ ორიოდ წლის წინათ მთელი ჩვენი რესპუბლიკისა და მათ შორის, სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა, მრავალმა ჩამოსულმა სტუმარმა დიდი დღესასწაული—იკორთის მონასტრის 800 წლისთავი აღნიშნეს. XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე აშენებული ეს მონასტერი ქართული გუმბათოვანი ხაყულების ხუროთმოძღვრების მიღწევებს განასახიერებს და დღემდე ხაინტერესია არა მარტო სპეციალისტებისათვის, არამედ ხუროთმოძღვრების თაყვანისმცემლებისათვისაც“.

და შემდეგ:

„უნდა ითქვას, რომ სამხრეთ ოსეთში ქართული კულტურის მრავალი ამგვარი ძეგლია. აქაური მაცხოვრებლები, მათ შორის ოსი მოსახლეობაც, მათ თავისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად აღიქვამენ“.

სტატიას ავტორი ახრულებს შემდეგი

გამოთქმით: „დღეს და მომავალშიც სამხრეთ ოსეთის საზოგადოებრიობა, ახალგაზრდობა ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა მათი ხაზით კულტურის ძეგლებს მზრუნველი და ერთგული პატრონი ჰყავდეს, ვინც თვალისჩინავით გაუფრთხილდება და მოუფლის ქართველი ხალხის დიდებულ მემკვიდრეობას“.

როგორც ეტყობა ოსები საკმაოდ გარკვეულან სამაჩაბლოს ქართული ეროვნული კულტურის ძეგლების ხარისხსა და მათ მნიშვნელობაში ეროვნული კულტურისათვის. რაც შეეხება ავტორის დასკვნითი ნაწილის გამოთქმას აქ უკვე ექვი გვებადება მის გულწრფელობაში. ვინაიდან 1991 წლის 16 აპრილის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ მოყვანილი ცნობა, რომ ვინდალარზმის ყველა ნიშნის გამოკვლინებით დაჩბუებული საფ. ერედვის ური ქართული სალოცავი: წმინდა გიორგის ეკლესია და აგრეთვე წმინდა სამების ეკლესიაც, როგორც ეტყობა ფ. სანაკოვე ძალიან შორს იყო გულახდილობისაგან, თორემ ხალხი ისე სწრაფად არ შეიძლე-

ს. კურაძის ძეგლის სანქტუარები.



აგართა მცხეთის მუხურა

ვარლამ გენჯიუჩაძის ფოტოები





ბოდა გადაგვარებულყო. ცხადია ასეთ პირობებში თვით იკორთის ტაძარსაც დიდი საფრთხე მოელის ოსი ექსტრემისტების მხრიდან. არა და ეს ძველი ხომ ქართული საეკლესიო ხეროთომოდლებების მშვენიებაა.

მართლაც, იკორთის ტაძრის შესახებ რამდენი რამ თქმულა და დაწერილა, მაგრამ მისი სიღიაღე მინც სრულად არ არის ასახული. თანაც რომელი ერთი უნდა მოიხსენიოს ადამიანმა მასთან დაკავშირებით: თვით ძველი და მისი მღებარეობის ადგილის მშვენიება თუ იქ დაკრძალული წამებულები. ყველაფერი ეს ხომ თავისებურია და განუმეორებელი. მართლაც საოცარია ნიშნების სინატიფე აღმოსავლეთის ფასადზე. უბადლოა შესრულების მაღალი ოსტატობის მხრივ ყვარ. კედლები და სხვა ჩუქურთმიანი ნახელები ამგვე აღმოსავლეთის ფასადზე. გუმბათის ყელიც ხიბლავს ადამიანს ნატიფი ხელოვნებით. ასევე მდიდრულად არის დამუშავებული დასავლეთის ფასადიც თავისი კარიბჭით.

ტაძრის ტერიტორიაზე შემორჩენილია ოდესღაც დიდი და მტკიცე ციხესიმაგრის ნაშთები. მას თავის დროზე არა ერთხელ გაუწევია სამსახური ქსნის ერისთავებისათვის ქვეყნის დასაცავად. ახლა კი ნანგრევებია შემოგვრჩა.

მაგრამ იკორთის ტაძრის მთავარი შინაარსი და მშვენიება მისი საფლავებია. მართლაც, განა შეიძლება იკორთაზე ლაპარაკი ისე, რომ არ მოიხსენიო ბაბტიონის გმირები ბიძინა ჩოლოყაშვილი და ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავები. განა შეიძლება საჯანგებოდ არ აღნიშნო, რომ ისინი, ქვეყნის ახოების თავიდან ასაცლებლად შაჰს ეახლნენ

და წამებით დაიღუპნენ ირანულ მუსულმანულ გმირებს მაღლიერმა ზენაღმებელმა ლეებმა გმირობითვე მოაგეს პატივი. მათი ნეშტი ჩამოასვენეს სამშობლოში და იკორთის ტაძარში დაკრძალეს. აი იკორთის ყველაზე დიდი მშვენიება, ჩვენი გაგებით, სწორედ მათი საფლავებია.

გასაოცარია ის, რომ ოსებთან ძველები. მათ რიცხვში არ იხსენიება კითხში სრულად არ გამოიყენება ჩოიკორთის ტაძარი.

ჩვენთვის, ქართველებისათვის სამაჩაბლო ერის დიდი წარსულის მრავალი მინიშნების მხარეა, რომელიც ერმა დღემდის შეინარჩუნა დიდი გარჯისა და მსხვერპლის გაღებით. იგი ხელუხლებლად უნდა გადაეცეს მომავალ თაობას.

ღმერთმა მომავლის იმედი ნუ მოგვიშალს, მაგრამ დღეისათვის იკორთა დიდ განსაცდელშია.

P. S. სტატია ჩაბარებული მქონდა რედაქციაში, როდესაც სამაჩაბლოში, რაჭასა და იმერეთში შემზარავი ტრაგედია დატრიალდა: მძლავრმა მიწისძვრამ ქვეყანას უბედურება დაატეხა. იყო მსხვერპლი, დაინგრა უამრავი საცხოვრებელი სახლი, დაზიანდა ნიკორწმინდა და იკორთა, სულ დაინგრა მთავარანგელოზის ეკლესია ზემო კრიხში. იკორთას ჩამოინგრა გუმბათის ყელის უმეტესი ნაწილი და ძალზე დაუზიანდა მოპირკეთება (პერანგი). ამრიგად უკანასკნელის მიმართ კიდევ ერთი საზრუნავი გაჩნდა და თანაც ისეთ პირობებში, რომ სამაჩაბლოში არსებული მდგომარეობის გამო მასთან მისვლაც კი ძნელდება.

ბიორბი ჯალაბაძე

ქსოვილთა ფრაგმენტები დაღმისა და ნახიდურის გამოქვაბულებიდან

სამარტმპელოს სახელმწიფო მუზეუმის სპელეოტიკის ლაბორატორიამ, რომელსაც ხელმძღვანელობს ბელოვჩე-ბათიკოდნეობის კანდიდატი კივი გაფრინდაშვილი, ბოლო 20 წლის მანძილზე მრავალი მნიშვნელოვანი ძეგლი შეიწავლა. ლაბორატორიის თანამშრომელთა ცლეკა-ძიების ერთ-ერთ უბანს ქვეო ქართლის ხრამის ზეობის გამოქვაბულები წარმოადგენს. მღვიმე-გამოქვაბულთა ისტორია შორეული წლებიდან იწყება. საუკუნეების პერიოდში მათ თავშესაფარისა თუ სადგომების დანიშნულებითაც აყენებდნენ. ეს კარგად ჩანს დაღმის და ნახიდურის ქვაბულებში წლების მანძილზე ექსპლდციის ხელმძღვანელის ნოდარ ბახტაძის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგებიდან.

ხრამის ზეობის გამოქვაბულთა კომპლექსში, მათ შორის დაღმითი ნ. ბახტაძის მიერ მიკვლეულია ბრინჯაოს ხანის კრამიკის ფრაგმენტები, ამავე გამოქვაბულებში XII-XIV საუკუნეების ნივთიერ მასალებში აღმოჩნდა ძინს, ლითონის, ხის, ქსოვილების და ეტრატის ნაწილები. გამოქვაბულთა შორის ერთი ნაწილი, სამონასტრო სადგომად არის მიჩნეული. შუა საუკუნეების მასალებთან ერთად ნ. ბახტაძის მიერ ნაპოვნია ისეთი ნივთები, მათ შორის ხელნაწერები, რომელთა ანალიზი მას საშუალებას აძლევს გამოთქვას ვარაუდი, რომ ამ მონასტერში რამდენადღე შეზღუდული მოღვაწეობა გვიან ფეოდალურ ხანაშიც გრძელდებოდა.

ქვეო ქართლის კლდის ძეგლთა უმეტესად გამოთხრელობა და შემსწავლეობა შემოგვთავაზა ქსოვილის მასალებზე მუშაობა და მათი რაობის დაღვერა.

ხრამის ზეობის კლდის ძეგლთა ქსოვილების მასალები, რომელიც ჩვენ გახარჩევედ გადმოგვეცა, ორი დიდი ძეგლიდან არის წარმოდგენილი. ნახიდურის და დაღმის გამოქვაბულებიდან.

ნ. ბახტაძემ მოპოვებული ქსოვილების მასალები გახაწმენდალ ვადასცა მუზეუმის ქიმიურ სარესტრაციო განყოფილებას, რომელთაც ეს მასალა მოსკოვში დაამუშავებინეს. გაწმენდის შემდეგ ქსოვილები დაჯგუფდა კლდის ძეგლების მღებარეობის და ე. წ. „ოთახების“ ჩვენებით ე. ი. იმ ადგილის მითითებით, სადაც ქსოვილის ფრაგმენტები იქნა მიკვლეული.

ქსოვილების 6 დაჯგუფება ნახიდურის გამოქვაბულთა კომპლექსებშია ნაპოვნი, ხოლო 10 დაღმის კლდის ძეგლებში.

ქსოვილთა ნაირსახეობით გამოირჩევა ნახიდურის მასალები. აქ წარმოდგენილია უმეტეს შემთხვევაში ჯალოს ტომრის და ჯუჯიმის ფრაგმენტები, ამასთან ეს ფრაგმენტები ქსოვის მანერით ერთგვაროვანია. ნახიდურის მასალიდან ყურადღების აქვრობს გულის ფაიდაზე ამოკერილი აბგა (№ 2), ამოკერილია ფარდაგის ტიპის ქსოვილსაგან. ძირი განიერი აქვს. პირთან კ მოვიწროებულია. პირთან გასდევს განივზოლებად ნაქსოვი ორნამენტის სახე. როგორც ჩანს აბგად ძველი ტომარა, ან ძველი საფენი გამოუყენებიათ. პირთან მიკრებულია სხვა ტიპის შალისავე ქსოვილის ნაჭერი. აბგის ზომია 30X46 სმ.

ნახიდურის „ქურიაზი ჯგუფის № 1 ოთახში“ (№ 4) აღმოჩენილ ქსოვილებში ნაირი სახის და დანიშნულების საგნის ფრაგმენტებია. აქ არის საქაოლ



წმინდა შალის ფერადი ძაფით ნაქსოვი ფარდაგი, შალის მსხვილად ნაგრები ძაფით ნაქსოვი ჯეჯიძების, ფარდაგების, ჯვალის ტომრის და ჩხირებით ნაქსოვი ტანსაცმლის ფრაგმენტები. ეს უკანასკნელი თეთრი წმინდად ნაგრები შალის ძაფით არის მოქსოვილი და შერჩენილია ჩასაცმელის ნაწიბურის და მისი კვლის ნაწილი. როგორც ჩანს XIII-XIV სს - ტრიკოტაჟული წესით ნაქსოვ ტანსაცმელს ფართოდ იყენებდნენ.

ნახიდურის „ქურიახი ჯგუფის საძინებელ ქვაბში“ ნაპოვია - ჯვალის ტომრის ნაშთი (ზომით 30 x 40). შერჩენილია ტომრის პირის ნაწილი, რომელსაც გასდევს შავი ძაფით ორი ზოლი, შემდეგ ვიწრო ზოლად ორნამენტირებული არშია, ამას კვლავ მოსდევს 10 სმ სიგანის არშია. არშიებში გეომეტრიული სახის ორ-

ნამენტებია წარმოდგენილი, ორნამენტები შესრულებულია ამონემსვით მოწითალო ფერის ძაფით. აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლში საცალო ჯვალის ტომრების პირის ორნამენტებით შემკობის წესი ეთნოგრაფიულ ყოფაში ბოლო დრომდე გრძელდებოდა. ეს ტრადიცია შემონახული იყო ჯავახეთის და თრიალეთის სოფლებში. ნახიდურის ციხეკაპის II ორმოში მიკვლეული იყო ფარდაგის, წინდის და ბაძბის ქსოვილის ფრაგმენტები. აქედან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანს ჯეჯიბური წესით ნაქსოვი ფარდაგის ფრაგმენტი წარმოადგენს. იგი ფერადი (ლურჯი, რუხი, შავი) ძაფით არის მოქსოვილი, ქსლის ძაფის ფერი ბუნებრივი თეთრია. ქსოვილი საშუალო სიმჭიდროვისაა 1 კვ.დმ მოდის 50 ქსლის და 100 მისაქსელის ძაფი. შერჩენილია ფარდაგის ნაპირი. ერთ



ფრაგმენტზე უხეშად არის ნაპირი გადმოკეცილი და ამოკრალი.

ამრიგად, ნახიდურის შუა საუკუნეების მოსახლეთა ქსოვილის ასორტიმენტი საკმაოდ ნაირგვარია. გვაქვს ჩხირებით ნაქსოვი წინდის და ჩასაცემლის ფრაგმენტები, ბამბის ქსოვილი ლილაში შეღებილი (ნარმა), ჯეჯიძის, ფარდავის ნაშთები.

ტექნიკის თვალსაზრისით ჯეჯიძეები, ჯვალის ტომრები, საფენსაგებლები ნაქსოვია ვერტიკალურ საქსოვ დაზგაზე - ყდებზე. წინდის და ჩასაცემლის ფრაგმენტები ნაქსოვია ჩხირებით ბამბის ქსოვილის ფრაგმენტები საქსოვად წმინდა ძაფით. ჰორიზონტალურ დაზგაზე უნდა იყოს მოქსოვილი.

ქსოვილის სიმჭიდროვე დანიშნულებათა შესაბამისობით არის გაპირობებული, შედარებით მსხვილი ძაფით არის ნაქსოვი და უხეშია - საცალო - ჯვალის ტომრების ფრაგმენტები, ჯვალის ტომრების ფრაგმენტთა ორნამენტის სახე გეომეტრიულია და ანალოგს პოეებს ეთნოგრაფიულ ყოფაში.

ქსოვილთა მასალები ნახიდურის გამოქვაბულებიდან მიუთითებს, რომ მათი მომზადებული მისდევდა, როგორც მიწათმოქმედებას ისე შერწყმული ხასიათის შესაქონლეობას და მეცხვარეობას.

ქსოვილთა მეორე კომპლექსი ნ. ბახტაძემ აღმოაჩინა იმავე ზრამის ხეობაში მუგუთის ანუ დაღეთის ქვაბებში.

დაღეთში აღმოჩენილი ქსოვილთა ფრაგმენტები მან ცალკე სადგომების-დამიხედვით 10 ნაწილად დააჯგუფა, ნეწ მათ რიგითი: აღმაჟალი პირობითი ნომრები მივეციტ. იგი ნახიდურის ქსოვილების მასალის ნუმერაციის გაგრძელებას შეადგენს (№ 7-დან 8, 9, 11, 12, 12ა, 13, 13ა, 14, 14ა).

ნახიდურის მასალებისაგან განსხვავებით აქ ხალიჩას 4 ფრაგმენტია აღმოჩენილი. ხალიჩის ფრაგმენტები სხვადასხვა ტექნოლოგიური მაჩვენებლებით

და ორნამენტებით გამოირჩევიან. ტექნიკური კუთრებით საინტერესო ჩანს ხაჭაძის ნაჭერი № 13 (ზომით 13x37 სმ) იგი მოგრო ფორმისაა, ძლიერ შემოკლებული ქსლის ძაფი ორწვერად არის მაგრად შეკრებილი. თვით ძაფი უხეშია-ფაცხია. ხაოს კვანძი შედარებით ნაზი მატყლის ღუნეთ ნაგრეხი ფერადი ძაფით არის შედგენილი. კვანძი ქსლის ორ ძაფზეა გამოყურობაჯებული რკალით შემოდან ხაოს კვანძთა თვითულ შწკრივს გახდევს ცალწვერად წვილიად ნაგრეხი წითელი ძაფის 4 სახედაო ძაფი. ქსოვილის სიმჭიდროვე საკმაოდ მაღალია 1კვდმ. იოდის 4მx28. ხალიჩების ქსოვის ტექნიკაში აშუაითი შემთხვევაა, როცა კვანძებში ორის 4 სახედაო ძაფია ჩაბჭვილი. მიუხედავად ამისა ხალიჩის ფრაგმენტის კვანძების სიმჭიდროვე საკმაოდ მაღალია.

№ 13 ხალიჩის ფრაგმენტის გადარჩენილი ხაოს - ჯეჯილის ფერებია: რუხი, ღია რუხი, ლურჯი და წითელი. ხაოს - სიმაღლე 5 მმ. ხალიჩის ფრაგმენტი უნდა წარმოადგენდეს ხალიჩის მარჯვენა გვერდის შუა ნაწილის ნარჩენს. მარცხენა მხარეს ჩამოსდევს ჩარჩოს ნაწილი, რომელიც ორნამენტირებული უნდა ყოფილიყო. ჩარჩოს შემდეგ სწორი რუხი ფერის ძაფით ნაქსოვი ე. წ. „წყლის“ ხაზი გადის, შემდეგ ხალიჩის გულის სამკუთხა ჩარჩოს ნაწილია, სადაც კარგად არის დაცული ერთი „ორმხრივი რქანახარა“, დაზიანების გამო ორნამენტის დანარჩენი ნაწილი არ იკითხება. ხალიჩის სხვა ფრაგმენტებთან შედარებით № 13 ფრაგმენტი ნეწლაზე უფრო კარგად არის შენახული.

ამ ფრაგმენტში სახედაოდ 4 ძაფის ხმარების ტრადიცია ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში დღემდე დასტურდება. ქსოვის ეს ტექნიკა მთიულეთში და თუშეთში ნაქსოვ ხალიჩებშია დადასტურებული. გვიანმ დროის შეხალიჩობაში ოთხი სახედაო ძაფის გა-

დატარება კვანძების რიგზე, გამოწვეული იყო იმით, რომ ხაღინას ჯეჯილის კვანძების კეთებაზე საკლები დრო დაეზარდათ, სამკვიდროდ ხაღინას მალაღ ზარის და მხედილად ნაგრები ძაფების კონია ქსოვდნენ.

№ 13 ხაღინას ფრაგმენტო ტექნოლოგიური თვალსაზრისით მალაღი მანქნებლებით ხასიათდება და შუა ხაუკუნეებში ძიგავთ ტექნიკით საქსოვი ხაღინა აღბათ იშვიათობას წარმოადგენდა.

ამჟღადღეთის ქსოვილითა ფრაგმენტებში ხაღინას კიდევ ხადი ნიმუშითა მაცვლეული ერთი მათეანია № 8, - რომელიც ასევე, როგორც № 13 - ფრაგმენტო, ხაღინას ნაძირის ნაშთს წარმოადგენს. ზომით 18X17 სმ, ძალიან დავეჯიჯილია და შემოძენხილია. ქსელი ორწვერად - მაგრად ნაგრები, რუხი ფერის შადის ძაფითა. ხაღის კვანძი ფერადი ძაფითა კვანძი ორ ძაფზე გამოყურთმაცვლებული. ხაღი გაღაცეთითა, გაღაცეთილია და კვანძებზე დახულია. კვანძებს სახელოდ, მხოლოდ 1 ძაფი გასდევს. სახელოდ მისაქსელი ძაფი წითელია. № 8 ხაღინას ფრაგმენტის ორნამენტო კვანძებზელია. შეამხნევა რომის კონტურები, რომლებიც ერთმანერეს უკავშირდებიან. ხაღინას ფრაგმენტის ხაღის ფერებითა ღურჯა, წითელია, რუხი. კვანძების ხიშვიდროვი შეადგენს 1 კვ დმ 30X56.

ამ ფრაგმენტის მხედელოდ ნახს, რომ ხაღინას ქსოვის ტექნოლოგიური მანქნებლები საკმოდ მალაღია და ახალყოურად №-13 ხაღინას ფრაგმენტისა ეხვე ძირად ღირებულ ქსოვილითა რაღს განსჯიქსებოდა.

შედარებით დაბალი ტექნოლოგიური მანქნებლებით ხასიათდება № 7 ხაღინას ფრაგმენტო, ასევე დაღეთის ქვანძებლებთან. იგი ძალიანა დავეჯიჯილი და ორ ნაწილად არის შერხეხილი (ზომი 17X30 სმ). ეს „ხაღინაც“ ნაძი-

რის ნაძითა. კქინია ხარხო და გველი. შერხეხილია შუი ძაფის კვანძების ხადი ზოლი, ერთი ნაძირისა და ორი ხარხოს შიგნითა მხრისა. ხაღინას გული და ხარხოს სხედასხევა ფერის ხაღითა ყოფილი მოქსოვილია. ხაღინას ხაღის კვანძი უხეშია და მხედილი. ხაღის ერთი შერხეხეს ერთი მხედილიად ნაგრები სახელოდ ძაფი გადახდევს, როგორც ქსლის ასე სახელოდ ძაფი მხედილიად არის მაგრად ნაგრები. კვანძის ქსოვლის ხიშვიდროვე შეადგენს 1 კვ დმ 38X20. კვანძების ქსლის ე. ა. ვერტიკალურ და მორიზონტალურ გაღაცებათა მორის ხიშვიდროვეში ასეთი დღი განხიქსევა იშვიათია. უმეტეს შემთხვევაში ხაღინების კვანძების ხიშვიდროვე გეხელება 30X30; 40X40; 50X50, იშვიათად 60X60.

დაღეთის დასახელებული ნიმუშები მღარე ტექნიკურა მორცქმებით ხასიათდება. იგი როგორც ნახს გაუწიფავი ხელით არის საქსოვი, ეს იგრძნობა ხაღის არათანაბრო ხიშვიდროს მხედელოდ.

დაღეთის ქვანძების ქსოვილითა ნიმუშებიდან აღხანიშვითა აგრეთვე ჯეჯიშურა წესით საქსოვი ფარდავის ფრაგმენტო № 11. ეს ფრაგმენტო ორ ნაჭრისაგან შედგება ერთი მორილია, საშუალო ზომით 12X22 სმ. ხოლო მეორე პატარა ნაველეჯია. ფარდავის ფრაგმენტის ქსლის ძაფი თერთა ფერისაა მხედილიად არის ნაგრები 1 კვ დმ შადის ქსლის 40 ძაფი, მისაქსლისა 100. ფარდავი მოქსოვილი ყოფილი სხედასხევა ფერის ძაფებით, ფრაგმენტზე შერხეხილია წითელი, მწიქი და თერთა ფერი. მისაქსელი ძაფი ორწვერად წისხილად არის ნაგრები. შედებილია მკვანძებულ ხაღებებში. წითელი ფერი აღბათ ეხდროთა და ბროწიქსის ქვანძითა არის მიღებული.

ფარდავი ნახს საკვებელი დანიშნულებით იგი გამოყენებული.

ხევა ფრაგმენტები - დაღეთის ქვ-

ბულები ან ფარდავებიდან არის დარჩენილი, ან ჯვალის საცალო ტომრებიდან.

დალეთის ფარდავების ფრაგმენტებზე დაკვირვებიდან ჩანს, რომ აქ გამოიყენებოდა სხვადასხვა სიმჭიდროვით ნაკისოვი ხალიჩები, ფარდავები სადად საქსოვი (ქსელვა-მიქსელვა), როცა ქსლის ძაფის ფერი იყო წაშვეანი (ჯუჯიში), ფარდავები, სადაც მიხაკსელი ძაფი ფერების მიხედვით მონაცვლეობდა, ფარდავები, სადაც ფერადი მხატვრული ორნამენტი ჭვირით (ფანჯრით) იყო გამოყოფილი, საცალო ტომრები, პირთან ორნამენტებით შემკული.

დალეთის და ნახიდურის გამოქვაბულებში მოძიებული არქეოლოგიური ქსოვილები, კიდევ ერთი ნივთიერი დას-

ტურია იმ მდიდარი და მრავალმხრივი კულტურისა, რომელიც ქვემო ქართული ქალაქების შუა ხაუენეების მოხდენიდან გაანსნა ქსოვილითა ნაირი სახისა და დანიშნულების დამზადების საქმეში. იგივე მასალა საშუალებას იძლევა შევინიშნოთ თვითიველ გამოქვაბულთა კომპლექსში სხვადასხვა სოციალური ჯგუფების არსებობა, რაზედაც ნ. ბახტაძემ სათანადო ფურადლება გაამახვილა ნახიდურის არქეოლოგიური მასალის ანალიზის დროს.³


1. ნ. ბახტაძე, ქვემო ქართლის კლდის ძეგლთა შესწავლისათვის, „მაცნე“, № 4, თბ., 1987, გვ. 106—121.
2. ნ. ბახტაძე, დსაბ. ნაშრომი, გვ. 119.
3. ნ. ბახტაძე, დსაბ. ნაშრომი, გვ. 120.

დეკორატიული ხელოვნება

მანანა წარბთელი

ქოლხური თავსამკაულის შეგადგენელი ახალი ელემენტი

